

CAVA GUTTA LAPIDEM

ოქროს საწმისი
GOLDEN FLEECE

ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
გამოცემა; N 7, 2011 წ.

მთავარი რედაქტორი გური ოტობაია

სარედაქციო კოლეგია

გიორგი ბაჩინილაძე

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჯემალ ბახოძე

იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ზურაბ ზურაბაშვილი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საქართველოს

მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ზრიდონ თოდუა

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

პირველი ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

ნაპო მუსხია

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნოსო სიგუა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გიორგი შარულავა

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოთარ ფაცაცია

ექს-პრემიერი, საზოგადოება „ზუგდიდელის“ გამგეობის თავმჯდომარე

მამუკა შოგალაძე

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დურმიშხან ჩიტაშვილი

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნოდარ ჭითანავა

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბელეტრისტული
წარმოდგენა:

აგვისტოს სუსხის უემდეგ

„და დღეი, ვითარცა
ათასი წელი“

იონან-ზოსიმე

ფოტოსერვისი —

ლევან ბაბინავა

ბადრი ვადაჭკორია

დალი უნგულია

კომპიუტერული

მომსახურება —

კოკა ფატეაშვილი

ლევან პოჭორიშვილი

კორექტურა —

გვანტა შანავა

კეთი შანავაძე

ნანა ხუციანი

შურნალი „კირიზი“

(ოქროს საწმისი)

სარედაქციო

სიტყვის თავისუფლების

სამართაურობის

წინაშე.

ტელ: 571 21 27 70;

guriotobaia @ gmail.com

შურნალის შემთავრის

ფასმულობა:

სიტყვის თავისუფლება —

უმჯობესი აუცილებლობა;

პლურალიზმი — თანამედროვე,

მრავალმნიშვნელობის

პრინციპი; უმთავრესად

ბანერშიადათა შემთავრება.

რედაქციაში უმთავრესი წილია

აბტორებს უბრუნდებათ.

პოლიგრაფიული უზრუნველყოფა —

„პრეპრინტი“

თბილისი, რუსთაველის 40-40^ბ,

www.preprint.ge. info @ preprint.ge.

ტელ: 93 46 14; 93 27 66; 92 05 66.

(597) 07 46 64.

სელმოწერილია დასაბუქდად —

27. 05. 2011;

ფასი შეთანხმებით.



UDC (უაბ) 050 (479 22) კ — 54

ANONS

ეკა ღურფკია

ზუბდიდელი ქალიშვილია, რომელმაც უთანაბრებლად წარმატებას მიაღწია ანას წინათ გათუებული გაგართულ სილაგაზის კონკურსზე — 24 თანამეგაგულეს უორის სრულიად დამსახურებულად მოიპოვა საქართველოს პირველი მის-მიცვის ტიტული. ყოველივე ამის და ბრავილიაში მის-სამყაროს სექტემბრის დამდებს ტურნეში მონაწილეობის უესახებ, უფრო დავფრილებით მოგიტსრობთ ჟურნალის მომდევნო ნომერში

ერთი
ბელეტრისტის
ტრიბუნა

პირბისი

ბური
ოტობიას
ჟურნალი



უინაარსი

ჯილდოები და ვალდებულება (ვალერი კანკია)
004

შავი ქაშარი — ცეროდენას (სანდრო გუნავა)
006

მეორე სუნთქვა (რეცენზია ექს-პრემიერ **ოთარ ფაცაცია**
მემუარულ წიგნზე „დროსთან ჭიდილში“, გური ოტობაია)
008

არა მართო სამეცნიერო (რეცენზია. თენგიზ ურუშაძე, საქართველოს
მეცნიერებათაეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი))
010

ციცქნა „ზოღაშ ბერეფე“ ლაზუთში (ლაშა გვასალია)
011

მიყვებო ერის სულიერ მამას (გური ოტობაია)
016

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს,
უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს** (გური ოტობაია)
019

პროექტი (ავტორი გური ოტობაია): **ქართველურ ენა-კილო-კავთა განმარტებითი,
კრებსითი ლექსიკონ „დედაქართულის“ აგებულება** — ქართლური, სვანური, მეგრული,
ლაზური... — აფხაზურ-ინგლისურ-რუსული შესატყვისებებით)
020

„დედაქართული“ (ერთტომეული. სარედაქციო საბჭო)
021

„დედაქართულის“ (ერთტომეული. ხარჯთაღრიცხვა)
022

ღია წერილი საქართველოს პარლამენტის წევრს, ბატონ კობა ნაყოფიას
(გური ოტობაია, ლექსიკონ „დედაქართულის“ სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე)
023

ლაზარე (ეპიკური პოემა. ნაწყვეტები. გური ოტობაია)
024

ოღია. გური ოტობაია. ოღა პირველი. (ინგლისურად თარგმნა მარიამ ფეტველავამ)
050

გური ოტობაიას „ოღია“ — XXI საუკუნის პირველი ეპიკური პოემა (ლაშა გვასალია)
055

ტროას უკუღმა ტრიალი
(ნუგზარ გულორიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი)
058

რეცენზია რეცენზიის რეცენზიაზე (ლაშა გვასალია)
060

ქესქია
(რესპუბლიკის 2008 წლის სუკეთესო ფერმერი **ფრიდონ კოდუა**)
062

„ბაია“ და ბაიელები
(როლანდ მაქაცარია, ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი)
066

ტურიზმი სამეგრელო-ზემო სვანეთის ეკოლოგიურ გამაში
(გიორგი ფარულავა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი)
075

დასტაქარი (ბელეტრისტული ინტერვიუ
სს ზუგდიდის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო „რესპუბლიკის“ დირექტორთან,
ბატონ **როლანდ ასალაიასთან; ორი როლანდ ასალაია**
და ერთი სამეგრელო, მარინე ქარდავა; **ორი წლის შემდეგ** — დავით ფიფია)
079

ტურისტული მარშრუტი: ანაკლია-მესტია
(პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივას: **„ინტესტორებო ყველა ქვეყნისა,
შეერთდით ანაკლიაში!“** განმარტავს პოლიტოლოგი **ვანტანგ მიშველია**)
091

ტურისტული კომპანია „სმარტ ვოიაჟი“ (რეკლამა. მარინე კანკია)
096

ჯილდოები და ვალდებულება

თავის დროზე ენგურჭესელები ჩვენმა რედაქციამ პარლამენტსა და მთავრობას წარუდგინა გმირული კოლექტივის სტატუსის მისანიჭებლად. „პრემიები და წოდებები საბჭოური გადმონაშთითაო“, გვითხრეს დელიკატურად და მართლაც, საერთოდ გააუქმეს სახელმწიფო პრემიები. მაგრამ უცხოეთში სხვანაირად ყოფილა საქმე. გთავაზრობთ „ენგურჭესის“ კომერციული დირექტორის, ბატონ ვალერი კანკიას წერილს უცხოეთში მათი შრომითი თავდადების სათანადოდ აღიარების თაობაზე

ოდითგანვე მიიჩნევენ, რომ ფაქტი ერთობ მეტყველი და ჯიუტია და ეს ეხება, როგორც მოვლენის უარყოფით შეფასებას, ასევე – დადებითი და სასარგებლო ტენდენციის გამოძეურებას. ამჯერად სწორედ პოზიტიური კუთხით განვიხილავთ შ. პ. ს. „ენგურჭესის“ საქმიანობას.

დავიწყოთ იმით, რომ ბიზნესის ინიციატივათა საერთაშორისო კომიტეტი ყოველწლიურად აფასებს და გამოავლენს მსოფლიოს 173 ქვეყნის იმ კომპანიებს, რომლებიც თვალსაჩინო შედეგებს აღწევენ ტექნოლოგიებისა და ხარისხის სისტემების დანერგვაში, წარმოების განვითარებასა და მენეჯმენტში.

ჯერ კიდევ 2008 წლის მარტში, „ენგურჭესის“

ხელმძღვანელები მიწვეული იყვნენ შვეიცარიაში, სადაც გადაეცათ პირველი კატეგორიის ხარისხის საერთაშორისო ჯილდო. საერთაშორისო კომიტეტმა წახალისებასთან ერთად „ენგურჭესს“ მოუწოდა განეგრძო და განევიტარებინა მუშაობა შვიდი ძირითადი მიმართულებით, ესენია: საზოგადოების ხარისხიანი მომსახურება; მართვისა და საქმიანობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება ხარისხის მართვის შეფასების საერთაშორისო სისტემით დადგენილი ნორმების შესაბამისად; საქმიანობის სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისას ერთობლივი და ჯგუფური განსჯისა და მიდგომის დანერგვა; საზოგადოების მოთხოვნათა დაკმაყოფილება და მომხმარებელთა მოლოდინის გამართლება; საკადრო რესურსების ტექნიკურ-ეკონომიკური დონის რეგულარული გაუმჯობესება და გარემოს დაცვისადმი ყურადღების გამახვილება; საკადრო რესურსების მაქსიმალური პოტენციალის მისაღწევად ზრუნვა; კომპანიის საერთო მიღწევებში თანამშრომელთა თაოსნობისა და მონაწილეობის ამაღლება. როგორც ვხედავთ, ვალდებულებად დაისახა არეალის სრულყოფა და მით უფრო ფასეულია ის, რომ საერთაშორისო კომიტეტმა „ენგურჭესის“ მიღწევები 2010

წლისათვის აღნიშნა უმაღლესი კატეგორიის ჯილდოთი, რომელიც კომპანიის ხელმძღვანელობას შარშან, 25 ოქტომბერს, პარიზში გადაეცა. და კვლავ სასიხარულო შეტყობინება: ევროპის საერთაშორისო ხარისხის ასოციაციის „პარიზის კლუბის“ შემფასებელმა კომისიამ „ენგურჭესი“ წარადგინა 2010 წლის უმაღლესი კატეგორიის ჯილდოს მიღებაზე. მისი გადაცემის ცერემონიალი დაგეგმილია ამა წლის 20 დეკემბერს, ჟენევაში. ასე გამოიყურება შეფასებები და პერსპექტივები.

ყოველივე ამას კი წინ უძღვის მთელი კოლექტივის ერთსულოვანი გარჯა და დაუღალავი შრომა.

ისევ ციფრები და ფაქტები: მთელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე „ენგურჭესი“ სრული ცვეთის რეჟიმით მუშაობდა;






მხოლოდ 2003 წლიდან გახდა შესაძლებელი ჩატარებულიყო სამი ჰიდროაგრეგატის, ელექტრო-მექანიკური მოწყობილობების, სადერივაციო გვირაბის, თაღოვანი კაშხლის მუშა მექანიზმების, მრავალი კვან-ძისა და დანადგარის სარეაბილიტაციო საშუალებები. ამის კვალობაზე სადგური გამართულად და საიმედოდ ამუშავდა. ხოლო 22 წლის განმავლობაში ქვეყნის ჰიდროგეგანტი ათი თვის უკვე მიღწეული და დარჩე-ნილი ორი თვის მოსალოდნელი შედეგების გათვალის-წინებით პირველად გამოიმუშავებს 4.2 მილიარდ კილოვატსაათზე მეტ ელექტროენერგიას, რაც 2009-2010 წ. წ. დამტკიცებულ წლიურ ბალანსზე მეტია თითქმის 900 მილიონი კილოვატსაათით. ამასთან მომხმარებელს მიეწოდება მაღალხარის-ხოვანი ენერგია. ბოლო სამი წლის მანძილზე „ენგურჰესზე“ არ მომხდარა არც ერთი ავარია. მუშაობა მიმ-დინარეობს სახელმწიფო ელექტროსისტემის სადის-პენერო სამსახურის მიერ დადგენილი გრაფიკის ზუსტი დაცვით. 10 თვეში გამოიმუშავებული ელექტროენერგიის საერთო მოცულობიდან ოთხ მეზობელ სახელმწიფოში ექ-სპორტირებულია 796 მილიონი კილოვატ/საათი. მათ შორის რუსეთში 718 მლნ.კვტ.სთ-ზე მეტი.ამჟამად წყალსაცავის ღონე და სადგურის საიმედოობა გვაძლევს იმის გარანტიას, რომ წინამდებარე ზამთრის პერიოდში მომხმარებელი ელექტროენერგიას შეუფერხებლად მიიღებს.ისიც მთავარია, რომ ახლა მიმდინარეობს რეაბილიტაციის მეორე ფაზა, რომელიც გულისხმობს დარჩე-ნილი №1 და №5 აგრეგატების განახლებას. ასევე ვარდნილჰესების ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და ჰიდრომექანიკური მოწყობილობების რეაბილიტაციას. ამ საშუაოების დამთავრება დაგეგმილია 2013 წლის ბოლოსთვის. ამის შედეგად კასკადი სრული სიმძლავრით ამოქმედდება. დიახ, ფაქტები თავისთავად ბევრს მეტყველებენ. თანაც ასევე ყურადსადება ერთობლივი ძალისხმევისა და ურთიერთთანადგომის სულისკვეთება, რაც წინსვლის დამატებით მუხტს შეიცავს. ამ მხრივ მეტად ტევადი და ნიშანდობლივია პარიზში ჯილდოს გადმოცემისას ჩვენდამი გამოვლენილი ინტერესი და ენთუზიაზმი, კერძოდ, იმ ცნობის მოსმენისას, რომ სიძნელეთა მიუხედავად, „ენგურჰესი“ წელში იმართება და ხელოვნური საზღვრის მიღმა დარჩენილ აფხაზეთს ენერგიას უფასოდ აწვდის. დიახ, წინ ახალი ამოცანებია, რომელთა გადაჭრა მუდმივ კეთილგონიერებას და ენერგიულობას მოითხოვს.



ვალერი კანკია



AVE, CAESAR!

უაზი ქამარი – ცეროღენას



AVE, CAESAR!

უაზი ქამარი – ცეროღენას

ასე მიმართავენ საომრად მიმავალი ლეგიონერები რომის იმპერატორს იულიუს კეისარს, რომელმაც თვალის დაუხამსამებლად დაარღვია საშინელი ფიცი და აკრძალული საზღვარი – რუბიკონი გადალახა – სენატს, ხელისუფლებას მასვილით დაუფლა.

უშიში ვითარცა უსორცოთ, იტყოდნენ ხოლმე ჩვენს მეფეებზე. დაახლოებით იგივე ითქმის ამ თერთმეტი წლის ბიჭუნაზე – სანდრო გუნაგაზეც. ამიერიდან ცეზარი მისი მეტსახელია, ნათლიმაჰად წავადევი. სანდრო გუნაგა ერთადერთი ბიჭუნაა სამეგრელოში, რომელიც პირველი დანის სარისხის მფლობელია კინგ-ბოქსში – შავი ქამარი მის ასაკში ფანტასტიკური მიღწევება. ამ კოკროჭინა ონავარმა მოხიბლა ჩემი სული. სიყმაწვილის წლებში მეც ვიყავი ვატაცებული აქტიური სპორტით – კრიგი, ქართული ჭიდაობა, ძიუდო, შედეგებიც თვალშისაცემი მქონდა, მაგრამ ხელოვნების ტრფიალმა ყველაფერი გადაფარა და პატარა სანდროს მხილველს უნებურად წამცდებთ: დაინსომეთ ეს

ბავშვი-მეთქი. აკი, გამომართლებს ვარაუდმა – რამდენიმე თვის მანძილზე ჩვენმა ჯილა სანდრო არნახულ შედეგებს აჩვენებს. თავად დარწმუნდით: იგი თბილისში საქართველოს ჩემპიონატში 2008 წელს კონტაქტურ „სეიზუ კაი“-ში ტოლი არავის დაუდო, ფეხზე არავინ დააყენა. ამავე წელს მარტში ბირწმინდად მოიგო ევროპის ჩემპიონატი კინგ-ბოქსში თბილისში დეკადეს სპორტულ დარბაზში 9-10-11 წლიანებში. უფრო მაღალი ასაკის ბავშვებისკენაც მიუწევდა გული, მაგრამ ამისი ნება არ დართეს მსაჯებმა. კვლავაც წლეულს, მანისის თვეში, თბილისში გამართულ კინგ-ბოქსის ჩემპიონატზე შეუდარებელი იყო, როგორც ტექნიკით, ისე – ბრძოლისუნარიანობით. მისი მთავარი კოზირი დახვეწილი ტექნიკაა და ლამის დაუჯერებელი შრომისმოყვარეობა. ჩვენთვის ნათელია, რომ ნებისმიერ სარბიელზე უმთავრესი ფაქტორი პასუხისმგებლობის გრძობაა. მისი სანსეის, ლაშა შელიას, თქმით ჩვენი სანდრო ამისი მაგალითია. მისი ყოველი რიგითი ვარჯიში არაფრით ჩამოუვარდება ტატამზე

ორთაბრძოლას. სანდროსთვის არ არსებობს მეორეხარისხოვანი ბაექრობა. მთელი ნერვებით, მთელი კუნთებითაა ჩართული ნებისმიერ მოძრაობაში. საკუთარი შესაძლებლობის მისხალი, გრამი არ ეკარგება. ამიტომაც არის რომ უშიშრად დგას 2-3-4 წლით უფროსების წინაშე და სეტყვასავით დააყრის მუშტებს. ლაშა შელიასგან დამოუკიდებლად სანდროს მე დაგავაღე 3-5 წუთი ესუნთქა ფილტვებით, მთელი სხეულით კედელს აკრულს. ეს პროცედურა ფილტვების მოცულობის გაზრდას ეძღვნება, რათა ტვინის უჯრედებს მეტი უანგბადი მიეწოდოს. ამასთან ვთხოვე, ყოველ დღე ხუთი ინგლისური სიტყვა ესწავლა ლესქიკის მარაგის შესაქმნელად. ერთი წლის შემდეგ, როცა მოზარდს 1800 სიტყვა ეცოდინება მათი გრამატიზაციის სწავლა ძნელი საქმე არ არის. ინგლისური ენის ცოდნა მას დიდად პოპულარულს გახდის მთელს მსოფლიოში. უკვე თარჯიმანის მოუშველიებლად შეეძლება დათოს მასმედიას აუწყოს თავისი კოლეგების გასაჭირი – თუ


შიშველ იატაკზე რაზანი დაუნდობლობით აგდებენ ერთმანეთს. შეპირებული ტატაში არა და არ ჩანს. ამგვარმა დამოკიდებულებამ გასაქანი არ მისცა „აბრატე-დოს“ განვითარებას ზუგდიდ-ქალაქში. თანაც გული აუცრუვდა სანსეის ამ ფუქსავატ ორგანიზაციაზე, სიტყვის პატრონები არ არიანო, გამომხილა. ამანაც განაპირობა მისი კინგ-ბოქსზე გადასვლა. აქ უკვე ნამდვილი ხელჩართული ბრძოლაა სრულ გამარჯვებამდე. ბალეტები და პანტომიმები სხვისთვის დაგვითია, მკვეთრია ჩვენი შეღია სანსეი. დიდი მოპაგალი ელის ჩვენს სანდროსო. ამოიხრებს. უცებ გულში გამკრავს მისი წარმატებული მოწაფის, დათო წყაპროზიას არანაკლებად საინტერესო სიბორტიული აღნაგობა. პრობლემები ჰქონია, სხვა მასწავლებელთან გადასცულა. რას გააწყობ, სულ ზიდებით ამთავრებს შეჯიბრებებსო, იტსინანულებს ჩვენი სანსეი, ვინაიდან ახალმა მასწავლებელმა ვარჯიშის ნირი შეუცვალა, გოგლიმოგლის აყლაპებსო. სანდრო გუნავას კი გულში მყარად აქვს ჩაჩნეული ჩემგან ჩამორთმეული ლათინური სენტენცია – CAVA GUTTA LAPIDEM – წვეთი ხერტს ქვას, თანამიმდევრული სიჯიუტე ამარცხებს გრანდიოზულ სტიქიას. მითქვამს და ვიმეორებ, მე წინასწარ, ინტუიციით ვუწოდებ მას „კუნარ“ – თორემ მის გვარში „გუნავა“ ნაბერწკალიც არ ფაჩუნობს ამ ზედწოდების გასაღვივებლად. ღვინოსთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ტატამთან. ვნახოთ, რაზანიად გაამართლებს იგი სანსეი ღაშა შელიას, მშობლების თუ გური თტობაიას იმედებს.

– რამდენი ხანია, რაც ღაშასთან დადინა-მეთქი, ვეტყვი. – ოთხი წელია. – მიპასუხებს სწრაფად. ამ ხნის მანძილზე ბევრ ტურნირში მივიღეთ მონაწილეობა: მარნეულში კაგკასიის ჩემპიონატზე, თბილისში საქართველოს პირველობაზე, ზუგდიდში – ამხანაგურში, ბაქოში – ევროპის ჩემპიონატზე. ყველგან პირველი ადგილი გავინაღდე. კინგ-ბოქსი ნამდვილი ბრძოლა.

დედა რა გვარიასაა?! ჭითანავა, ჯემიდა ჭითანავა. მამა რა ჰქვია?! – ჯემალი. ბატონ გურამს თუ ვიცნობ? ბატონ გურამს მთელი საქართველო იცნობს და მე არ მეცოდინება. ენგურჰესზე ვი წლისამ დაიწყე მუშაობა. ესაკიას მარჯვენა ხელი იყო. რუსული ექვს თვეში ისწავლა. კინგ-ბოქსელის მოძრაობები ახასიათებს, სხარტი და დამიზნული. ბატონ თამაზი? რომელი, თამაზ გუნავა? მასთან მეტი სიახლოვე მაქვს. ისიც წარმოსადგე გუნავაა. ერთადერთი პოლიციელია საქართველოში, რომელსაც პრეზიდენტის უმაღლესი ჯოლდო გადასცეს. მე რითი უნდა ვიყო ვინმეზე ნაკლები?! ჩავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე და ფეხზე არავის დაგაყენებ. მაგრამ მე მხოლოდ სპორტით არ ვაპირებ ვასახელო ჩემი ქვეყანა. სწავლაში ჩამოვრჩი. შვიდიანებითა და რვიანებით ვამეტუნა დღიური. ვიცი, მეტი მონდომება მმართებს. ჩემს სკოლაში უცხო ენა გერმანულია, მე კი ინგლისური მინდა,




რადგან ბაქოში საქრთაშორისო ტურნირში გერავის დაგვლაპარაკე ქართულით, მეგრულით, გნებავთ რუსულითა და გერმანულით. მე მინდა ინგლისური ენით შორს გავიტანო ჩვენი ქვეყნის გამირული წარსული, ჩვენი კულტურა, სპორტი. ჩემპიონობა, კვარცხლბეკზე შედგომა ამის საშუალებას იძლევა. სამი ბრძოლით მოვიპოვე ევროის ჩემპიონობა – დავამარცხე, რუსი, აზერბაიჯანელი და ირანელი. კინგ-ბოქსი კონტაქტიანი ბრძოლაა, ორს ქულებით მოგუგე, სოლო მესამე მეორე რაუნდში გავითიშე. ოჯახში მშობოლებს ვესმარები თონაში, წინ გაგუძღვენბი ცხენს ყანის მოხგნისას თუ დაფარცხვისას.



მეორე სუნთქვა

უფუთავსებელთა უაფუთავსებელი

დღემდე აზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარეს, ბატონ ოთარ ფაცაციას, სრულიად საქართველო იცნობდა, როგორც პრაგმატიკოს პიროვნებას, მაგრამ ამაგდროულად კალმის ჩინებული ოსტატიც რომ ყოფილა, ამას მოწმობს ახლახან გამოსული მისი წიგნი „დროსთან ჭიდილში“. გათავაზობთ ამ ოსზულებზე გური ოტობაიას რეცენზიას.



წიგნის მთავარი რედაქტორია საგამომცემლო სახლ „ინოვაციის“ დირექტორი ზაურ ნაჭყებია და ფილოლო გიის მეცნიერებთა დოქტორი ლელა კვიციანი. სარედაქციო საბჭო წარმოდგენილია ყველასთვის ცნობილი საზოგადო მოღვაწეებითა და დაუჩვენებელი მეცნიერებით, როგორებიც ვახლავან, ბატონები: გურამ ახალაია, კუკუერი როგავა, პუბლიცისტური კალმის დიდოსტატი არმაზ სანებ ლიძე, პროფესორი დავით იაკობიძე და ქართული ეკონომიკური ცნობიერების მეტრი, აკადემიკოსი ნოდარ ჭიბანავა. მიუხედავად ამ დენი პროფესიო ნალის თავყრილობისა წიგნში „დროსთან ჭიდილში“ (რომელიც მაღალი პოლიგრაფიული დონით გამოირჩევა), მაინც გაპარულა კორექტურა, ფაქტობრივი უზუსტობანი, თუმცა ეს ყველაფერი ზღვაში წვეთია — ჩვენთვის უმთავრესი ბატონი ოთარის ხედვა, მისი შეფასებები, ანალიზის უნარი, მისი არგუმენტები და ურყევი დასკვნები. სხვანაირად არც მოველოდით — ბატონი ოთარი ხომ ყველაზე ურთულესი პერიოდის სამეგრელოს თუ სრულიად საქართველოს პოლიტიკურ არენას მოწმენდილ ცაზე მების გავარდნასავით მოვევინა! მან აქამდეც შეუდარებელი პიროვნული უნარების წყალობით თავბრუდამხვევი კარიერა გაიარა რიგითი ინჟინერის თანამ- დებობიდან რაიკომის პირველი მდივნის პოსტამდე. იქიდან კი ელცინი დაზეპირებულევით იმეორებს: „დროზე შედით „ესენგეშიო“. ასეთი აუტანელი ვითარებაა ყველგან და ყველაფერში და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ოთხმოცდაათიანი წლების საქათველოს კატასტროფულ ბაქანალის მაშველი რგოლ- ივით მოუსწრებს ბატონი ოთარ ფაცაცია, მისი რანდული ბუნება, მისი შესაშ- ური კომუნიკაბელობა. რომ არა ბატონი ოთარის დროული გამოჩენა პრემიერ-მინისტრის თანამდებო- ბაზე, არავინ უწყის რითი დასრულ დებოდა დანასისხლად წაკიდებული ჩვენი საწუთრო, გახლჩილი სული და შიზოიდური სინამდვილე; არავინ უწყის კიდევ რამდენი ანკარა სიცოცხლე შეეწირებოდა ამ უაზრო და უზნეო დავიდარაბას — დავით გურამიშვილმა რომ დაგვიხატა, „ქართლის ჭირში“ იმას გადამე- ტებულს, როცა კახელების აღმა ხნულს ქართლელები დაღმა ფარ ცხავენ. ბატონი ოთარი გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში გავიციანი, ანაკლიაში აწვართულ საკუთარ კოტეჯში. მე იმ პერიოდში რომანს ვწერდი კოლხეთის სინამდვილეზე ჭურიელ მწყემსებთან, ნეტარხსენებული ჯოტო გუგუჩიას მესვეურობით ხელდასხმული. ლექსები წამაკითხეს.

იყო ოვაციები, ცრემლიც. ეს კურცხალი მოზეიმე მასპინძლის თვალბზე შევნიშნე მომეტებით და იქიდან მოყოლებული მოწიწებით განვეწყვე მის მიმართ. ექვსწიგნეულ „ენგიდუნიაში“ დაწვრილებით მიწერია ამებზე, ორხელის უფლებიანობის უმძიმეს წუთებზე. მე ხომ ბატონი ოთარის თვალწარმტაცი სამოსახლოს ხშირი სტუმარი გავხდები შემდგომ და შემდგომ. მსცოვანი დედამისის, ქალბატონი ლუბა ქარჩავას, გულშემატკივრობა მიმაგრებდა ზურგს, რომელიც პოეზიის დიდი მოყვარული აღმოჩნდა და შეუფერხებლად მამარაგებდა სირჩა კონიაკით თუ ჯიბის ფულით. მაგრამ მიუხედავად ინეტნსიური კონტაქტებისა, დაუფარავად ვიტყვი — თითქმის არაფერი მცოდნია ამ მარადჭაბუკ ბერმუნაზე, როგორც სამეურნეო მუშაკზე, როგორც პოლიტიკურ ფიგურაზე, როგორც ადამიანზე ბოლოს და ბოლოს. მისი პრემიერ- მინისტრის პოსტზე მოსვლის იდეა ბატონ ავთანდილ მარგინანისგან მოდის თურმე. ჩაეწვეთა ეს ამბავი ყურში სახელმწიფოს მეთაურს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს და რამდენიმე დღეში ცივ ქვაზე შემდგარი ოთარ ფაცაცია ლამის დაუჭერებლად და დაყოლიებული — მათრახივით გახუზუნებულმა ფრაზამ განაპირობა ყოველივე: **მერე და სად არის შენი პასუხისმგებლობის გრძნობა სამშობლოსადმი, წინაპართა საფლავებისადმი? რას ეუბნები მომაჯალს? რა პირით შესვლები დმერთს?** დიახ, პასუხისმგებლობის გრძნობა უმთავრესი ფასეულობაა ჩვენი წერილის ადრესატისათვის, პასუხისმგებლობის გრძნობა და გაუწყვეტელი შუბლის ძარღვის ტრადიციული გაგება.

წიგნში განსაკუთრებით თვალში საცემია სტილი, ამბის გადმოცემის მანერა. ფრაზა სხარტია რუსთაველის შაირივით; თხრობა წყაროსავით ლიკლიკა, ბინულივით გამჭვირვალე; მოქმედების ტემპი, დინამიკა — თერგივით მჩქეფარე, თავგამეტებული; აზრი — ტობავარჩხილივით ღრმა და ტევადი. XXI საუკუნის დამდეგია. რვა ათეულ წელიწადს მიტანებული მარადჭაბუკი ბერმუნა მიჯდომია გალაღე- ბულ ბუნარს და თავის ორეულთან, მეორე მესთან, იგივე ალტერ ეგოსთან გაუმართავს დიალოგი აწ ჩაგრიგალებულ წლებზე, დანაცრულ ვნებებზე, ნისლებიდან

ამოწვევრილ მომავალზე. საუბრის წამყვანი თავად ხორციელი ოთარ ფაცაცია, თუმცა მისი შინაგანი ხმაც გულხელდაკრეფილი როდია მთლად, ისეთ მომენტებში ჩაერთვება ხოლმე საუბრისას, როცა მთხრობელი უნებლიეთ ჩაქინდრავს ან კომენტარია აუცილებელი, დაკონკრეტება საჭირო. ბატონ ოთარ ფაცაციას უამრავი ქვეყანა მოუვლია, ცხოვრების მანძილზე დასამახსოვრო ყველგან უხილავს, მაგრამ


განსაკუთრებით შთამბეჭდავია მისთვის შვედ მექალაქ დესთან შეხვედრა, რომელიც მუშაობის პროცესში გართული უდიერად მოაცილებს თავიდან ცნობისმოყვარე კოლეგას. მხოლოდ სამსახურის დამთავრების შემდეგ გადაუხსნის იგი გულს ჩვენს „ენგურქალაქალკომბინატელს“.

ბატონ ოთარს აოცებს წარმოების კაპიტალისტური ხელწერა, პროფესიონალიზმი და სანაცვლოდ გულისტკივილით აშიშვლებს ჩვენეულ დარდიმანდულ დამოკიდებულებას საქმისადმი — თურმე ორი საათით მუშაობის ციკლის შეწყვეტა შესაძლებელი ყოფილა ზოგიერთი დოკლაბიასთვის, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის რეპორტაჟის შეტკობის ხარჯზე. ბატონი ოთარი ვერაფრით მალავს სიმპათიებს სომეხი ერისადმი. ნიუ-იორკის აეროპორტში მილიონერ ცოლ-ქმარს გაეცნობიან თვითმფრინავის მომლოდინენი და იმ ხანმოკლე პერიოდში, მის თვალწინ გადაწყდება

კარდიოლოგიური ცენტრის მშენებლობის საკითხი ერევანში ბავშვთათვის. იგი დიდი ალქიმიკოსივით გულმოდგინედ აერთებს სოციალისტურ-კაპიტალისტური ცხოვრების წესის საუკეთესო ნიშან-თვისებებს, და უფრო სიღრმისეულად თუ ჩაუვკირდებით, წიგნის მიხედვით ჩვენს თვალწინ იქერწება პიროვნებად, რომელიც ორ შეუთავსებელ მოვლენას, ცნებას, ტენდენციას, გენბავთ — ხალხებს თუ ინდივიდებს თანაარსებობის საშვილიშვილო პირობებს უქმნის. თითქოს სიკვდილის სიცოცხლესთან დამზავებელი მენცარია, უხსენებლისა და ვასაკას ერთ ზიარ კიდობანში მომთავსებელი ნოე, სწორისა და მრუდის ერთი იდეით გამაერთიანებელი, პლუსისა და მინუსის სათანამშრომლოდ განამაწყესებელი. განა მეტი რაა თავად ცაბათის სამუშაო? განა იგივეს არ მოიმოქმედებს მისი უზენაესობაც, ოღონდაც უდასარულო სამყაროს მასშტაბით?! დიახ, შეუთავსებელთა შეთავსების ხელოვნების უმეტოქო ქურუშია ბატონი ოთარი და თამამად ვაცხადებ: მისი ჩინებული მემუარული სტილის თხზულებაც ამისი ნათელი მაგალითია მთელი სიგარძე-სიგანით, „ანიდან“ „პომდე“, თუმცა მომიტევებდეთ მოუ- ზომავ სიტყვას — „ანიდან“ — „რაემდე“, გენბავთ — „ანიდან“ „სანამდე“, ანუ იმის თქმას ვაპირებ, ნაწარმოები ჯერაც არ არის ბოლომდე გასრულებული-მეთქი. დიახაც, ამ უკმარისობის გრძობამ მიმაყნა კიდევ ინგირში მათ სამოსახლოს ერთ ბუზღუნა კვირახალს და კვლავაც გალაღებულ ბუზართან გულწრფელად გამანდო ბატონმა ოთარმა:

— ამ წიგნში ჯერხანობით მხოლოდ ნახევარია ასახული, სადაც ათვლის წერტილი ჩემი სიყრმის წლებია, ხოლო დასასრული ჩემი პრემიერ-მინისტრობის პერიოდითაა ზღვარდებული. — დასმიკონკრეტებს ბატონტ ოთარი, — ამას იქით ახალი ეპოქა იწყება, ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ მიერ მოტანილი ახალი დერეფნები, ახალი თემშარები; მე არ ვმონაწილეობ ამ ორომტრიალში ფიზიკურად, მაგრამ სულიერად იქ ვარ, იმ პელაგონში, სადაც აზრთა შეხლა-შემოხლაა, სადაც ცეცხლი და წყალი ერთად თუხთუხებს, რომელიც ჩვენს თვალწინ ქარავანივით მიზოზინებს ძალღების ღვდავში და აქ ჩემგან თვალის დახუჭვა, წაყრუება არაფრით იქნება. მართალია, აქაც ბევრია ცდომილება, განსაკუთრებით კადრების შერჩევის საკითხებში; აქაც გამოკრთება ჩრდილოვანი მზისგულები, მაგრამ განსხვავებულია მიმართულებები და ტენდენციები, ზოგჯერ რადიკალურიც, აქამდე არსებული მიდგომების აბსოლუტურად გამომრიცხავი და ეს ყოველივე ჩემგან გაცილებით მეტ ჩაღრმავებას მოითხოვს (თუნდაც ვექტორის გადახრა ევროატლანტიკური სივრცისკენ ტრადიციული რუსულის სანაცვლოდ), როგორც დამკვირვებლისგან, როგორც შემფასებლისგან და ცხადია, აქ არც აჩქარება ივარგებს და მით უფრო — წაყრუება.

ბატონმა ოთარმა იცის, რომ იგი ჩემი ბელეტრისტული მატიავე „ენგიდუნის“ კოლორიტული პერსონაჟია; იცის, შთამბეჭდავი ფოტოები მომიძიებია ამ ნაწარმოების საილუსტრაციოდ, მაგრამ ამეების გასაცნობად სული არასდროს წასძღვს. სჯერა ჩემი მიუკერძოებლობის, ბოლომდე ენდობა ჩემს კალამს და მეც არასდროს ვცდილობ ეს ბელეტრისტული ცოდვილობანი მის თვალწინ ავადრიალო საყოლოჩინოდ. არც იმის ფიქრით ვწუხვარ მაინცდამაინც, თუ რატომ აღმოჩნდები გარყიული მისი თხზულების მომზადება-გამოცემისას. „დროსთან ჭიდილში“ ლამის სამ ათეულ თანამოსაგრეს შემოიკრებს გულშემატკივარ ბასტიონად. ესენი გახლავან XX საუკუნის მიწურულის თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი, სამეურნეო მუშაკები, მეცნიერები: ბონდო ჯიქია და როინ მეტრეველი, ანზორ ბურჯანაძე და ნაპოლეონ ქარქაშაძე, ფრიდონ თოდუა და ვაჟა ლორთქიფანიძე, ჯემალ გახაკიძე და ავთანდილ სილაგაძე, ჯიმი მიქელაძე და დავით იაკობიძე, ვალერიან ადვაძე და ნოდარ ჭითანავა, სხვანი და სხვანი. ეს დამატებითი წყაროები უფრო ხელშესახებს ხდიან ბატონი ოთარის გულიდან ამონარიდ სასოებას, მეტ სიცხადეს მატებენ ნაწარმოებში ფრაზის, ფრაგმენტის, თეზისების დონეზე წარმოდგენილ ამა თუ იმ სენტენციას. არ შევიწუხებ თავს იმის გაცხადებითაც, რომ მეც შემეძლო მცირედი წვლილის შეტანა მისი ნაწარმოების მეორე ნაწილის სამზარეულოში ტრიალით. ვიაზრებ, მიტმასნებასავით გამომივა-მეთქი. თანაც ისეთი კორიფეები შემოუკრიბავს გარშემო, ბედოვლათი გური ოტობაია რა ბედენაა-მეთქი. იქ, სადაც ბატონ არმაზ სანებლიძის უშედავათო კალამი ტრიალებს, ბევრი ბელეტრისტისთვის ადგილი ზედმეთია-მეთქი და ამნაირი განწყობილებით დავცილებდი გულდია მასპინძელს; იმის იმედითაც, რომ ამ უიშვიათეს პიროვნებას ჩვენი სათაყვანებელი სამეგრელოდან, უფალი მოუმართავს ხელს ფრიად შრომატევად საქმეში, ჯანის სიმრთელეს შეჰმატებს და დღეს იქნება თუ ხვალ-ზეგ, უკვე სრულფასოვნად გვეცოდინება, სრულფასოვნად ვიხილავთ ყველა ბატონი ოთარის მემუარულ პალიტრას. შემოქმედებით გამარჯვებას გისურვებთ ბატონო ოთარ, ბელეტრისტულ სარბიელზე. სამყაროს სამყოფი ქალაქი მივიწოდებთათ ათასებისათვის და დიდი ამბავი, ხელისგუ ლისოდენად გაიხარჯოთ სათქვენძახილოდ! ცხოვრე ბისეული ასპარეზი ღირსეულად გაგიფინიშებიათ, თუმცა კვლავაც ვერ ისვენებთ, საზოგადოება „ზუგდიდელს“ წინამძღოლობით სათაყვანებელი ქალაქის საკეთილდღეოდ მარადჭაბუკო ბერმუხავ, შეუთავსებელთა შეთავსების მისტერიის ყოველდღიურ ცხოვრებაში დამნერგავო გულთმისანო ბრძენკაცო, და მჯერა, **სუფევას თქვენსას არა ექნეს დასასრულ!** (ლუკა, I, 33).



ახლახან გამოიცა გიორგი ფარულავას, მაია გერგელავასა და ავთანდილ ჭოლოკავას მონოგრაფია „მთათაშორისეული კოლხეთის ეკოლოგიურ-ფაუნისტური თავისებურებები“. ნაშრომში გადმოცემულია კოლხეთის, კერძოდ, ცენტრალური ოდიშის დანაწევრებული პლატოს, გორაკ-სერების და ვაკე-დაბლობის ცხოველთა სამყაროს ფაუნისტური ჩამონათვალი, რომლის სახეობრივი შემადგენლობის ფორმირებაზე სხვადასხვა ეკოლოგიურ ფაქტორთან ერთად მუდმივად ახდენს, ზოგადად, კოლხეთის ბარისთვის დამახასიათებელი ტენიანი სუბტროპიკული კლიმატი. სარეცენზიო მონოგრაფიაში განხილულია მთათაშორისეული კოლხეთის კლასიკარ სტრუქტურა, ურთაბიას, უნაგირას, გორაკ-სერებისა და ვაკე-დაბლობის ეკოლოგიურ-ფაუნისტურ პრობლემები. ავტორების მიერ გამოკვლეული საკითხები ეხება ქვეყნის ამ მხარის გეომორფოლოგიურ, ჰიდროლოგიურ, კლიმატურ, ნიადაგურ და სხვა ფაქტორების შესწავლის ფონზე ფაუნის ძირითადი ელემენტების ფართო სპექტრს. ამის გარდა, საკმაოდ დაწვრილებით არის გაშუქებული ისეთი საკითხები, როგორცაა: მალარიის კერების ხელახლა გავრცელების საშიშროება და მათი პრევენციის შესაძლებელი გზები. საგულისხმოა, რომ ნაშრომში შეტანილია გ. ფარულავას მიერ ბოლო პერიოდში აღწერილი მეცნიერებისთვის

ახალი ოთხი სახეობა ქერცლფრთი ანების რამზიდან. მონოგრაფიაში დიდი ადგილი უკავია მოცემულ გერიგორიაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მეურნეობისთვის მნიშვნელოვანი მავნებლების დახასიათებას, გავრცელებას, მათ მორფოლოგიასა და ბიოლოგიას, მათთან ეკოლოგიურად გამართლებულ ბრძოლის ღონისძიებებს. ორიგინალურია და მიმზიდველი შემო-თავაზებული ფოტომასალა. მკითხველს ეძლევა საშუალება გაეცნოს სამეგრელოს წარმგაც ბუნებას. იხილოს ჯერ კიდევ შემორჩენილი კოლხური ჯიშის ვაზები, მათ შორის, ეგურძგური, უხუჩეში, ჩეხარდანი, კოლოში. სარეცენზიო წიგნს აქვს კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი დაგვირგვინი, მასში ნათლადაა ნაჩვენები გურიშმის გაფართოების პოტენციალი, რომელიც გააჩნია ამ ლამაზ მხარეს. წიგნს აქვს არა მარტო სამეცნიერო, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობა და საზოგადოების ფართო წრეები მას განსაკუთრებული ინტერესით შეხვდნებიან.

თენგიზ (ბიზო) შრუშაძე,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 149, 11, 08, 2010 წ.



2010 წლის 2-3 დეკემბერს რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიამ მოსკოვში ჩაატარა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „კვლევის თანამედროვე მიმართულებები – თავის ტვინის ფუნქციური ნახევარ-სფეროთ-შორისი ასიმეტრია და პლასტიკურობა“, სადაც მონაწილე ობდა ქართველი მეცნიერი, ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ფარულავა და თანაავტორებთან ერთად გააკეთა მოხსენება: „ონტოგენეზში ნახევარსფეროთ-შორისი ასიმეტრიის ნეირო და ფსიქოფიზიოლოგიური ფორმირების კორელიაციები“. წარმოდგენილმა ნაშრომმა დიდი ინტერესი გამოიწვია სამედიცინო-ბიოლოგიური მიმართულების სამეცნიერო საზოგადოებაში. ნაშრომი გამოქვეყნებულია კონფერენციის მასალებში. ელ. მისამართი: **edopo12 @ yandex. ru**

ციცქნა „ზოლავ ბერეფე“ ლაზეთში

ცნობილი ლაზი მუსიკოსისა და შემსრულებლის ქაზიმ ქოიუნჯუს გარდაცვალებიდან ხუთი წელი შესრულდა. ამ თარიღის აღსანიშნავად „თურქეთ-საქართველოს კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის მრავალეტაპიანი პროექტის“ ეგიდით, ითარგმნა და ქართულ-თურქულად საგამომცემლო სახელ „ინოვაციის“ მიერ (დირექტორი ზაურ ნაჭყებია) გამოქვეყნდა ქაზიმ ქოიუნჯუს უკანასკნელი დღის ამსახველი ნოველა „ზოლავ ბერეფე“ („ზღვის შვილები“). ჩემთვის – ავტორისათვის ეს მეტად საგულისხმო და გასახარი ფაქტი გახლდათ, მაგრამ მით უფრო მნიშვნელოვანი იყო ამ პაწაწინა ორენოვანი ბროშურის პრეზენტაცია თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ხოფაში, უფრო ზუსტად სოფელ პანჭოლში, სადაც დაიბადა და გაიზარდა ეს უნიჭიერესი, დმერთისგან ხელდასხმული ხელოვანი.

25 ივნისს, პარასკევს, თბილისიდან მატარებლით ჩასულს მეგზურობასა და მასპინძლობას, ბატონ **ზაურ ნაჭყებიასთან** ერთად, ბათუმელი **დუმბაძეები** გაგვიწვევენ. სულ მალე შემოგვიერთდებიან სახელოვანი აჭარლები: **ავთანდილ კახიძე** და **სულიკო ფუტკარაძე**. ამ უკანასკნელს აქაურები, „მაჭახლელს“ ეძახიან. სარფისკენ დაძრულებს გზად ცნობილი ლაზი პოეტი და მთარგმნელი ბატონი **იაშა თანდი-ლავა** შემოგვიერთდება. დიდ იაშას (იაშარ მომღერალს ნიშნავს თურქულად) კარგა ხანია შორიდან ვიცნობ მისივე პოეზიით, ლექსი კონბითა და

მამულიშვილური საქმეებით, მაგრამ ძალიან ბევრი დამიკარგავს ახლოდან არცნობის გამო. იაშა თანდილავა გახლავთ ერთ-ერთი უმთავრესი შეურყეველი ბურჯი ლაზეთ-საქართველოს გამაერთიანებელი ხიდისა. ამაში დელეგაციის თითოეული წევრი დარწმუნდება, როგორც აქ, ქართულ ლაზეთში, სარფში, ისე – იქ, ხოფას ლაზეთთან ურთიერთობის უამს. იქაურები ამ საოცარ ადამიანს „ზღვის შვილს“ ეძახიან. იმედითა და სიყვარულით შესციცინებენ. მოხუცი ლაზები ფეხზე წამოუდგებიან; შუახნისები ენით აღუწერელი პატივისცემით დებულობენ,





პატარები გაზაფხულით ამოვსებული თვალებით შესცქერიან. ლაზურად ჯუმას (ძმას) უწოდებენ და ოჯახის წევრად მიიჩნევენ. არ ვიცი, ამ ადამიანმა როგორ მოახერხა ასეთი და ამოდენა სიყვარულის მოპოვება, მაგრამ ერთია – იაშა თანდილავა „აქეთა და იქითა ლაზების“ მანჯღღერია, წინამძღოლი, ანუ – ლიდერი. თურქეთში მცხოვრები ერთი მსცოვანი ლაზი **ჰამიტ სოჯიტოღლუ** გვიმტკიცებს:

– ჩვენი ცარიელი სულის ამომვსებიაო თავისი პოეზიით იაშა თანდილავა.

ავთანდილ კახიძე თავს მოიკლავს და საკუთარი „მერსედესით“ მამაპაპისეულ სახელში (რომელიც იქვე სარფის გზისპირიდან გადასახვევ პატარა და ლამაზ „ახალსოფელში“ მდებარეობს), აგვიყვანს.

– ჩემი მარნის ღვინო უნდა წამოვიღო, სსრკ-ს რომ გადავალთ, ხომ უნდა დავლიოთ ქართული მიწა-წყლისაო.

იაშა თანდილავა და ზაურ ნაჭყებია ლაზების და ქართველების ურთიერთობაზე ათას რამეს იგონებენ. იაშა თანდილავა ჰყვება სახელგანთი ლაზების: **სემინ ოღლის, ფუშუტ ადას, ესეთ ხოჯასა და სბა საღლოდილუს** გულში ჩამწვდომ თავგადასავლებს. სარფში მისულებს შემოგვიერთდება მსცოვანი ლაზი, საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი და სახელგანთი ფიზიკოსი **ზურაბ ვანილიში**. სარფელ ლაზებში ლეგენდებს ჰყვებიან ბატონი ზურაბის მამაზე, სახელგან- თქმულ თამადაზე და ერთსულოვან ლაზზე. ბატონ ზურაბს ძალიან ბევრი ნათესავი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები ჰყავს თურქეთის ლაზეთში. ერთს თურქეთ-საქართველოს საზღვართან გავიცი ნობთ. იქვე აღმართული მინარეთიდან გამოსულს.

– ასეა, ჩემო ბატონებო, ერთი ბაბუის შვილი- შვილებიდან ნაწილი ქრისტიანია, ნაწილი – მუსულანი და ნაწილიც – საერთოდ, ათეისტიო, – იტყვის ბატონი ზურაბი. თავიანთი მანქანით შემოგვიერთდება კიდევ ორი ლაზი – **გელა ვანილიში (ვანიძე)** და **ჯუმბერ კაკაბიში (კაკაბაძე)**. გელა ვანილიში მშობლიურ ლაზურთან და ქართულთან ერთად სრულფას- ოვნად ფლობს თურქულს.

ზუგდიდიდან დაგვიანებით შემოგვიერთდებიან პროექტის ხელმძღვანელი, მწერალი **გური ოტობაია** და პროფესორი **გიორგი ფარულავა**. ამ ოდიშარი კაცის ნახშირისფერი ჯიპით საზღვარზე გადასულს ბატონი იაშა სარფის გორაზე წამოჭიმული ლაზების მჭიდროდ დასახლებული სოფლის თავზე წამომართულ ეკლესიას გვაჩვენებს.

– ეს ეკლესია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობის



ილია მეორეს ლოცვა-კურთხევითა და ძალისხმევით აშენდა, სამასი ლაზი მოწამის სახელ ობისაა და ამავე სახელობის ნაეკლესიარზე აიგო.

ზღვა მშვიდია, თითქოს ქაზიმის სიმღერის მოსმენა სურს და ამიტომაც განაბულიაო. მზე ცხუნებით ეურჩება გარემოს. მინარეთიდან მოლას მოძახილის შემდგომ სუფრას გაშლიან ზღვისპირა ლოდზე და იაშა თანდილავა პირველ სადღეგრძელოდ სამშობლოს დალოცავს, ოცნებით ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გაჭენდება და ტრაპიზონის ზღვისფერ სივრცეს მიესათუთება. მასვე მიბაძავენ: ავთანდილ კახიძე, სულიკო კაკაბაძე, გელა და ზურაბ ვანილიშვილი, ზაურ ნაჭყებია და თქვენი მონა-მორჩილი. ბატონი იაშა სრულიად საქართველოს სულიერი მამის, მისი უწმინდესობის, კათოლიკოს-პატრიარქის **ილია მეორის** სადღეგრძელოს ასწევს, ფეხზე წამო- ვუდგებით და ჩვენთან ერთად წამოიმართებიან მუსულმანი ლაზები და სიხარულით შეუერთდებიან სადღეგრძელოს.

ესეთ ვანილიში იტყვის:

– სარწმუნოების სხვაობის მიუხედავად, ჩვენ, ლაზებს გვწამს, რომ საქართველოს დღეს ჰყავს უდიდესი სულიერი მამა, რომელიც ცდილობს ყველაფერი გააკეთოს თავისი სულიერი შვილების რწმენის გასამტკიცებლად. ჩვენ ვიცით, რომ მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაფუძნდა ლაზური რადიო და საპატრიარქოს ტელევიზია. მინდა იცოდეთ, რომ მთელი ლაზეთი ამ რადიოსაა მიყურადებელი. მან შეძლო მინავლული სულიერი კერის გაღვივება და ის ჩვენი მამაცაა.

სურუნტელი დამივლის და ცრემლის ბურთი ყელში გამეჩრება. ყველასგან მოულოდნელად „მზე შინა და მზე გარეთა“ ამოხროტინდება სულიდან. ათასი ჯურის გამგლეღ-გამომგლეღი ჩვენკენაა მოთვალმზერებული. ამყვებიან ლაზი ძმები, ამ სიმღერას ხომ მათთვის სულმნათი ქაზიმ ქოიუნჯუ მღეროდა.

– არ დავივიანიოთ, ქეიფს სხვა დროსაც მოვასწრებთო, – თადარიგს იჭერს ბატონი ზაური და ორ ბანაკად დავიყოფით. ერთის მეგზურ-მოენე ზურაბ ვანილიშია, მეორისა – გელა ვანილიში. მე ამ უკანასკნელის მანქანაში მოვხვდები და არც ვინანებ. დაძაბული გიდი გამოდგება ბატონი გელა. საჭესთან მჯდარი ყველაფერს ისეთი გულდასმით გვიხსნის, შევშინდებით კიდევ: არიქა, საჭე არ გააქცევს და რაიმე ფათერაკს არ ვეწიოთო, მაგრამ მის პროფესიონალიზმში მალევე დავრწმუნდებით.

– აქ სულ ლაზები ცხოვრობენ, ჩვენებურები. ამდენი ხნის ზეწოლის მიუხედავად, თითოეულ მათგანში ისე მძაფრადაა გამჯდარი წარსული-სადმი პატივისცემა, გაცოდებით. მერწმუნეთ, ცალი თვალით საქართველოს არიან მიმზერილნი, –

ისეთი აღფრთოვანებით იტყვის ამას ჩვენი წინამძღოლი, რომ ათას კითხვას დაბადებს და გავაბამთ საინტერესო დიალოგს ჩვენი უახლოესი ნათესავების – ლაზების ირგვლივ:

– აქ, ხოფაში ლაზებთან და თურქებთან ერთად, მუსულმანი სომხებიც ცხოვრობენ, – ჰქმშილები; არიან ქურთებიც, მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობა – 70 პროცენტზე მეტი – ლაზია – განგვანათლებს გელა ბატონი. დიდი ხიდიდან მარცხნივ გადავუხ ვევთ. აქეთაა პანჭოლი, ქაზიმის მშობლიური სოფელი. გადასახვევთან უშველებელი ბანერია ამ დიდებული მომღერლის გამო სახულებით. გზადაგზა ისრიანი ნიშნულები წარწერით გვაუწყებენ: „ქაზიმ ქოიუნჯუს საფლავი იქითაა“. თანდათან აღმართი დაიწყება. დიდებულიად მოასფალტებულ ვიწრო გზას ხელმარცხნივ თვალფირუზა ღელე ჩამოუდის, თხმელებითა და აკაციებით ნაპირგამაგრებული. ხელმარჯვნივ საგულდაგულოდ მოვლილი ჩაის პლანტაციებია და თხილის ხშირ-ხშირი ნარგავები. გზისპირზე ყველგან ვენახისა და კივის ტალავრებია გადმოჩრდილული.

– ჩხოროწყუში, ჭოლაში მგონია თავი.

ღმერთო, დიდება შენს სახელს, როგორ ტყუპისცალივით ჰგავს მთიან სამეგრელოს ეს ალაგები, – ფორიაქობს ისედაც ვერცხლისწყალივით დაუდგრომელი ზაურ ნაჭყებია. გზაში ახალგაზრდებს გაგაჩერებთ.

გელა შეეკითხება:

– ლაზები ხართო. შეკითხვა არც უნდა ისეთი ყირმიზები და ზღვისფერთვალეზანი არიან, ეჭვს არ იწვევს, მათი წარმომავლობა.

– კი ლაზები ვართო, – დაუდასტურებენ, კვლავ ლაზურად ეტყვის რაღაცას. დადუმდე- ბიან, გაიღიმებენ და ამოღერდავენ:

– გვესმის ლაზური, მაგრამ ვერ ვსაუბრობთო. კიდევ შეეკითხება რაღაცას ჩვენი ღოცმანი ახალგაზრდებს და ხელად მოგვითარგმნის:

– სტამბოლიდან არიან საზაფხულო არდადეგებზე მშობლიურ სოფელში ჩამოსულები. აქაურებმა კარგად იციან ლაზური, მაგრამ აი, სტამბოლში, ანკარასა თუ სხვა დიდი ქალაქის

ახალგაზრდებს უჭირთ მშობლიურ ენაზე დალაპარაკება და თუ ასე გაგარძედა, საერთოდ დაავიწყდებათო.

– სინანული გამოსჭკვივის წინამძღოლის ხმაში, მაგრამ მიყვება გადაიყრის ჭმუნვას – იმედი მაქვს, ღმერთი არ გაგვწირავსო.

– გელა, თუ არ მიწყენ, ერთი შეკითხვა მაქვს, – ეტყვის ბატონი ზაურ ნაჭყებია.

– ბრძანე, – განაბულია ჩვენი მეგზური.


– გულსაც ხომ უნდა შეეკითხო, ქრისტიანი ვარ თუ მუსულმანი?

– კი, ასეაო! – დაუდასტურებს მეწინავე და იქვე განაგრძობს, – ქრისტიანი ჩემო ბატონო, ქრისტიანი! თავიდან მუსულმანი ვიყავი, წინადაც-ვეთაც გაკეთებული მაქვს მაგათ რჯულზე, მაგრამ ჩემ ნენემ დაიჟინა: ჩვენი ღმერთი ეგააო და მოვინათლე თხუტმეტი წლის ასაკში. თავად მუსულმანად დარჩა. გამიჭირდება სხვაგვარი მსახურებაო. აბა, ჩვენ ბაღანებს რას გვერჩი-მეთქი? ჭეშმარიტებისკენ გიბიძგებთო. ეგეთი კარგნენე მყავს. ჩვენთან უმეტესობა ეგრეა. გზაჯვარდინზე ერთ ტრაფარეტზე მიგვითითებს გელა.

– იცით რა აწერია?! „ადგილი, სადაც ჩვენი ქაზიმი ცოცხლად არ არის!“ აი, იმ მაღლობზე არისო ქაზიმის საფლავი. მარცხნივ, ბროლელის თავზე მწვანეში ჩაფლული ხშირტიანი მთა გადმოგვეურებს.

– ეს მთა გარეული ღორებითაა სავსე. აქაურების უმეტესობა არ ჭამს ღორის ხორცს, სძულთ ღორები. სარფელ მონადირეებს გვეხვეწებიან, დახოცეთ რამდენიც გინდათო, მაგრამ ჩვენი მესაზღვრეები გვიკრძალებენ რაიმე დაავადების შემოტანის შიშით.

მზე მცხუნვარებს თავგამოდებით. იმდენი ხალხი ირევა, ვხვდებით, რომ ქაზიმის საფლავი ახლოსაა. უცხოური მარკის მანქანების ტევა არაა. ავტობუსებს ზოგს „სტამბოლი“ აწერია, ზოგსაც – „რიზე“... „კონია“, „ანკარა“... „ჯიპებისა“ და ე. წ. საოჯახო მიკრო-ავტობუსების ჯგროა, უღრანი, უსიერი. უშველებელ გვირგვინს წარწერით: „დიდ ლაზ მომღერალს ქაზიმ ქოიუნჯუს ქართველი ძმებისგან“ – იაშა თანდილავა





წაიღებს, უკან მივყვებით. აღფრთოვანებით შეგ- ვხვდება ზღვა ხალხი, რომელთა უმრავლესობას ქაზიმის გამოსახულებიანი მაისურები აცვია, დანარჩენებს სურათი აქვთ გულთან მიკრული. ქაზიმის სიმღერას უსმენენ. ღვთაებრივი ხმა ენანავება მწვანეში ჩაფლულ ირგვლივებს. ენით აუწერელი ოვაციებით გვხვდებიან ქართულ დელეგაციას. ტირილი... ქვითინი... მოთქმა... და წუხილიანი სიხარული... ქაზიმის მამა გვეგებება საფლავთან და სათითაოდ მადლობას გვიხდის. ასევე იქცევიან ქაზიმის და-ძმები. თავის მონუმენ- ტურ „ჰოუნანასთან“ ერთად გური ოტობაია ჭირისუფლებში არიგებს ციცქნა „ზოლაშ ბერეფეს“. ამ უკანასკნელს ქაზიმის დედა, რომელიც ასევე უთბილესად მოგვეფერება ყველას, საფლავის ქვას მიადებს ამ ბილინგვა – ორენოვან ნოველას და გულმდუღარე გოდებით შეესიტყვება ზენაარსს. „გურჯისტანს“ გაიძახიან დამხვდურები და თითოეულის სურვილია: მოვიდეს, მოგვეფეროს, მადლიერება გამოხატოს იმის გამო, რომ ჩვენც მათსავით გვიყვარს და პატივს ვცემთ მათ სათაყვანებელ ქაზიმს, ადამიანს, რომელმაც სულის არსებობა შეაგრძნობინა ჩალიჩით გათანგულ ენგიდ უნიას. სტამბოლის ერთ-ერთი ტელეკომპანიის ჟურნალისტი გვეუბნება:

– ქაზიმი მაღალმა ღმერთმა გამოგვიგზავნა, ჭეშმარიტების შესაგრძნობად. ანკარელი მხატვარიც იგივეს გვიმტკიცებს:

– ქაზიმი ცა იყო, რომლის ჩამობნელებაც ჩვენთვის ენით აუწერელი ტკივილიაო.

ყველას უნდა რაღაცა თქვას, შემოგვხშიანოს, თავისი ტკივილი გაგვიზიაროს. ჩატანილ წიგნებს თვალის დახამხამებაში წარგვტაცებენ ლაზები და იქვე დაიწყებენ თურქული თარგმანის კითხვას. სიტყვით გამომსვლელი ენაწყლიანად იხსენებენ ქაზიმს, ამ საოცარი ნიჭისა და გულის ხელოვანს.

როგორც ყველაფერი და ყოველივე ბუნებაში, ეს დღეც დასრულდება. სადამოს გემ-რესტორანში გავაგრძელებთ. სიმღერა. მუსიკა. პოეზია. ცეკვა და შეგრძნება უსასრულობისა... მასპინძლები ვერ გველევიან. „დარჩითო, ერთმანეთი რიგიანად მოვალხინოთო“, – გვემუდარებიან, მაგრამ მაინც გავიკრიფებით სათითაოდ... ზღვა არის უსაშველოდ მშვიდი და ტაღდათა უმშვენიერესი ხატობულებით ეფუნჯება ცას...

ლავა ბვასალია,
ჟურნალი „ხელეური“,
№2, 2010 წ.

ვიზიზეთ პრის სულიერ მამას

აღსრულდა ჩემო ლაზო, ძმაო, ჩემო ზოღაში ბერევე, ჩემო ქაზიმ ქოიუნჯუ, 4000 წელიწადი გამოცისკროვდა მიბურუსებული ჩვენი თვალსაწიერიდან, ჩვენი ხალიბ-ჰალიძონების, ჩვენი კარღუხების და ჰენი-ოხების, ჩვენი პელაზგების და კორიბანტების, ჩვენი მარგალებისა და ქართუშების — ზოგადად პროტონიბერიული მოღმის — ზღვა ხალხის სულიერების სივრცე.

ვინმე თევზაკი იოანი ერითრიის ზღვიდან გაღმოვა მესოპოტამიის სამხრეთით და ადგილობრივ ველურ ტომებს განანათლებს დამწერლობით, მიწათმოქმედებით, რკინის გამოღობის საიდუმლოებით, როკვით და გალობით, ანუ მოახდენს მათ სინქრონიზაციას, გაწონასწორებას, ჰარმონიაში მოიყვანს ერთმანეთის მოქიშპე ძალებს, შეათავსებს შეუთავსებლებს.

პროტოქართული ჯიშ-ჯილაგის მისია, დიახაც, შეუთავსებელ განზომილებათა შეთავსება გახლდათ პლანეტარული მასშტაბით. წინდებულ ესეში უფრო შთამბეჭდავად გამიჭირდა მტკიცებულებების მეტადრე შეკუმშვა, მაგრამ ვინაიდან მთელი სამყარო კონტინუუმი — სამერთიანი დრო, აწმყო-წარსულ-მომავლის ჯამი და ვაჟის თქმისამებრ, ნებისმიერი აღძრული ბგერა, მოძრაობა, ფერი, რაკი მკვიდრად შეუნახავს ჰაერს, ანუ სამუდამოდ აღბეჭდილა ბორჯალის გონსასეირო ფირზე, სხვა რა უფლება გვაქვს ერთხელაც არ დავესესხოთ ჩვენი მასულღმულებელი მაცხოვრის ნაბრძნობს: **არარაი დარჩეს დაფარულ!**

რეალობაა, დიდებული ლათინურის მეხოტბე ვერგილიუსის შეგირდი ალიგიერი დანტე, იტალიკურ კილო-კავზე ამღერდება რენესანსის ეპოქაში და საკაცობრიო ტრაგედიებს დააზოდებს „ღვთაებრივი კომედის“ სახით; რა გაეწყობა, მსგავსი ტკბილ-მწარე ყისმათი დაბედებია პოეზიის მამფალ რაბინდრანატ



თავორსაც, როცა ლამის მილიარდიან ინდოეთს ციციქან ბენგალიელების (30 მილიონი) ენაზე უწერს „მებაღეს“ თუ „გიტანჯალს“; ვერარას მოიმოქმედებ, ამნაირი მოქროლები დასჩემებია პროვანსულზე აკენესებულ მისტრალს შუაგულ საფრანგეთში; რას იღონებ, რომელ საკირეთში გადავარდები ფშავურ ჰ ანგზე ხარივით აბლავლებული ვაჟა-ფშაველას შემხედვარე?! რას იზამ, ამდაგვარია შეუდარებელი ეთერ-დაის ოქროლილები პირველყოფილი თუშეთიდან; თავს ზემოთ ძალა არ არის — ამისთანა გახლავთ გური ოტობაიას შემოქმედებითი სვეც: რომანებს, ესეებს სათაყვანებელი სალიტერატურო ქართულით თხზავს, ჩემო ლაზო ძმაო, მაგრამ შენს მიერ მემლექეთის საქვითინოდ შემძრავ ჰოუნანას — დასაბამისეული მეგრულით.

აქვე, ფრიად სულისშემძვრელი, გულის მომწურავ-შემკუმშავია საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორეს ამასწინანდელი საშობაო ეპისტოლე:

„ჩვენს ერს ქართული ენის სახით უდიდესი საუნჯე აქვს და მას თითოეული ჩვენგანი უნდა მოუფრთხილდეს; ჩვენს ენაში გაცხადებულია ჩვენი ისტორია, ჩვენი მსოფლაქმა და აზროვნების წესი. ენა არ არის მარტო კომუნიკაციის საშუალება. დააკვირდით, მაგალითად, ასეთ სიტყვებს: წუთისოფელი, სამშობლო, დედამიწა, გარდაცვალება, თავის უფლება, განათლება და სხვა. თითოეული მათგანი როგორი ფილოსოფიური სიღრმითაა დატვირთული!

ქართული ენის სისაყეს მის დიალექტთა და კილოკავთა მრავალფეროვნება, ქართველი კაცის განცდის სიღრმე და მდიდარი სულიერი სამყარო განაპირობებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სიძველის და საუკუნეთა მანძილზე განცდილი ცვლილებების მიუხედავად, არ გაწყვეტილა კავშირი ძველი და თანამედროვე ქართულ ენას შორის, რაც მის დიდ სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებს.

ჰოი, ჩვენო ენავ, ჩვენი მწუნარებისა და სინარულის შესაიდუმლევ, ცისარტყელასავით მშვიდობისმომფენო, მყინვარივით სპეტაკო და თურგივით მშფოთფარევ; ჩვენო ხელთუქმნელო სვეტო, ცამდე ამაღლებულო, საუკუნეთა ქარტყნილებში გამოვლილო ლურწამო, საძირკველო და მტკიცე ფუძე ჩვენო, ჩვენთა საუნჯეთა შექმნელო და დამცველო, მთების ძლიერებავ, მეფე და დარაჯო ჩვენი ერის რწმენისა, ერთობისა და მთლიანობისა!

არაერთხელ მოუნდომებია ავისმდომელს შენი შელახვა, შენი მოსპობა.

დღესაც, როდესაც ჩვენს წინაშეა უმნიშვნელოვანესი ამოცანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა, თანდათან იზრდება მეორე, არანაკლები საფრთხე ენობრივი დაშლისა; არიან ისეთი ძალები, რომელნიც ნაკლებად მოაზროვნე ადამიანებს უბიძგებენ, რომ ითარგმნოს ბიბლია ან სხვა წიგნები მეგრულად, სვანურად, ლაზურად და მოაშადონ ნიდაგი იმისთვის, რომ ახლო მომავლაში ქართული ენების განშტოებანი უკვე ცალკე ენებად გამოაცხადონ.

მსოფლიოში ვრცელდება რუკები და კვალიფიკაციები, თითქოს საქართველო აჭარლების, ლაზების, სვანების, მეგრელების, თუშების და სხვათა ხელოვნური გაერთიანებაა, თითქოს ყველას ჩვენ-ჩვენი ენა და კულტურა გვაქვს. ამით უნდათ ჩვენი ერის სხვადასხვა ეროვნულ გაერთიანებად წარმოჩენა. აქედან კი სახელმწიფოს დაშლამდე ერთი ნაბიჯია.

კაცობრიობა ახალი ტიპის დაპირისპირებაზე — ინფორმაციულ თმზე გადავიდა და იგი ძირითადად მასშედის საშუალებით სორციელდება. აშკარაა, რომ ჩვენს წინააღმდეგ სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს ინფორმაციული თმი და ამ ყოველივეს შესაბამისი საშუალებებით უნდა გავცეს პასუხი“.(ამონარიდი „საშობაო ეპისტოლედან“, 2010 წელი, გვ. 10-12, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).

როგორც ყოველთვის, აქაც ცამდე მართალს ბრძანებს ჩვენი სულიერების უმეტოქო მწყემსი: დიას და დიას! ჩვენ არაფერში გვარგია მეგრულად თარგმნილი ჰემინგუეი თუ დოსტოვესკი, პლატონი თუ არისტოტელე, საღვთო წიგნებზე საუბარი ამ კუთხით ხომ მთლად მკრეხელობის საგანია. ასეთი ქმედებები ნამდვილად ქარაგმული მინიშნებაა სეპარატისტული სულის-კვეთებისკენ, მაგრამ ვინმემ თუ დაიკენესა მეგრულ-ლაზურად, სვანურ-ფშავურად, უმჯობესია აქ ნუ დავიწყებთ განზე მაცქერალი ფსიქოლოგიის უნიადაგო ძიებებს: წერედიანის თარგმნილი სვანური პოეზია ამიერიდან ჩვენი ზოგადეროვნული ცნობიერების იშვიათი საუნჯეა; თავორის ბენგალიურ საგალობლებს არ მოუთხრია ჰინდის ენა და არც ინდოეთი დაუშლია საფეოდალოებად. აღარც მისტრალის პროვანსულად დამღერებულს დაუპირისპირებია ბასტილიასთან ხალხი თავისუფლებისათვის ნიადაგ ხმალშემართულ საფრანგეთში.

ჩვენ მეგრულ-ლაზური, სვანურ-თუშური კუთვა სულისა, გვჭირდებოდა და დაგვჭირდება მომავალშიც საფიცარი დედაქართულის შენობის განსამტკიცებლად, გასამზიანებლად და აქ ნებისმიერი სხვა ინტერპრეტაცია სამშობლოს ღალატის ტოლფასია. ასე რომ, ჩემო ლაზო ძმაო, ჩემო ქაზიმ ქოიუნჯუ, თუ გინდა ჯვარზე ცმულხარ, თუ გინდა ჯოჯოხეთში გადავარ-დნილხარ, მაინც ვერაფრისდიდებით გაქცევი

ბედისმწერალს — ეს ყველაფერი სამყაროს შინაგანი კარნახითაა, უფრო სწორად უფლისეული ზემოთაგონებით და არა მხოლოდ საკუთარი ავტონომიის მოპოვების ეგოისტური სურვილით.

ამ მომენტის პოლიტიკური ანალიზისას გათიშვის, განკერძოების ბრალდებები, ვგონებ ზედმეტი სიფრთხილის ბრალია, თავსხმაგამოვლილს ცვარ-ნამი რომ დააშინებს, იმგვარი თადარიგი, ვინაიდან კოლხეთი, მისი სამართალმემკვიდრე სამეგრელო, მეგრული, ქართული სახელმწიფოებრიობის აბსტრაქტული შენობის ურყევი ბალავარია, ქვათაკირი ათადან და ბაბადან მოყოლებული; ხოლო არქიტექტურაში ოდნავ ჩახედულმაც კი მშვენივრად უწყის: საფუძველი, საძირკველი რამდენად გაქცევია ზედნაშენ კედლებს თუ ქონგურებს! სამეგრელო, მეგრული საქართველოს მთლიანობის ურყევი ბურჯია მეფე ქუჯის გონივრულზე გონივრული მიგებებით ფარნავაზისადმი ოცდასამი საუკუნის მიღმეთიდან — **შენ პატრონი და მე ყმა!** აქ არ მომხდარა რაიმე განსაკუთრებული: პროქტოქართული მისიის განმახორციელებელმა კოლხეთმა ვეღარ შეიძლო მოზღვავებული პრობლემების სახელმწიფოებრივი გაძლოლა, წათვლიმა, გაირინდა და ასპარეზი დაუთმო უფრო ენერგიულს, გნებავთ — ეზოტერიკულსაც, ღვიძლს, სისხლ-ხორცს, ჯიმ-ჯილაგს — ქართუშების, ქართების ჩამომავალთ, რომელი ქართველური ტომებიც ათასწლეულების მანძილზე ახდენდნენ ეგვიპტის ფარაონებს კორონიზაციას, დაგვირგვინებას და რომლის გარშემო დავრახმულვართ დღეს წარსულ-აწმყო-მომავლიანად.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გვეიმედება — პირუთენელი დრო-ჟამი მეტის ღმობიერებით განსჯის ყოველივეს, რამეთუ **თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო დმერთისა თანა და სიტყვა იყო დმერთი იგი** — კირიბიში — ორქოშ სარწუმისი — რწმენის წიგნი — ოქროს საწმისი...

ღიახ, ჩემო ზოლაში ბერევე, ჩემო ქაზიმ ქოიუნჯუ, ეპიკური პოემა „ოდოია“ დაასრულებს ოქრომრავალი კოლხეთის საგას და „ლაზარე“ წარმოშობს მისი სამართალმემკვიდრე, მისი ფესვებიდან ამოყლორტილი საქართველოს. 3260 წლის წინანდელი აიას ამსახველი „ოდოიას“ სამეტყველო ენა თუ მეგრულია, XX-XXI საუკუნის მამულის საგალობელი „ლაზარეს“ საურთიერთობო ვერბალური არსენალი — დედა-ქართული, ისევ და ისევ პროტოიბერიული წიალიდან აღმომსკდარი სიტყვიერი ფენომენი. მითოსური „ოდოიას“ გმირები ტროას სივრციდან რომ შემოწილდებიან, შუმერისა და ეგვიპტის ცივილიზაციებიდან რომ მოჯარდებიან, სკანდინავიელებისა და დანარჩენი მსოფლიოს ბნელხვეულებიდან რომ მოდიდგულობენ — გილგამეში და რამზეს II, პრომეთე-არამხუტუ და აქციუს-ფაეტონი, აქილევსი და ჰექტორი, მედეა და იასონი, ელენე მშვენიერი და პარისი, ოდინი და ლოკი, გრძნეული ქალი ვოლვა და აგამემნონის ხარჭაქრისეისი, იგივე ელხე, კორიბანტების დედოფალი ნინანას მსგავსად, ჩვენთვის მახლობელი ეპოქის გმირებიც არანაკლები ცეცხლით იმდულრებიან — გუბაზ მეფე და რუსტიკე, ილია ჭავჭავაძე და ბერბიჭაშვილი, აინშტაინი და თავორი, სტალინი და ჰიტლერი, ბერია და ტრუმენი, ვავილოვი და პროფესორი აგლაძე, გამსახურდია და შევარდნაძე... თითქოს არაფერი შეცვლილა ამ 33 საუკუნის მანძილზე, დეკორაციები გადასხვაფერდნენ მხოლოდ, ადამიანები გადაჯგუფდნენ წუთისოფლის მიუკერძოებელ არენაზე, შური და თანაღმობა კი ძველებური დარჩა, თავდადება და გაუტანლობა, ბოროტება და სიკეთე, ამაღლება და დაცემა, მშვენიერება და სიგონჯე, ტრაგიკული და კომიკური. 33-მა საუკუნემ ბიჯითაც ვერ გადაანაპირა უფლისგან მეექვსე დღეს ბოძებული ხასიათები. გმირობა ბაჯაღლო ოქროდ ფასობს კვლავაც. მამულისათვის თავდადება უმაღლესი სულიერი ფასეულობაა თითქოს, მაგრამ გამოჩნდა სრულიად განსხვავებული მიმართულებებიც: კოსმოპოლიტიზმი — ხალხის სახელით უბრალო ადამიანის ძელზე გასმა, ეგზისტენციალიზმი და ალტრუიზმი, სოღომ-გომორის ტოტალური ლეგალიზაცია — ალტერნატიული სექსუალური ორიენტაცია ცისფრიანობის დამღით, მრავალი და ათასი, ვითომდა ახალი კარგად დავიწყებული ძველი რომაა.

პოემა „ოდოიათი“ დასრულდება პროტოიბერიული მოდგმის რკინის ხანა, კოლექტიური გადაჯგუფება საარსებო სივრცის მოსაპოვებლად, მახვილისა და ფარის, შეტევისა და დახვედრის საუკუნენი, რომელსაც დამაჯერებლობისათვის მეტი სიცხადით მიესადაგებოდა ზმნების, ქმედების ენა — მეგრული (ცნობისთვის, მეგრული ზმნას, პრეზენსს 86-ნაირად აწარმოებს, სალიტერატურო ქართული კი 14-გვარად); ხოლო ეპიკური ტილოთი „ლაზარე“ დანახულია ისევე ჩვენი ჯიმ-ჯილაგის სახენაცვალი სინამდვილე, ატომური აზროვნების ნემსის წვერზე დატეული პლანეტა დედამიწა, დაწნეხილი ინფორმაციის სივრცენი, ჰაერის შენახული გარდახდილ ვნებათაღელვის ფაილები, ცნებების, ტერმინების სტილი, მეობაში ჩაკეტილი ინდივიდის იმპერია, რომელიც ნაკლებად მოითხოვს არშინ-სტადიონებს, მიღებს და კილომეტრებს, აბრეშუმის ჭიასავით საკუთარ პარკში თავმონასკული, იქიდან რომ აკონტროლებს მსოფლიო პროცესებს, იქიდან აირეკლავს საკაცობრიო ფასეულობებს და აქ ბუნებრივია, უფრო ქმედითი და მისადაგებული ენა — დედა-ქართულია, მთვლემარე სულის გამოღვიძების მედროშე, დაფერფლილი ენერგიის კვლავწარმოების ბაირახტარი, თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ მომდევნო გამოცემაში გახდება ხელმისაწვდომი გულისხმიერი მკითხველისათვის. ღიახ, ჩემო ლაზო, ძმაო, ჩემო ზოლაში ბერევე, ჩემო ქაზიმ ქოიუნჯუ; აქვთ წიგნებს თავიანთი ბედი და ჩვენი ნაგოღგოთარი „ჰოუნანაც“ ასეთი რიგისაა უცილობლად.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს,
უწმინდესსა და უნეტარესს
ილია II-ს

თქვენო უწმინდესობავ,

საუბრის დაწყებას გაგბედავთ 2010 წლის თქვენს საშობაო ეპისტოლეზე – სულისშემძვრელ მოწოდებაზე ქართველი ერისადმი.

ყოველივე ამის ძირეულად გაცნობიერების შემდეგ ცნობილი მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი ერთდროულად მივედით მიზანშეწონილ გადაწყვეტილებამდე – გვეპოვა ჩინიდან გამოსავალი ღონისძიება, რომელსაც ენობრივი დაქსაქსულობა უქმნის ჩვენი სახელმწიფოს შინაგან მთლიანობას.

შევიმუშავეთ საგანგებო პროექტი და ამ ქათსური სიტუაციის მოთოკვის ერთადერთ რეალურ გზად დაგსახეთ მრავალტირაჟიანი, ხელმისაწვდომი ღირებულების განმარტებითი, კრებსითი ლექსიკონის გამოცემა. ამ ლექსიკონის მიზანია ყველა ქართველურ ენა-კილო-კილოკავს თავი მოუყაროს ერთ მონუმენტურ წიგნში „დედაქართული“, როგორც ჩვენი დედაენის მასაზრდოებულ წყაროებს: ქართლურს, კახურს, თუშურს, სვანურს, მეგრულს, ლაზურს აფხაზურ-რუსულ-ინგლისური შესატყვისებებით; რათა სამშობლოსა თუ მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ და მოღვაწე ჩვენს თანამემამულეებს არ დაეუფლოთ გაუცხოების სინდრომი; რათა ჩვენმა ჯიშ-ჯილაგმა ამ წიგნში ჰპოვოს თავისი სულიერი ნავსაყუდელი და არ მოწყდეს მშობლიური ენის მძლავრ მდინარეებს.

ვფიქრობთ, ამ მეტადრე მამულიშვილურ წამოწყებას მხარს აუბამენ წარმატებული და ქვეყნის მომავალზე მოფიქრალი ქართველი ბიზნესმენები.

ჩვენი უმორჩილესი თხოვნაა, მოგვცეთ კურთხევა ამ მეტად საშვილიშვილო საქმის დაგვირ- გვინებისათვის.

უღრმესი პატივისცემით,

ბური ოტობაია,

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე.

დედაქართული

(ერთტომეული)

სარედაქციო საბჭო

ჯონი ავაშიანი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, არქეოლოგი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლაშა გვასალია

მწერალი, ფილოლოგი, იურისტი, ერთტომეული
„დედაქართულის“ მთ. რედაქტორის მოადგილე

თავერ გვანცელაძე

სსუ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
აფხაზური ენის სპეციალისტი, ერთტომეული „დედაქართულის“ მთ. რედაქტორის მოადგილე

მირზა (პაპუნა) ღაშითაია

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში

იაშა თანდილაშა

საბოლოო ჯამში, რანაირი კრიტერიუმითაც არ უნდა შეფა-სდეს გური ოტობაიას „ოდოისა“, მთავრი ის გახლავთ, რომ ესეპიკური პოემა უკან ჩამოიტოვებს მრავალთ და თამამად იმკვი-რებს ადგილს „ილიადა“, „ენეიდას“, „ლთაებრივი კომედიისა“ თუ „ფაუსტის“ გვერდით. მართალია, იგი თავისი ახალგაზრდული ბიოგრაფიის გამო ჯერაც მაჭრად მონათლებს, სანამ გაძღვდებოდეს უამრავი ათწლეული და საუკუნე გადაუგვრიალებს თავზე, თუმცა ძირითადი გადაწყვეტილია, რაც საუბრის დასაწყისში დავსვით პრობლემის სახით:

აღდგენილია საქართველოს აქამდე განგებ თუ უნებლიეთ უგულებელყოფილი გმირული წარსული და იგი ქართული სახელმწიფოს შენობის ბალავრადაა მოტანილი;

პოეტურ ქმნილებაში „ცნობიერების ნაკადის“ — გენიალური ლიტერატურული მეთოდის მოშველიებით გასრულებულია გმირის შინაგანი პორტრეტის ძერწვის გასაოცარი ხელწერა.

დაბოლოს, თამამად შემიძლია განვაცხადო: არა მგონია ქართველ კაცს შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყოსის“ შემდეგ უკეთესი სასიხურულო ზოგადეროვნული ფაქტი გამოჩინოდეს.

ლაშა გვასალია,
„მწერლის გაზეთი“, №8, (196), 2010 წ.

ტროას უშუალო ტრიალი

„მწერლის გაზეთში“ დაიბეჭდა ლაშა გვასალიას რეცენზია „ოდოისა“ — ოცდამეერთე საუკუნის პირველი ეპიკური პოემა“. ლაშა გვასალია წერს: „ტროას ტრაგედიის (1250 ქრისტემდე) სულ რამდენიმე პოეტი გამოეხმაურა მწერლობაში: 3-4 საუკუნის შემდეგ — ვერგილიუს პუბლიუს მარონი — „ენეიდათი“; ოცდაოთხი საუკუნის გშემდეგ დანტე ალიგიერი — „ლთაებრივი კომედიით“; ოცდარვა საუკუნის შემდეგ — გოეთე „ფაუსტი“; ოცდათექვსმეტი საუკუნის შემდეგ გური ოტობაია „ოდოისათი“.

არაფერს ვამბობთ მსოფლიო ლიტერატურის კორიფეებთან გური ოტობაიას (გულად ფეტვლავას) შედარების შესახებ, მაგრამ ვეცდებით რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს გაავსვა ხაზი: ასტრონომიული სიზუსტემ არავინ იცის, რომელ წლებში მიმდინარეობდა ტროას ოსმი. არქეოლოგების აზრით, ტროას ცხრა ისტორიული ფენა გამოიყოფა. — ძვ. წელთა აღრიცხვით III ათასწლეულის დასაწყისიდან ძვ. წ. აღრიცხვით I ათასწლეულის შუა წლებამდე. სპეციალისტების მტკიცებით, მეშვიდე ფენაზე ძვ. წ. აღრიცხვით 1300 — იდან 1100 წლებამდე იარსება ჰომეროსისეულმა ტროამ, რომელიც აქაველებს ებრჯოდა. ძვ. წ. აღრიცხვით XII საუკუნეში ტროა ხანძარმა გაანადგურა. მავანი მკვლევარის აზრით, ტროას აღება ძვ. წ. აღრიცხვით

1184 წელს მოხდა. ზოგიერთ მეცნიერს უფრო ლოგიკურად ეჩვენება ტროა VI-ის დაკავშირება ჰომეროსის ქალაქთან. ბოლო მონაცემებით, ზემოაღნიშნული ქრონო-ლოგიური ჩამონათვალი კიდევ უფრო დაძველებულია. ასე რომ, მცირედ სარწმუნოა ტროას ტრაგედია 1250 წელს რომ დატრიალდა.

არ არის სწორი ის ფაქტი, რომ ზემოხსენებულ დიდ პოეტთა გარდა თითქოს არავინ შეხებია ტროას ომს. ცნობილია, რომ ტროას ციკლის იმ მოვლენებზე, რომლებიც „ილიადაში“ აღწერილ ამბებამდე უნდა მომხდარიყო, მოგვითხრობდა „ეპარეილი“, რომლის ავტორადაც ასახელებენ სტასინოსს, ჰეგესიას ან ჰეგესინოსს. ის, რაც მოსდევდა „ილიადაში“ აღწერილ ამბებს ტროადაში, გადმოცემული ყოფილა სამ პოემაში: „ეთიოპისი“ (არკტინოსი, ძვ. წ. აღრიცხვით VIII ს.), „ოლიონის დამხობა“ (არკტინოსი, ძვ. წ. აღრიცხვით VIII ს.), და „მცირე ილიადა“ (ლესქე, ძვ. წ. აღრიცხვით VIII საუკუნე). კიდევ რამდენიმე მაგალითის იოლუსტრირება შეიძლება. ვფიქრობთ, თვალსაჩინოებისათვის ესეც საკმარისია. ვერგილიუსმა „ენეიდაში“ ძირითადად უმღერა არა ტროას ომს, არამედ, ენეასს. პოეტის ეპოქაში რომი ითვლებოდა განახლებულ ტროად. ენეასი არის საგანგებო მისიით აღჭურვილი გმირი, როგორც ღმერთების ნებით ტოვებს აღმოდებულ ტროას, რათა წავიდეს თავის ახალ სამშობლოში. სწორედ, ამ იდეას ემსახურება „ენეიდაში“ ასახული ტროას ომის ფრაგმენტების წარმოჩენა. ტროას ომის გამშუქებელმა ვერგილიუსმა შუა საუკუნეების ლათინურ პოეზიაზეც მოახდინა გავლენა.

შემთხვევით როდია ის ფაქტი, რომ დანტემ თავის „ღვთაებრივ კომედიაში“ ვერგილიუსი აირჩია მეგზურად, ჯოჯოხეთსა და განსაწმენდელში. ვოლტერის ერთი გამონათ-ქვამის პერიფრაზირებას თუ მივმართავ, ჰომეროსმა თუ შექმნა ვერგილიუსი, მაშინ, ამ უკანასკნელის საუკეთესო ქმნილება-თაგანია დანტე ალიგიერი. მოკლედ, „ღვთაებრივი კომედიის“ უმთავრეს იდეას საკაცობრიო ცოდვების გამოსწისათვის გზის ჩვენება წარმოადგენს, რომლის გასახიერება ბეატრიჩია.

გოეთეს „ფაუსტს“ საფუძვლად უდევს ადამიანის სიცოცხლის არსის პრობემის გამოხატვა. აღნიშნული საკითხი ერთმთლიანობაში აკავშირებს პოემის პირველი და მეორე ნაწილის „ტროას ომის სილუეტები“ სცენებს. ეს ყველაფერი კი გოეთეს გამოყენებული აქვს თავისი მსოფლმხედველობის გამოსახატავად. ვალპურგის ღამის მოჩვენებათა ფანტასტიკური სურათებითა და ელადის თემატის წარმოჩენით გოეთე აგვისახავს ძველი ბერძნული კულტურის განვითარების ეტაპებს. „ფაუსტი“ არის გოეთეს ეპოქის ისეთივე მხატვრული ენციკლოპედია, როგორცაა დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ თავისი დროისათვის. ამრიგად, მხოლოდ ჰომეროსი ასახავს ტროას ომს. გამოკვეთილად სრულყოფილებასთან მიახლოებულად. ხოლო ვერგილიუსი, დანტე და გოეთე ამ ხოცვა-ყლეტის ელემენტებს იყენებენ თავიანთი მხატვრული ჩანაფიქრის განსახორციელებლად. ტროას ომის ჰემ მარიტი მიზეზი ჰომეროსს მშვენივრად აქვს გადმოცემული. ვერგილიუსმა, დანტემ, გოეთემ თავიანთი მხატვრული ტექსტები ტროას ომს კი არ მოუძღვნეს, არამედ სულ სხვა ფასეულობებს, რომელთა შესახებაც ზემოთ, ძალიან მოკლედ მივუთითე. მთელი რიგი მკვლევარების მოსაზრებით ეგეოსის ზღვის ორივე მხარეს დასახლებულ ხალხებს შორის ინტერესთა შეხლა-შემოხლა საბოლოოდ გამოიწვია ტროას ომმა. ელინური, ელინისტური და რომაული ბატონობის ეპოქების მრავალი შემოქმედისა თუ მოაზროვნის ყურადღებას იპყრობდა ეს თენმატიკა. ტროას ომამდე ერთი თაობის წინ განვითარებული მოვლენებიც კი არ გამოჩნდება არავის. გასული საუკუნის დასავლეთელი მეცნიერების საყურადღებო ნაწილის შეხედულებით, სხვადასხვა პოლიტიკურ თემებს შორის ურთიერთკავშირის მზარდმა გაძლიერებამ იმ შორეულ ეპოქაში ისე იწყა აღმავლა, რომ საბერძნეთის გავლენის სფერომ შავი ზღვაც კი მოიცვა; მინიერების, არგოსელებისა და სხვა ელინთა განვრცობის სიმბოლოდ ქვეყნული პელაზგი იაზონი იტაცებს კოლხეთიდან ოქროს საწმისს.

ფაქტობრივად მთელი საბერძნეთი იყო დაძრული კავკასიის მრავალფეროვანი მხარეების დასაპყრობად. ლაშა გვასალია გვარწმუნებს „გური ოტობაიამ პირველად ბელეტ-რისტიკის ისტორიაში მოახდინა გმირის შინაგანი სამყაროს გაფართოება მონოლოგებით.“ ამასთან, დაკავშირებით ძალაუფლებურად იბადება კითხვა: გური ოტობაიამდე რამდენიმე ათეული წლის წინათ რა მხატვრული ხერხებით შექმნეს თავიანთი რომანები ჯიმიზ ჯოისმა და უილიამ ფოლკნერმა?

ასევე, მიმაჩნია, რომ „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურული მეთოდის მოშველიებაც პროემაში, სიახლეს არ წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ გოეთესა და ბაირონის ეპოქაში „ცნობიერების ნაკადი“ ტერმინოლოგიურად არ იყო ფორმულირებული, მისი ნიშნები მაინც იკვეთება. „ფაუსტი“ და „ჩაილდ ჰაროლდი“ ამჟამად შეიცავენ შინაგანი მონოლოგისათვის დამახასიათებელ ასოციაციურობას, დიფუზიურობას და სხვა ექსპერიმენტებს. მთელი ის მექანიზმი, რომელიც ამოძრავებს „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკას, „ოდოის“ შექმნამდე გაცილებით ადრე გამოქვეყნებულ ო. ჰილამისა და ბ. ხარანაულის მხატვრულ ტექსტებშიც დომინირებს გარკვეულ წილად.

აქვე ცუნდა ითქვას, ისიც, რომ „ოდოის“ არ არის ოცდამე-ერთე საუკუნის პირველი ეპიკური პოემა. მეგრულ ენაზე ლდაწერილი ოდოია დაიბეჭდა 2010 წელს, მანამდე კი 2008 წელს ამერიკაში გამოვიდა ადამ ფოულდისის პოემა „გატეხილი სიტყვა“. 2008 წელს გამოქვეყნდა ასევე ამერიკელი ტომას ფლინის ეპიკური პოემა „ველოსიპედისტი“.

რეცენზენტი ლაშა გვასალია ასკვნის: და ბოლოს „თამამად შემოძლია განვაცხადო: არა მგონია ქართველ კაცს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ უკეთესი სასიხურულო ლიტერატურული ფაქტი გამოსჩენოდეს“. ამ შეფასების მიხედვით, გამოდის, რომ „ქართველ კაცს“, თავის დროზე შექმნილი დავით გურამიშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟასა თუ გალაკტიონის მხატვრული ქმნილებები ნაკლებ სასიხურულო ფაქტად ჰქონდეს გააზრებული

ნუზარ გულორდია,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
„კოლხური ვერსია“, №8,

რეცენზია რეცენზიის რეცენზიაზე

ნუგზარ გულორდავა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია, პროფესორი. მან, როგორც კრიტიკული აზროვნების მკვლევარმა, 1993 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „**იპოლიტე ვართაგავას ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობა**“. ასე რომ, ჯერ კიდევ ლამის ორი ათეულ წლის წინათ ნ. გულორდავა ქართულ ლიტერატურულ ცნობიერებაში დამკვიდრდა, როგორც შინაურული თემების მეჭაშნიკე. გავიდა თვრამეტი წელიწადი და ბატონი ნუგზარი უფრო სერიოზულ სფეროებს გადასწვდა, როცა სამეგრელო-ზემო სვანეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთში „**კოლხური ვერსია**“ ჩემი რეცენზიის რეცენზია განათავსა ფორმისა და შინაარსის ნიმუშად.

არა, ბატონი ნ. გულორდავა აქამდეც კანტი-კუნტად ბეჭდავდა კრიტიკულ წერილებს ესთეტიკურ თემებზე, პერიფერიულ პერიოდიკებში. „**ტროას უკუღმა ტრიალი**“ განსხვავებულია თემატიკით, მასშტაბით და ცხადია, შესაბამისი ცდომილებებითაც.

დავიწყეთ იმით, რომ მკვლევარი შემოიფარგლება ჩვენი რეცენზიით და არაფერი უწყის თავად **გური ოტობაიას** ეპიკურ პოემაზე — „**ოღოია**“. ეტყობა, ხელი ვერ მიუწვდა და ასე, მხოლოდ რეცენზიაზე დაყრდნობით ცდილობს უგულვებელყო ჩვენი დამოკიდებულება დასახელებული ნაწარმოებისადმი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფილოლოგიის დოქტორს უამრავი ლაფსუსი გაპარვია წერილში სტილისტური თვალ-საზრისით:

— „**ასე რომ, მცირედ სარწმუნოა ტროას ტრაგედია 1250 წელს რომ დატრიალდა**“ („**რომ**“ ორჯერაა ერთ წინადადებაში უსაფუძვლოდ, ტავტალოგია);

— ჩვენს დასახელებულ „**დატრიალდა ქრისტემდე**“ გამოტოვებულია, და 1250 აღიქმება, როგორც ახალი წელთაღრიცხვის თარიღი;

— „**პოტის ეპოქაში რომი ითვლებოდა განახლებულ ტროად**“. (ითვლებოდა, „**სწიტალ**“ — რუსიციზმია, უნდა ვწეროთ **მიინეოლა**).

— „**ამ იდეას ემსახურება ენეიდაში**“ ... „**ენეიდა**“ — ბრჭყალებშია საჭირო, ისე — გმირი შეგვრჩება ხელთ;

— „**არ გამორჩენია არავის**“ (ორმაგი უარყოფა), უნდა იყოს „**არავის გამორჩენია**“.

ეს ლიტერატურული ბორძიკობანი მოსათმენია, იმ ფაქტთან შედარებით, **რასაც ჰქვია შინაური მღვდლის შეუნდობლობის სინდრომი**. რეცენზენტი ჩასაფრებულოვით ამხელს „**ოღოიას**“ ავტორის მეგრელობას, (**გულადი ფეტვლა**), **„მეგრულად დაწერილი“**. კი, მაგრამ საიდან **უწყის უფალმა დოქტორმა ამის თაობაზე, როცა ნაწარმოები არ წაუკითხავს?** იქ მეგრულ ტექსტს გვერდით მიჰყვება მშვენიერი ქართული ბჭკარედული თარგმანი. ჩვენთვის გაუგებარია საიდან საფუძვლიანდება ასეთი ნიველირების მოტყუება. **ნ. გულორდავა** პირველ რიგში ესთეტიკოსია და ვაღივებულია, როცა **ფლისის „ველოსაპედს“** კითხულობს, ან **ფოულდის „გატეხილ სიტყვას“** მოიშველიებს XXI საუკუნის ეპიკური პოემის პირმშოდ, თავად „**ოღოიას**“ მორევიც ჩაეყვინთა ოდნავად — აჯობებდა ნამდვილად; ჩვენ, დიახაც, ვადასტურებთ იმ რეალობას, რომ „**ტროას ტრაგედიის**“ თარიღის გამოცხადებისას (ძვ.წ. 1250), აბსტრაქტულნი ვყოფილიყავით — (XIII-XII ძვ. წ.) ამით თავიდან ავიცილებდით ოპონენტის მენტორულ ტონს, მაგრამ რა ვუყოთ ინფორმაციის წყებას, (ტროას გათხრების ერთად- ერთი მონაწილე საქართველოდან, ბ-ნი **ჯონი აფაქიდის** მონოგრაფიები, ხეთური წყაროები, კიდევ უამრავი მასალა, რომლებშიც გარკვევითაა განმარტებული ამ ათწლიანი ომის ქრონოლოგიები — 1250-1240-1260. სხვა დათარიღებანი მერყეობენ 100-150 წლის დიაპაზონით და აქ წიგნიერი კაცისთვის 1250 წ. ქრისტემდე სიმბოლურია ოდენ). სანამ დოქტორ **გულორდავას** სხვა შენიშვნებზე შევიჩერდებოდეთ, დასაკონკრეტებელია რამდენიმე საკითხი:

1. **რა არის ეპიკა, ეპიკური პოემის არსი, ეპოსის კოორდი- ნატები.**

2. **რა სივრცეებს ეჭიდება გური ოტობაიას ეპიკური პოემა „ოღოია“.**

3. **დაბოლოს, „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურულმა მეთოდმა როგორ შეაძლებინა გური ოტობაიას ერთი პიროვნების აზროვნებაში მოექცია პრეისტორიული ცივილიზაციები — შუმერული, ეგვიპტური, ტიბეტურ-ჩინური, ბერძნულ-სკანდინავიური თუ აცტეკური, რათა მთელი სამყარო დასინქრონებულიყო კოლხურით, იგივე პროტოიბერიულით, აწ საზოგადოდ — ქართულად წოდებულით. აქვე რეცენზენტს გვსურს, შევახსენოთ — „ცნობიერების ნაკადი“ მეოცე საუკუნის ლიტერატურული პროდუქტია!**

ტროას ათწლიან ტრაგედიას სულ რამდენიმე პოეტი გამოეხმაურა მწერლობაში: სამი-ოთხი საუკუნის შემდეგ — **ჰომეროსი** — „**ილიადა**“ და „**ოდისეათა**“. 12 საუკუნის შემდეგ — **ვერგილიუს პუბლიუს მარონი** — „**ენეიდათა**“; 24 საუკუნის შემდეგ — **დანტე ალიგიერი** — „**ღვთაებრივი კომედიათა**“; 28 საუკუნის შემდეგ — **გოეთე** — „**ფაუსტი**“, 36 საუკუნის შემდეგ — **გური ოტობაია** — „**ოღოიათა**“. აქ ჩვენს ესთეტიკოსს ჰომეროსი საერთოდ ამოუგდია ჩამონათვალიდან და „**სამი-ოთხი საუკუნის შემდეგ ვერგილიუს პუბლიუს მარონი**“, წერს. ანუ 700-800 წლით აძველებს რომა- ელების ჩინებუი პოეტს.

ჩვენ სიტყვა „**დაბოლოს**“ გაერთიანებულად ვწერთ და არა „და ბოლოს“-ად — განცალკევებით, ცდომილად, არამედ ისე, როგორც ორთოგრაფიის კანონები მოითხოვს, მაგრამ გვიხსენებია და კვლავაც ვამხელთ, ამ შინაური მღვდლის შეუნდობლობამ გააჩანაგა ჩვენი ისედაც ბერწი გონება. **ნ. გულორდავა** გვიმტკიცებს **ვერგილიუსი, დანტე, გოეთე ტროას ომს, ტროას თემატიკას** თავიანთი კონცეფციის გამოსახატავად შეეხსენო. ამასთან, ილიონის თემატიკას ჩვენამდე მოუღწეველი ავტორებიც უკირკიტებდნენ: **არკტინოსი** ძვ. წ. VIII ს. („**ეთიოპისი**“, „**ილიონის დამხობა**“), **ლესქე** ძვ.წ. VII ს. („**მცირე ილიადა**“). ჩვენი კაცობრიობისათვის არსებულ ლიტერატურულ ფაქტებს ვგულისხმობთ და ვერგანვახორ-

ციელებთ ვერბალურ არქეოლოგიას. დიახ, შენდობა არ აქვთ შინაურ მღვდლებს — მათ შორის ცხადია, **გური ოტობაიასაც**, რომელმაც უკვე გამოაქვეყნა მეორე ეპიკური პოემა „**ლაზარეს**“ თავები, ამჯერად ქართულად, ზოგადეროვნული ქართულით („**ქართული სიტყვა**“, 2011; „**მწერლის გაზეთი**“, N4, 1-31 მაისი, 2011), და ხმამაღლა აცხადებს, დიახაც, XXI საუკუნის უწინარესი პოეტი ვარ, რომელიც გრანდიოზულ თემებს ვეჭიდებით. და არა ველოსიპედ-დეპეშებს თუ გატყვილ სიტყვას, რომელთა, ეპიკურ პოემებზე მონათვლა ძალდატანებითაა. ბევრიც რომ ვეცადოთ, პოემა ვერაფრით იტვირთავს ეპიკური პოემის ფუნქციას, როგორც მოთხრობა ეპოპეის, ტრილოგია-ტეტრალოგიებისა. დოქტორ **გულორდავას** ახირებაა, თორემ სინამდვილეში მის მიერ დასახელებული პოეტური თხზულებანი რიგითი პოემებია, ბალადებს რამდენადმე აღმატებული. მაგრამ გაღიზიანება მოდის ჩვენეული შეფასებიდან, როცა ვაცხადებთ: „**არა მგონია, ქართველ კაცს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ უკეთესი ლიტერატურული ფაქტი გამოჩენოდეს-თქო. ვინ შეუკვეთა ეს ნიველირებისა და ნიპილიზმით გაჟღერებული სულისკვეთება, ნეტავ ჩვენს დოქტორსა? თანაც უზნაბის „განწყობის თეორიის“ შემდეგ ეს ესთეტიკოსი ლექციას გვიკითხავდეს „ცნობიერების ნაკადის“ არსზე, ეუფლე ლეთას! თითქოს ჩვენ არ ვუწოდებთ, როგორ ფიქრობენ „ფაუსტისა“ და „ჩაილდ ჰაროლდის“ გმირები, ან როგორ ჩაუღრმავდებიან საზრისს ჭილაძისა და ხარანაულის ლირიკული სახეები. ფიქრი, განსჯა ყოველთვის იყო მწერლობის წარმართველი ენერჯია. მაგრამ, **დოსტოვესკის როდიონ რასკოლნიკოვამდე** არავინ შეხებია ამ მეთოდს გააზრებულად, ხოლო **ჯოისმა** და **ფოლკნერმა** დააკვირგინეს ლიტერატურული ხელწერა ესე, „ულისეთი“ და „ხმაური და მძვინვარებით“. თუმიცა, მათ, ეს სიმაღლეები პროზაში დაიპყრეს, ხოლო გური ოტობაიამ იგივე მეთოდი პირველად დანერგა პოეტურ სტრიქონში, შაირსაც რომ ეძახის **რობაქიძე** ჩვენი. ხოლო, სასიხარულო ფაქტად იმიტომაც მიგვაჩნია „**ოდოიას**“ გამოჩენა ლიტერატურულ ავანსცენაზე, პირველად მოხდა ქართველი კაცის ცნობიერებაში პლანეტარული განზომილების ადეკვატურად ასახვა „**ვეფხისტყაოსნის**“ შემდეგ. აქ **გურამიშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, თუ გალაკტიონის** მოხმობა „**ნაკლებ სასიხარულო ფაქტად**“ თითქმის განმარტებული ინტრიგანული „**ჩაშვება**“ პროვინციისგან ცენტრის წინაშე, ვინაიდან ისინი ეპოსის ჟანრში არ მუშაობდნენ. ისინი პოემის ფარგლებში ეტყვიან, ზღვათა წყალწყვილის ზომადებს აღაშენებენ და ოკეანეთა გრაგნილებში არ აგზავნიან თავიანთ გემებს ტალღებთან ჭიდილში გამოსაცდელად.**

გური ოტობაიამ „ოდოიას“ სახით შექმნა ოკეანეთა მქობატყვის დამჭიდებელი კიდობანი „**ნოათუნი**“, რომლის ეკიპაჟით, მრეკლით ხდება ნახევრად თუ სრულად ველური მსოფლიოს სინქრონიზაცია. ამას ჩვენი წერილის ავტორიც ჩინებულად შენიშნა, ნაწარმოებს რომ გასცნობოდა და მხოლოდ რეცენზიას არ დაყრდნობოდა. **გური ოტობაიას** ეპიკური პოემა „**ოდოიას**“ ერთხელ წამკითხველი გადაქანცულია კოლოსალური ინფორმაციის შემოდინებით. მისი მეორედ წამკითხველი ერთგვარ შვებას იგრძნობს ქვევრიდან ქვევრში გადატანილი ღვინის მსგავსად. მესამედ ვინც მოახერხებს ამ გასაოცარ თხზულებაში ჩაღრმავებას, ბრძენთაბრძენი ქურუმ-მოგვივით დაეყუდება საკუთარი სულის წინაშე და ნაკლებად აადლეკებს, რისთვის ლულულდებს საყველპუროებს ქონიძალეული მსოფლიო; ნაკლებად ააფორიაქებს, თუ რომელი ერი გამოაცხადებს პრეტენზიას პირველობაზე პალეოგრაფიაში; ნაკლებად იდარდიანებს იმაზეც, თუ რამდენად შეძლებს კაცობრიობა თარგმანში ადეკვატურად გადმოსცეს ტროას სამზარეულოში მგერულით ჩაყვინთული ეპიკური პოემა „**ოდოიას**“?!
არც ჰომეროსი მოსწრებია **ილიონის** იავარქმნას. ამბის გადმოცემისას ისიც მითოლოგიას ეყრდნობა; მაგრამ ხუთი თუ 36 საუკუნის წინანდელი ფაქტის დამუშავება არ გვათავისუფლებს პოეტური უნარების საღაროებისგან. **გური ოტობაიას** სტრიქონი ნამდვილად სულის ზეიშია თავისი ელასტიკურობით, მეტაფორულობით, ფსიქოლოგიური და თეოლოგიურ-ფილოსოფიური შრეებით. მე აღრინდელ რეცენზიაში რამდენადმე მოვიზღუდე თავი, ნაკლები პატივი მივაგე მეტის მისაგებელს. აქ კი სრულიად ცალსახად დაუბატებ: **XXI საუკუნე ადრე თუ გვიან სამაგიდო წიგნად გაიხდის გური ოტობაიას ეპიკურ პოემა ოდოიას-თქო.** ეპიკური პოემა „**ოდოიას**“ აისებერგვითაა აბსენტიტ გაბანგული ტიტანი კების დასამსხვრევად წამოფოფრილი. და აქ ფილოლოგიის დოქტორი თვალეში ნაცარს გვაყრიდეს, თითქოს სიტყვებს ვერ ვზომავდეთ, როცა **გური ოტობაიას** ეპიკურ (დაიხსომეთ ეს სიტყვა — ეპიკური), პოემა „**ოდოიას**“ მივიჩნევთ „**ვეფხისტყაოსნის**“ შემდეგ ქართული სულიერების გამობრწყინებად მონუმენტურ ჟანრში. თითქოს არ ვიცოდეთ დოქტორ **გულორდავას** მიერ ჩამოთვლილმა ჩინებულმა კალმოსნებმა რა შექმნეს. **გურამიშვილის „ქართლის ჭირი“** სათავგადასავლო პოემაა ოდენ, რომელსაც სამყაროსეულ სიღრმეებს ვერ მოსთხოვ. აქ შესადარებლად, ან დაპირისპირებისთვის ნაკლებად გამოგადგება აკაკის „**გამზრდელი**“, ილიას „**განდგელი**“ თუ „**რამდენიმე ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან**“, ვაჟას „**სტუმარ-მასპინძელი**“, „**ალუდა ქეთელაური**“, „**გველისმჭამელი**“, გალაკტიონის „**ჯონ რიდი**“, გნებავთ მოცულობით უშველებელი „**მსოფლიო წიგნი**“. აქ დასახელებული თითოეული ნაწარმოები ერთგვარულიანი პოემაა, როცა ეპიკური თხზულება უამრავი სიუჟეტის, ამბის, მოვლენის შეჯამების შედეგია თავისი ფორმა-შინაარსით, მაგრამ ხომ უნდა ავიმხვდრონ მრეკლი „**მეფართავავე**“ დოქტორებმა, აქაოდა, **გური ოტობაიას** დითირამბებს უმღერიანო. უმჯობესია, გეთავა, აიღოთ ეპიკური პოემა „**ოდოიას**“. ვგონებ, ოდითქონ კაცისთვის არც იმდენად უცხო უნდა იყოს მგერული, რომ საყველპურო ინგლისურით მიესაუთოთ „**გატყვილი სიტყვისა**“ და „**ველოსიპედის**“ კითხვას. რაც მათში არ არსებობს და სხვაგანაც იშვიათად მოიძიება, აგერ, ყურის ძირას აღმოცენებულ „**ოდოიასში**“ დაფლული, დამარხული მთელი ცივილიზაციის განსაკითხავად, თუმიცა რა ეშველება კონსტანტინეს ციტატას?! „**ოდითგანე ასე მოგვდამს ქართველებს: მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დაეკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვაუები**“ („დიდოსატატის მარჯვენა“, 1966წ., გვ. 372).

ლაშა გვასალია.

3 მაისი, 2011 წ.



განმუხურის ხილამდე ასეთი ხალისით აქამდე არასდროს მივლია. გალარულია ხელისგულივით გზატკეცილი და ათწლეულების წინანდელი ჯაყჯაყი დავიწყებას მისცემია. ჩვენ კოდუებისკენ მივემგზავრებით. აქ ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, ერთმა ახალგაზრდა კაცმა მომცრო წისქვილი წამოასკუპა ენგურზე და მოაწყდა იქაურობას გაღმეთელ-გამოღმეთელი. ეს პიროვნება ფრიდონ კოდუა გახლდათ, ზუგდიდში რომ აითვალწუნებენ ბირჟავიკები რომან-ტრიადა „სიცოცხლისციურების“ პირველი წიგნის მიხედვით, თუმცა ახალ ამბულაში თუ ვინილავდი, ნამდვილად არ მოველოდი. ინფორმაცია მისი ბიზნესის თაობაზე პრესიდან შევიტყვე. საქართველოს საუკეთესო ფერმერად დაასახელეს თურმე ერთ-ერთ ნომინაციაში. თურქეთის, კონიას მხარის საერთაშორისო გამოფენის მონაწილე, მორიდებით გამომეცნაურება ზუგდიდის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში და დავიძრებით კიდევ დარჩელისკენ. დარჩელი ჩემი მეორე დედუღეთია. აქ მყვანან ნათესავები — არნანიები, თოდუები, ყორშიები, ხუფენიები; სამეგობროდ — აბსანძეები, ბიგვაკები, კოდუები და ვინ მოსთვლის. დარჩელი მუხლძიერი სოფელია. მისი ძირითადი შემოსავალი თხილი და სიმინდია. აქ მეცხოველეობა ვერაფრით გაიმართა წელში, ვინაიდან მიწის ნაკლებობას უჩივიან. თანაც ყველაფერს ემატება ალვირასნილი მიწის ბიზნესი — სოფლის განუკითხავად უცხოელი ინვესტორებისათვის მათი გადაცემა ათასნაირი დარღვევის გათვალისწინებით. სავარგულებს არაფერი შემატებია თუ არ მოაკლდა — მოსახ-ლეობამ იბარტყა და ყველას მიწის სიმცირე აკერია პირზე. მაჟორიტარობის კანდიდატის არჩევნებისას ჩვენს წინაშე ბევრერ ამოტივტივდა ეს თემა. დარჩელელებს დიდი კოლექტიური თანადგომა სჩვევიათ. ადრეულ წლებში ერთი წერილის გამო ვიწვნივე კიდევ: როცა ოტობაიელებისა და დარჩელელების ხასიათებს შვეა-დარებ ფრაზა გამექცევა — დარჩელებებთან ერთობა ჭარბობს-მეთქი განვაცხადებ, დააშავებს ერთი? მთელი სოფელი ურტყამს-მეთქი, ხოლო ოტობაიაში ერთი-ერთზე გადიან-მეთქი, წამომცდება. სიტყვას მოფრთხილება სჭირდება თურმე, განსაკუთრებით, როცა სოფლის მთლიანობაზე მსჯელობ. მოვიბოდიშებ კიდევ ამის გამო ნეტარხსენ ებულ, პოეტ ანტიფო არნანიას ოჯახში სიტყვიერად და წერილობითაც „დილის გაზეთში“, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რამხელა სიყვარული ჩავაყოლე ამ იშვიათი ალალ-მართალ ხალხს რომან-ტრიადა

„სიცოცხლისციურების“ ჰოდა, ეს მანუგეშებდა. წარმოსახული გმირი ოდიშელია თუ გულა კოდუას ბიჭი, ქესქიას ბადიში, აგერ, არ გამომეცხადება მთელი სისავსით?! დროს თავისი წაუღია. შეთხელებულა ქოჩორი, მაგრამ სიღარბაისლე მინიჭებია ხმას და რაც მთავარია, ნაკვიანევი ყვავილები მოჰყოლია მის დაოჯახებას — ორი ასული და გვარის გამგრძელებელი ძე. ღმერთმა აბედნიეროთ, ღმერთმა უმრავლოთ ეს მუყაითი და მშობლების გულის გამხარებელი შვილები. ისინი უფროსებს ტოლს არ უდებენ საქმიანობისას. საფუტკრეებია ეს, თხილის ნარგავები, ბოსტანი სათბურში თუ გასხლული ფიჩხის დაკაპანება საშეშედ. არც სწავლაში უდებენ ტოლს ვინმეს. ჩვენი ნარკვევის გმირის მეუღლე სამურზაყანოელი მანდილოსანია — დალი მარხულია — ოქუმელი ქალი. მათი სოფელი გამორჩეული იყო მთელს აფხაზეთში ოტობაიის მხარდამხარ. ბევრი მიწერია იქაურ ძუძუმტეობასა და სისხლის აღებაზე, ფარფალიები და ემუხვარები რომ ამოხოცავენ ერთურს. შემდგომ ოტობაიელი მედია ტორების თავგამოდება როგორ გამოიღებს შედეგს. ქალბატონი დალი წამითაც არ სცილდება თავის თანამეცხედრეს, მის ბიზნესში ერევა ქალური ალღოიანობით, ვინაიდან საჭირო გახდა ბოლო დროს ბიზნესში ქალური წინდახედულობის შემოშველიება. მოვიდა ერთხელ ვინმე ბრეტისბრეტი ქალბატონი და ათასების საგულდაგულოდ დარჩეული თხილი ნიავ-ქარს გაჰყვა. მწარე სინანულით იგონებს ამას ახლა ჩვენი ფრიდონი, მაგრამ უსაშველო არაფერია, მოიძებნა თითლიბაზეების კუდები და ნაწილ-ნაწილ იბრუნებენ ვალს. სანთელ-საკმეველი თავის გზა-სავალს არ დაჰკარგავსო, იტყვის ხშირად. კოდუებისას რამდენიმე საათს დავყოვნდებით. დავთვალეირებთ ათამდე ჰექტარ თხილნარს, სანერგეებს. კოდუა თავისი ეტიმოლოგიით კოდთანაა დაკავშირებული, სარწყავთან, კოდვასთანაც, ცხადია. ერთიცა და მეორეც მუხლჩაუხრელი გარჯის მიმანიშნებელია. მათ სამოსახლოს სტუმარი ნამდვილად არ აკლია. ამას წინათ საზოგადოება „ზუგდიდელის“ პრეზიდენტს, ყოფილ პრემიერს, ბატონ ოთარ ფაცაცის უმასპინძლეს. სტუმრების ამალაში იყვნენ ქალაქის წარმატებული ბიზნესმენები. ყველა აღფრთოვანებული დარჩა კოდუების თხილის ფაბრიკით. აქ ოცამდე ადამიანია დასაქმებული. კოდუებს უამრავი პროექტი აქვთ მომზადებული. აპირებენ თევზის მოშენებას. თავის დროზე



პეპერა ქესქიას მიერ ოქროს ფულად შეძენილი მათი მამული, ზედ ჯუმისა და ენგურის შესართავთანაა განლაგებული. აქ თავისუფლად შეიძლება სარკისებრი კობრის მოშენება. სასტუმრო კომპლექსის მოწყობა უცხოელი ტურისტებისათვის — აგერ, ბუნების საოცრება გარემო, თვალს წყალს დააღვივებ, მსუბუქი კატარლით გაასვირნე ხალხი ანაკლია-ჭურისაკენ.

პრეზიდენტსაც უხილავს თურმე მათი ოჯახი, სულ რაღაც ორიოდე წუთით. მაშინ ფრიდონი შინ არ ბრძანებულა. ახლა გულით უნდა თავად ბატონ მიხეილთან გაბასება. სჯერა საამისო ჟამიც მოაწევს. კოდუების სავარგულებს ბევრი მოშურნე უკვარკვალებს თვალს. ედავებიან ოდესღაც კომპანიონობის სურვილით შემოხილებული ადამიანები. არაფერი შეინანა მათთვის ფრიდონმა, ახლა ქესქიას თხილნარის წართმევითაც ემუქრებიან, მაგრამ გვითქვამს, ქალბატონი დალი მარხულია ნამდვილი ავაზაა, არავის დაუთმობს თავის ოჯახის ნაამგაგარს, მისი მცირეწლოვანი შვილების მიერ ნალოლიავებ თხილნარებს. სკადეს ამას წინათ აფხაზმა ბოევიკებმა მათ სამოსახლოში შეჭრა, მაგრამ ნამდვილ მეციხოვნესავით დაუხვდა ოჯახის ღირსეული დიასახლისი. კარი არავის გაუღო. არც მათი ჯავშან-ტრანსპორტიორის შემოჭრის შემინებია. ოღონდ ეგ იყო მომდევნო დღეს გახიზნა ოჯახი დარჩევიდან ფრიდონ კოდუამ და იმ ღამეს ენგურსგაღმა დაბანაკებულმა მტერმა ისევ მიაკითხა მათ სამოსახლოს. ამჯერად გამოკეტილ ოჯახში დაურიდებლად შეაბიჯა მტერმა. თავდაყირა გადმოატრიალეს ავეჯი. ალბათ, ვიღაც მოშურნემ დააკვალა ისინი, ოქროს ინახავენო. ქესქიას ნაშიერი იმისთანა შერეკილი ნამდვილა არ გახლავს ოქროს სხვეზე ინახავდეს, თანაც გახიზნულ სახლში და ისიც გაბოროტებული მტრის წასახვეტად.



მათი გასაჭირით აფორიაქებულმა, შევეხმიანე პრეზიდენტის რწმუნებულის პირველ მოადგილეს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, მართლაც რომ დაუდგრომელ ალექსანდრე ახვლედიანს, ალიკას. — ვიცი ყველაფერიო, — მითხრა საკმაოდ გაცხარებული ტონით, — განმუხურიდან ვბრუნდები ახლა. უკვე ამ სოფელს ჩვენები აკონტროლებენო. — გავიხარე, მოულოდნელი ინფორმაციით, ის კი აგრძელებდა საუბარს კოდუების სამოსახლოს ვითარებაზე, — ჭორები დადის ახლა, ეს წაიიღეს, ეს გაიტაცესო, ნამდვილად არ შეესაბამება სინამდვილეს. თუკი რაიმეა წაღებული კოდუებიდან ბავშვის ველოსიპედი. ამ ველოსიპედის თაობაზე თავად ფრიდონმა გამიმხილა მოგვიანებით — ჩვენი წაღებულიაო. არავინ უწყის, რას ეძებდნენ აფხაზები კოდუების სახე ოჯახში. სავარაუდებელია ფულსა და ოქრო-ვერცხლს, მაგრამ ვიმეორებთ, ფრიდონ კოდუა ნამდვილი მეურნე კაცია და მას ყოველი სოფლის მეურნეობაში, პლანტაციებზე და ნარგავებში დაუბანდებია. ფულს ბანკში ინახავს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას თუკი მორჩა რამე. რაც შეეხება თხილის გადამამუშავებელ მის ქარხანას, ნამდვილად ევროპული სტანდარტების შესაფერისია. ნამყოფია ფრიდონი ისრაელში, გერმანიაში, იტალიაში. ახლათახალ ტექნიკაში გაწაფულს შეეშლება განა რომელი ფირმისაა უფრო სანდო და მოხერხებული?! ვახსენეთ, პრეზიდენტის სტუმრიანობას ნატრულობს დღედაღამ- თქო, რადგანაც დაუგროვდა სათქმელი მეურნე კაცს მხარის სახელით. მასზე უკეთესად არავინ უწყის ახლა უბრალო ხალხის სატკივრებისა. ვერც ზაგდიდის მაჟორიტართან, საქართველოს





პარლამენტის ვიცე-სპიკერთან, ერთმოსახელე ფრიდონ თოდუასთან მოუხერხდა ჯერხანობით შეხვედრა. — სანთელ-საკმეველი თავის გზა-სავალს არ დაჰკარგავსო, — იტყვის, გამოვა ქუჩაში, იქ ენგურისპირას ჩამორიგებულ ჭადრებთან გამართულ მაგიდას მიუჯდება. თუ შვილებმა ჩაი მოუტანეს ხომ კარგი, ხილი ყოველთვის აწყვია დიდრონ ვაზაზე. აიღებს ბასრ დანას, და ზუსტად ისე, როგორც პაპამისს ქესქიას უყვარდა, იწყებს მსხლის გათლას ფიქრებში ჩაძირული.

**კონიას დღიური.
სამი ჭიქა ჩაი 26 დოლარად!**

ეკონია მეგრული სიტყვაა. პარტახს, გავერანებულს ნიშნავს ქართულად. მაგრამ თურქეთის დაეტყო უცხოური ინვესტიციების მაღლი და ტიპიურ უდაბნოში მიყოლებით ჩნდება ოაზისები. კონიაში ძირითადად იტალიელები მოღვაწეობენ. მათი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებების მანქანები საინტერესოა მრავალი კუთხით, მაგრამ ფასები ერთობ მიუწვდომელია ჩვენი გლეხობისათვის. ერთ კურიოზულ ფაქტს გაიხსენებს ბატონი ფრიდონი. თბილისიდან წარგზავნილები ფეშენებელურ სასტუმროში განათავსეს. მგზავრობა ორგანიზატორების დაფი-ნანსებულია. სადილი უფასოა, მაგრამ საუზმე-ვახშმისთვის საკუთარი ჯიბით უნდა იზრუნო.


დილაუთენია გაელვით მას და მასთან მობინადრე კოლეგას, სენაკელ გოდერძი წურწუმიას. გზადაგზა კიდევ ორი შემოუერთდათ. იციან აქაურ სამზარეულოს ნაკლებად გაწვდება მათი ფინანსური შესაძლებლობა. ამიტომაც ინებებენ ლიმონიან ჩაის. ანგარიშის ამოტანას ნომერში უბრძანებენ მომტანს. ჰოდა, საკვირველებავ, 26 აშშ დოლარის ჩეკი არ დახვდებათ მაგიდაზე?! ღვიწოზე ოცნება ხომ ზღაპარია. ბოთლი 50-60 დოლარი ღირს! — ხმაურიანი ქალაქია კონია. ვიწრო ფერმერები ჯერაც ჩალმებით და ნაცლიონალური მახუჭიანი შარვლებით დაიარებიან. ტიპიური თურქები გახლავან. ლაზს უცებ იცნობ, ჩვენი ჯიშ-ჯილაგისას. ჩვენ ორივე, მე და გოდერძი შავტუხები ვართ და უფრო თურქები ვგონივართ ადგილობრივებს. ის ლაზი ჯერაც დაუოჯახებელია. მითხრა, ჩვენებურ გოგოს ვეძებო. მართალია, თურქეთის ლაზობამ მუსულმანური სარწმუნოება მიიღო. თურქული მშობლიურ ენასავით აითვისეს, და ყველაფერთან ერთად, თავიანთი შესაშური ერთგულობა-ულალატობის წყალობით შეუფერხებლად მიიწვიან წინ. ბიზნესში წარმატებული ხალხია. ამას ნაკლებად იტყვი ადგილობრივ სომხობასა თუ ქურთობაზე. იმათ აქვთ თავიანთი პრობლემები თურქებთან. სომხებს ვერაფრით დაუვიწყრიათ ცხრაას თხუთმეტის გენოციდი. სულ იმის ცდაში არიან ეს ფაქტი აღიაროს დანარჩენმა მსოფლიომ. ბუნებრივია, თურქებს ამისი ყურად გაგონებაც არ სურთ. ომი იყო, იტყვიან. ორმხრივი ომი იყო ნაციონალურ ნიადაგზე და მორჩა. მხოლოდ საფრანგეთმა წაივარა ამ გენოციდის თემით, მაგრამ ამბობენ ამ აღიარებით, მიტერანმა 600 000 სომეხი ამომრჩევლის ხმა მოაქუჩა ჩახვიანიაო. პოლიტიკოსებს რას





გაუგებ. ორმხრივი ომი აჭა-იქი მართება პოლიციასა და ქურთებს შორისაც. უფრო ტერორისტებსა და სამხედრო შენაერთებს შორის. ქურთები ჯიუტად მოითხოვენ ავტონომიას. ბედის ირონიაა სწორედ. დესლაკ ამ მიწა-წყლის პატრონებს მჭადის ნატეხიც ვერ მოუპოვებიათ წართმეულ სამშობლოში! მსგავსი ამბიციები ნაკლებად აწუხებთ ლაზებს. ისინი შიდა ქორწინებებს მისდევნენ განუხრელად. თვალის ჩინივით უფრო თხილდებიან თავიანთ წეს-ჩვეულებებს, ენას, იერ-სახეს. და რაც მთავარია, დღითი დღე უმტკივნეულოდ იფართოებენ კულტურულ ავტონომიას. იშვიათია ლაზის ოჯახი სადაც დღეს ქაზიმ ქუიუნჯუს ფირფიტები არ ჰქონდეთ. პოუნანას სიმღერის მოსმენისას ფეხზე დგებიან, ცრემლი დაპა-ღუპით ჩამოსდით სახეზე. ექვს მილიონამდე ვართო, მითხრა იმ ლაზმა. ყირმიზი იყო, ტანწვრილი და აშოლტილი. ამეგებით თურქები ვერ დაიკვებიან. ბევრს ღიპი მოსდებია. ჩაცმულობაზე ხომ ზემოთ მომიხსენებია. ჩვენ, დიხაბაც, გვჭირდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანა-დანადგარები, მაგრამ მამასისხლად შეძენილით ხეირიან ბიზნესს ვერ ვაწარმოებთ. ამიტომაც საჭიროა ქვეყანამ მეტი ყურადღება გაამახვილოს ჯართის გატანაზე. შაურად შეძენილ რკინეულს აქეთ უზალთუნად გვაჩეჩებენ. დროა ჩვენმა სახელმწიფომ საკუთარი ინდუსტრი- ისთვის იზრუნოს. უამრავი პროექტი და გამოგონება ჰაერშია გამოკიდებული დღემდე. სამშობლოს წინსვლა თუ გვენდა, დროა, ვიზრუნოთ შიდა ბაზრის დაცვაზე. დროა, მიეცეთ გლეხებს იაფი კრედიტები, არადა, კომერციული ბანკების იმედით შორს ვერ წავალთ. სახელმწიფო თითქოს იძლევა იაფ სესხებს, მაგრამ საბრუნავ თანხას ზედ ცხვირწინ აგაცინცლავენ. ჩემი პაპისპაპა იყო მაგარი მეურნე კაცი, ქესქია კოდუას ვგულისხმობ. ხშირად იტყოდა, თხუმუ ჯამანგარი ვარე ურჩქინჯუო, კიტიტანს ვითომ, მარა წყარს ქენაკირი ართ-ჟირ წანასდა, ჰყონიშ უმანგარო გინირთუ. ჩვენ, ჩვენს შიგნით უნდა ვიპოვოთ სახსარი, ღონე, საშუალება — გულში ჩამწვდომია ფრიღონ კოდუას სიტყვები. კოდუების ოჯახი მართლაც გამონაკლისია სამეგრელოს სინამდვილეში, ბავშვები გააფუჭულნი არიან ტექნიკაში, ყველაფერს ვიდეო-კამერით აფიქსირებენ: სტუმრებს, ნარგავებს, შრომის პროცესს. უფროსი გოგონას ჟურნალისტობა განუზრახავს. კომპიუტერსაც ჩინებულად ფლობენ. ზედმიწევნით ერკვევიან „ვორდის“, „ფოტო-შობის“, „პეიჯმეიკერის“, „პედდეფის“ პროგრამებში. ინტერნეტში დამრომილობენ, მამის საკონდიტროდ გამზადებული თხილისათვის ეძებენ კლიენტებს, წითელი ლოტოსის თესლს, ესაუბრებიან ოკეანის გადაღმელ ადამიანებს რუსულად, ინგლისურად. თვალს ჩრდილოეთელი აგრესორის საიტებსაც გადაავლებენ, სადაც შავის თეთრად წარმოჩენის აშკარა მცდელობაა. მიუვითიეთ მისამართები და ნამდვილად გაიხარეს, როცა „ვიკიპედიასა“ და „kolkhoba org“-ში გური ოტობაიას ლექსი „გვიმარა“ აღმოაჩინეს მეგრულ ენაზე. ვუნდერკინდები მათ არ ეთქმით, რადგანაც მშობლების გვერდით ტრიალებენ დღემოსწრება. აკი, უთქვამს ქართველს, ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო. ჯანი გავარდეს, ბატონებო! ამაზე უკეთესს რას ინატრებენ ქესქიას შთამომავალი ფრიღონ კოდუა და მისი რკინის ქალამნებიანი თანამეცხედრე — ქალბატონი დალი მარხულია!

„ბაია“ და ბაიელები



როლანდ მაჰაცარია
ზუგდიდის ფესბურთის
ფედერაციის პრეზიდენტი

ბაია საკრალური სიტყვაა. იგი თავისი პირდაპირი მნიშვნელობით ბავშვის, ჩვილის, პატარას ეკვივალენტურია, მაგრამ ამავედროულად ბაიას აქვს რამდენიმე დატვირთვა და ამაზე ღირს საუბრის გაშლა. მეგრულში ბაიას იტყვიან თვალის გუგაზე, საჭვრეტელ წერტილზე. მას ჭურჭულიც ჰქვია ჩვენებურად. აქ არ გვინდა წერილი გადავტვირთოთ თფთომთლოგიური ტერმინოლოგიით. ბაია თვალის ჩინია ღრმა შინაარსით. თვალის ჩინს კი როგორი მოფრთხილება სჭირდება ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით, ძნელი მისახვედრი არ არის. დიასაც, იგი გასლაგთ გონიერი ცივილიზაციის ზრუნვის უმთავრესი საგანი. ბაია ყვავილიცაა ამავედროულად. გვახსოვს ჩვენ მეგრული ფოლკლორიდან:

აია რე, ბაია რე,
ბაიამ წორს თანაფა რე,
ქირსე რენ დო კალანდა რე,
წაკურთხია დიდი დლა რე.

ბაია ბერძნული წარმოშობისაა, ყურეს ნიშნავსო, ამტკიცებს ბევრი. გეკადრებათ, ბაია, ესე იგივე თქროს საწმისს – კირბების ნავსაყუდელს გულისხმობსო, იძახიან სსვები. ცნობისთვის „ბაიოს“ პატარას ნიშნავს ბერძნულში, პატარა ვერძს, იგივე კრავს, კირიბსო, დასძენენ. არც ერთი და აღარც მეორე, ბაია, პირველადს, უმთავრესს, ყოველივეს საწყისს, წინარე საბადისს ეტოლებაო, არ იღუევა ვარაუდები. ერთი სიტყვით, როგორიც უნდა იყოს წყაროები ბაიას წარმომავლობის თაობაზე, ერთი რამ ცხადია, ყოველ მათგანში რაღაც განსაკუთრებული, რაღაც ამაღლებული, რაღაც უეკდავი აზრია ჩაქსოვილი. სინამდვილეს კი სულ სხვა განზომილებანი ასაზრდოებენ, სულ სხვა კანონზომიერებანი წარმართავენ და ჩვენც, დიასაც, იმ მასშტაბებზე, იმ გაქანებაზე ვისაუბრებთ გზადაგზა, რომელიც თვალშისაცემად მოგროვებია საფესბურთო კლუბ „ბაიას.“
ორი ათეული წელიწადია ზუგდიდს, სამეგრელოს მშვიდი ძილით არ უძინია. გასაქანი



წაერთვა მის ცინცხალ უნარებს. ყველაგან ჩინია, ყველაგან თვალისთვ-
ის უხილაგი შლაგბაუშები აღმართულა ეკონომიკური ბარიერების
სახით. უცხოელი ინვესტორები დაუფარავად არიდებენ თავს აქ ფულის
დაბანდებს — მიზეზი ერთადერთია — რისკის ფაქტორი. მიუხედავად
იმისა, რომ ჩვენ მრავალგზის წამოვწიეთ კუთხის ალორძინების რამდ-
ენიმე საინტერესო პროექტი, ამას რაიმე გამოხმაურება არ მოჰყოლია,
როგორც ხელისუფლების, ისე — საქმეში ჩახედული ხალხის მხრიდან.
ინიციატივა ინიციატივად დარჩა. „ბიზნეს-კურიერის“ წამყვანი გოგინა-
იშვილი მენტორული ტონით მიაწოდებს საზოგადოებას ზუგდიდში
გან- ხორციელებულ სახელმწიფო გრძელვადიან სესხებზე,
მისამართებსაც მიუთითებს მეტი დამაჯრებლობისათვის, მაგრამ ამისთ-
ანა წყალობა არც პოლიტიკალების გაშენებულ მეცხოველეობის
ფერმას მიუღია სენაკში — „ტყირს“, არც რესპუბლიკის საუკეთესო
ფერმერს გოდერძი წურწუშიას და აღარც ზუგდიდში არსებულ დაფნის
გადამა! მუშაგებულ უნიკალურ ქარხანა „კეთერზეთებს.“ სახელმწიფო
პროგრამა გრძელვადიანი სესხების ეგიდით ღიხს აქეთა საქართველოს
ნაკლებად სწყალობს. კომერციული ბანკების საქმიანობაზე
მოგვისსენებია. ბოლო დროს სამეგრელოში მიყოლებით აღმოცენდა
ყველაზე პრესტიჟულ ადგილებში მათი ფეშენებელური თფისები,
მაგრამ მოსახლეობისათვის შეთავაზებული მომსახურება, რბილად რომ
ვთქვათ, მტაცებლურია. ისინი საქმიანი წინადადებით მისულ
კლიენტებს უწინარესად მყარ გარანტიებს სთხოვენ თქრო-ვერცხლის
სახით, თანაც ეს მომსახურება გაუგონარპროცენტულ კაბალას შეიც-
ავს — 36%! 36! 46! პროცენტი წელიწადში. ცხადია, ამნაირი სესხით
ნორმალური ბიზნესის წარმოება გამორიცხვლია. თანაც არანაირი
შეღავათი დროის, ვადაგადაცილების თვალსაზრისით. გაივლის ერთი
თვე და დღე რომ არ დაგაგვიანდეს შენაბრემ ოთხი ხელი და ფეხი
უნდა გამოიბა პროცენტების დასაფარად. ფულის საკეთებლად
ჩამოსულან გალების ქვეყნიდან „სოსიეტე ჯენერალი“ თუ
ადგილობრივი კომერციული ბანკები, რომლებმაც ორიათასი წლის
დამდეგიდან შეღავათიანი უცხოური კაპიტალით დააფუძნეს თავიანთი
კომერციული დაწესებულებანი — წლიური საურავი 2 პროცენტი და
ამისთანა იაფ ინვესტიციებს ისინი ოცჯერ ძვირად აჩიჩებენ ხელში
სამეგრელოს გაჭირვებულ მოსახლეობას. ასე თუ გაგრძელდა სვალ
და ზეგ ჩვენი ხალხი კომერციული ბანკების ყბაში აღმოჩნდება, სა-
იდანაც რაიმე საშველი არა ჩანს. თავის დროზე რუსეთის პრეზ-
იდენტმა პუტინმა საჯაროდ დაასახელა ჩრდილოეთში თავმოყრილი
ქართველების ოდენობა — 700 000 კაცი. მიუხედავად გარკვეული
წინააღმდეგობისა, ქართული დუხჭირი ცხოვრების ხელგამართველი,
დიასაც, ჩვენი რუსული დიასპორაა. ჩვენ პირადი კონტაქტები გვაქვს
უამრავ წარმატებულ ბიზნესმენტან, რომლებიც ეტაპობრივად ჩამოდიან
სამშობლოში და მრავალ წინადადებას წამოაყენებენ სოლმე, მაგრამ
აქაურ სინამდვილეს უმეტესი თავქუდმოგლეჯილი გაურბის — უმთ-
ავრესს მიზეზად დასახელებულია ჩინოვნიკების კლანი, ნომენკლატურა,
რომლებიც დაურიდებლად ხელს ყოფენ სხვის ჯიბეში და წილში
ჩაჯდომას მოითხოვენ — მერმ მმ რა?! აი, ამ კატეგორიის ხალხის
მორალი. მათ რბილი სავარძლები დაუთრევიათ განგების თუ სიტუაცი-
ის წყალობით და ახლა ერთის მოსახდელად არაფერს დაგიდევენ.
იცოდა ეს ყველაფერი სადადიანოს მკვიდრმა, ენერგიულმა პიროვნებამ,
ბატონმა ზვიად სიჭინავამ და მიუხედავად სეკპტიკური ხალხის
პესიმიზმისა, ზუგდიდური სპორტის განვითარებას მიჰყო ხელი. ზუგდ-
იდის „დინამო“, რომელიც „მგლებად“ მოუვლენია ვიდაც უხეირო
ნათლიმამას, და არაფრით ჩამოჰგავს რომულუსის დამპყრებელ
ტყიურს — სულ ცხვარივით დაბუნჩულებს
მოედანზე, აღარც ოდესმე გაცხარებას აბირებს სერიული წაგებების
შემდეგ, გათრებული დახვდა წინამორბედი ხელმძღვანელების
გაუმაძღრობით: გავერანებული ბაზა, დაქსაქსული კადრები,
მომსპარი ტექნიკა, შეღახული რეპუტაცია —
ეს ყოველივე ერთობ უნუგეშო პერსპექტივას
ქმნიდა კუთხის სპორტული ცხოვრების ასალორძინებლად
გულანთებული კაცისათვის,

**მაგრამ ნათქვამია, სამშობლოს ხსნა მისი შვილების
ხელთა და ბატონი ზვიადიც ფუტკრის რუდუნით
შეუდგა გულში ერთხელ ჩაჩეკული მიზნის
განხორციელებას... ბატონო როლანდ,
წარმოუდგინეთ თავი შეათხველს. ჩვენ წინ ვრცელი
საუბარი გველის. შორეული წლებიდან მინდა
დავიწყოთ, უკეთ ზუგდიდური ფესბურთის
ფესვებიდან, იმ გამოჩე- ნილ ფესბურთელებს
მივავით თუნდაც მცირედი პატივი, რომლებმაც
ერთგულ ჩემპიონატებში არაერთხელ გვასახელეს.
მერე სხვა თემებიც ბუნებრივად წაეწყობა.**

— კი, ბატონო, მე დავიბადე ზუგდიდში, ჩემს საყვარელ ქალაქ
ზუგდიდში. ასე რომ, მე ვარ „კარონი“ ზუგდიდელი. ეს
ყველაზე მეტად მემამუბა. პირველი ნათლობა ფესბურთში
მივიღე ალექსანდრე, ალიოშა დიდი შვილისაგან. მე ვიყავი
ახალგაზრდებს შორის საქართველოს ჩემპიონი. ეს პირველი
ჩემპიონობა იყო. სურათი აგერაა, კედელზე გამოკრული,
1967 წელს, სკოლებს შორის. შემდეგ ზუგდიდის „დინამო“.
1973 წელს გავხდით საქართველოს ჩემპიონები. მერე
სამსახურეობრივი მოვალეობა სხვაგან მქონდა, ვიყავი
„სპორტლოტოს“ ზუგდიდის განყოფილების უფროსი,
ჰოდა, საქართველოს „სპორტლოტოს“ შემადგენლობაში
სამჯერ გავხდი საქართველოს ჩემპიონი მინი-ფესბურთში.
ორი წელი ზედიზედ ვიყავი საუკეთესო ფესბურთელად
ალიარე ბული, ამისი დამადასტურებელი საბუთები ყელამდე
აწყვია, მაგრამ მაგვებისთვის ვის ცხელა. ამჟამად ვარ
ზუგდიდის ფესბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და
ვცდილობთ, თავსესყრელ საქმეს თავი გავართვათ შიშველი
ხელებით. ვემზადებით 2009 წელს ზუგდიდის ფესბურთის
90 წლის იუბილის უმაღლეს დონეზე ჩასატარებლად.
პირველად ზუგდიდის ისტორიაში 1919 წლის 20 მაისს
შედგა შეხვედრა რუსეთის საჯარისო ნაწილებთან და
პირველი გამარჯვებაც იქ მოვიპოვეთ ანგარიშით **2:1**-ზე.
გამაჩნია ფესბურთელთა სახელები, გვარები. შეხვედრა
შედგა დღევანდელი სტადიონი რომ არის იქ. მაშინ
ეწოდებოდა მიურატის მოედანი, მიურატიშ მინდორი.

**— დადიანების რეგალიებს ყველამ გამოჰკრა თითო
კბილი, მაგრამ ვე ცალკე თემა.**

— ჰოდა, აქ შედგა შეხვედრა და როგორც მოგახსენეთ,
ჩვენებმა გაიმარჯვეს. იმის შემდეგ სხვადასხვა თაობები
შეიცვალა და პირველი ვინც ზუგდიდიდან თბილისის
დინამოში გადავიდა იყო გივი ხოჭოლავა. მას მიჰყვა
ბორია სიჭინავა, ჩვენი ბორისი, მერე ზაურ ბულია, ალიოშა
ჩიჩუა... იგი უდიდესი ფესბურთელი იყო. ფესბურთელების
ვიწრო წრეში ცნობილია ერთი ფაქტი: როდესაც ბერია
დაიჭირეს, საქართველოს ნაკრები ეთამაშებოდა რუსეთს.
ბერიოვ შინას პერიოდი, ბერიოვ შინამ წალეკა მთელი
საბჭოეთი. დაემუქრნენ თურმე ბიჭებს, თუ მოიგებდნენ,
ყველას დახვრეტდნენ. ჩვენებმა პირველი ნახევარი არ
გაიტანეს გოლი. ჰოდა, მერე მწვრთნელი რომ მივიდა
მათთან, ატირებული ბიჭები ნახა. უთხრეს, არ შეგვიძლია
ასეო, დაგვხვრეტენ და დაგვხვრეტონ, მაგრამ გოლს მაინც
გავიტანთო. მწვრთნელმა მიუგო თურმე, თქვენ თუ ამ
განწყობითა ხართ, მე ეს მალეღვებს, და ძმებო, დავაი, ბარემ
ერთად დაგვხვრიტონო! გავიდნენ სათამაშოდ ჩვენები და
ალიოშა ჩიჩუამ სამი გოლი გაიტანა, სამით ნოლზე მოვუგეთ
რუსეთს. ასეთი პიროვნება იყო და გარდაიცვალა ნაადრევად
ტრავმით გაწამებული, დიდ ფესბურთის უნებლიეთ
ჩამოშორებული. ზუგდიდს აქვს თავისი ტრადიციები.
ოთარ გაბელია წავიდა თბილისის „დინამოში“ ზუგდიდიდან,
სოსო ჭეღია, რომელიც საბჭოთა კავშირის ნაკრების

კაპიტანი იყო. მურთაზ ხურცილავა აქედანაა წაყვანილი
თბილისის „დინამოში“
— **ექსტრა ფუტბოლი უწოდეს.**
— უდაოდ უმაღლესი რანგის ფესბურთელი იყო, კამეჩის
ძალა და ამტანობა ჰქონდა. ზუგდიდიდან გადავიდა
თბილისში შავგულიძე, რომელიც გალელი,
სამურზაყანოელი გახლდათ. ზუგდიდის დიდი ტრადიცია
აქვს, დიდი საფესბურთო ტრადიცია და ახლა მიხარია,
რომ ამ საერთო გაჭირვების პერიოდში ჩვენი
ფესბურთის საშველად ბატონი ზვიად სიჭინავა
ჩამობრძანდა, დააფუძნა საფესბურთო კლუბი „ბაია“.
— **ბატონო, როლანდ, ჯერ იქნებ ზუგდიდის
საფესბურთო ტრადიციები ამოგვეწურა, მერე
გადასვლაც ბუნებრივი გამოგვივია.**
— დღეის მდგომარეობით ზუგდიდს ჰყავს უმაღლეს ლიგაში
საფესბურთო კლუბი „მგლები“, რომლის მთავარი
მწვრთნელი თავად გახლავარ და რომელსაც ძალიან
უჭირს ფინანსურად. რატომ გავეცინათ?
— **რამდენიმე თვის წინათ მე დაგვეწარი ერთ მატჩს,
მოწინააღმდეგე არ მახსოვს, წვიმიანი ამინდი იყო.
მგონი ზუგდიდლებმა გაიმარჯვეს. დიქტორის
გამოცხადებულზე მეცინებოდა, უტიკენ „მგლებით“
ქოთქოთებდა მიკროფონში, „მგლები“ ვერაფრით
ამოშაქრა თჯახაშენებულმა. მერე და არის კიდევ
ერთი სოფელი ზუგდიდში, დიდი ნეპი. დისშვილი
მყავს იქ, გვასახლიან ბიჭი ჰაოლო. იცით, რა მითხრა,
ტყუილად გვეძახიან დიდნეპსო, ვინაიდან ჩვენთან
ერთი ძირი კაკლის ხეც არ ხარობსო.
უფრო მოზომილ ნათლიმამას გამჯობინებდი.**
— სახელწოდებას ეშველებოდა. გურო, მოხდა ისე რომ,
გუნდმა მეშვიდე საბათიო ადგილი აიღო შარშან.
გვიტხრეს, გაკოტრდით, გუნდი არ ხართო. ასეთ დროს ჩვენ
ჩავერთეთ. ყველა იმედი რომ გადაიწურა,
გულ შემატკივრებმა შემოგვიტიეს, რას უცდით, გულზე
ხელები რისთვის დაგიკრეფიათ, ქენით რამეო და ჩვენც
დავტრიალდით. შევაწუხეთ საზოგადოება „ზუგდიდელი“,
მისი თავმჯდომარე ბატონი ოთარ ფაცაცია, მთლიანი
ზუგდიდის საზოგადოება, მივმართეთ გუმბერნატორს,
ბატონ ზაზა გოროზიას, სახელმწიფო კანცელარიას,
პირადად ქვეყნის პრეზიდენტს და ამდენმა სირბილმა შედეგი
გამოიღო. ზუგდიდს ნება დართეს ეთამაშა საქართველოს
პირველობის ჩემპიონატში. ის თანხა, რაც ამჟამად გუნდს
გააჩნია, ძალზე მიზერულია. წარმოიდგინეთ 200 000
ლარი 2 მილიონი ევროს წინააღმდეგ, 200 000 ლარი ერთი
მილიონი აშშ დოლარის წინააღმდეგ. გულ შემატკივრებს
უნდათ ყველა ვარიანტში მოიგო და აქ ჩვენს სამზარეულოში
რა ამბავი ტრიალებს, ნაკლებად აწუხებთ.
— **მისასალმებელია: მესამე ადგილზე ყოფილხართ,
რომელიდაცა გაზეთში მოგკარი თვალთ.**
— არა, უკვე მეექვსეზე გადმოვინაცვლეთ. გუშინ გვქონდა
თამაში ბოლნისში. **2:2**-ზე ითამაშეს ბიჭებმა, მაშინ როცა
მატჩის მოგება შეიძლებოდა. თამაშით კარგად ითამაშეს,
მაგრამ თერთმეტმეტრიანი დავგინიშნეს, რომელიც მსაჯმა
გამოიგონა. მერე რომ ამოიწურა დრო, ყველაფერს
აკეთებდა ეს არამზადა მსაჯი როგორმე წაგვეგო, სრული
შვიდი წუთი დაამატა. ასეთ გარემოცვაში გვიხდება ბრძოლა.
ბატონი ზვიადი ბრძანებს: **დამერთმა ნუ ქნას სამეგრელო,
ზუგდიდი მარტო ჩემი გუნდის იმედზე იყოსო.**
პროფესიონალური ნათქვამია. ყველა კლუბს გააჩნია თავისი
ხელწერა და ეს დაამტკიცა საფესბურთო კლუბმა
„ზუგდიდმა“, რომელიც გახდა 1994 წელს დაბადებულთა



შორის იმერეთის თამაშების ჩემპიონი. პირველობა არავის დაუთმო აჭარაში დიმა ზედანას სახელობის საერთაშორისო ტურნირში. ამას წინათ კი საფეხბურთო კლუბმა “ზუგდიდი” მონაწილეობა მიიღო ოთხთა ტურნირში, რაც ნიშნავს სამეგრელოს, იმერეთის, გურიისა და აჭარის საფეხბურთო კლუბების ჩემპიონთა შეხვედრას. აქაც არნახულ შედეგებს მივალწიეთ — ჩვენმა გუნდმა დაუპარცხებლად მოიპოვა პირველი ადგილი. 1994 წლიანთა ხუთი მოზარდი საქართველოს ნაკრების კანდიდატურაა. ამ კლუბს აფინანსებდა შ.პ.ს. „სანი“, ბატონების სერგო გვარამიასა და სოსო კვიციას ხელმძღვანელობით, რისთვისაც მადლიერი ვართ ამ ხალხის და ბუნებრივია, არაერთი პიროვნება დაინტერესდება სამეგრელოს ფეხბურთით. ბატონი ზვიადი ხომ გვყავს და გვყავს.

— მგლები თქვენ კი არა ისინი ყოფილან ბატონო როლანდ.

— არის საშუალება და აქვე მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ ზაზა გორგოზიას უანგარო თანადგომისათვის; მადლობა მინდა გადავუხადო სამხარეო პოლიციის უფროსს, ბატონ გუნავას, გვერდით დაგვიდგინენ ორივე. ჩამოვიყვანეთ იმედისმომცემი ორი უკრაინელი ფეხბურთელი. კვების დარგში გვეხმარებიან, მაგრამ ხშირად ის მიზეზული თანხაც იგვიანებს რატომღაც. უკვე მესამე თვეა, რაც საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობას თანხა არ მიუღია და ფეხბურთელებს ნასესხები ფულით ვაკავებთ. მე ოპტიმისტი ვარ. მაქვს უფლის შეწვევის რწმენა და მოველი ცის გაბრწყინებას, სპონსორს, რომელიც წელში გაგმართავს ეკონომიურად. სხვანაირად ძალზე ძნელია გუნდის უმაღლესი ლიგაში დაჭერა. მაგრამ ჩვენ გულ შემატევენ ვპირდებით, რომ უბრძოლველად არავის დაუთმობ იოტისოდენასაც. ყოველ მატჩში იქნება ნამდვილი უკომპრომისო ბრძოლა და ყველას დავუმტკიცებთ, რომ ზუგდიდს შეუძლია შემტევი თამაში.

— ბატონო, როლანდ, რახან სპონსორობაზე ჩამოგარდა საუბარი, ბატონო თათარ ფაცაციათ გვარ-სახელი გაუღერდა ზემოთ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სიჭაბუკის წლებში ბატონი თათარი ფეხბურთსაც თამაშობდა.

— ბატონო თათარს, როგორც ფეხბურთელს არ ვიცნობ, მაგრამ აი, როგორც საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარე სხვა ამბავია. მან გუნდის დაბრუნებაში

დიდი წვლილი მიიღო. საზოგადოება „ზუგდიდელის“ პირველი ოფიციალური წერილი გუბერნატორის სახელზე, დიანაც, ჩვენი კლუბის ჭირ-ვარამი გახლდათ. მერედა,

მისმა ადამიანურმა კონტაქტებმა მეტი გააკეთა და დღეისთვის გუნდი რომ არის, ეს უწინარესად ბატონი თათარის დამსახურებაა.

— სპონსორობაზე ვაგრძელებთ საუბარს, ქველმოქმედებაზე. ეს ღვთიით მომადლებული ნიჭია. მე ის პიროვნება ვარ, სამეგრელოში ერთი პატარა ნიაფის გაფინანსება ერთობ ამოფორიაქებს ხოლმე. საამისოდ მე ექვსსტომეული ბელეტრისტული მატთანე „ენგედუნია“ კი შექმენი, სადაც ჩვენი მრავალტანჯული საქართველოს ბიოგრაფიაა ასახული 6000 წლის მანძილზე. აქ განსაკუთრებით ხაზგასმულია ჩვენი კოლხეთის ცხოვრება და დღევანდელი სამეგრელოს გაუსაძლისი ყოფა. მე ფეხბურთზე ამ წიგნში ცოტა ადგილი მქონდა დათმობილი, ისიც ფაზისურ ფეხბურთზე „პირველ მერცხალზე“ მშვენიერი ფილმიც გვინახავს, „აბა ულათი“ რომ მიფაცვილებთ ტალახში ამოგატრულე გაბარჯვებულ ინგლისელ ფეხბურთელებს. ვიყავი დღევანდელ სტადიონზე. შევხვდი იქ თანამშრომლებს. მომცეს ფოტო-მასალა, მაგრამ ჩემდა სასიარტოოდ ის ფოტოები წამეშალა კომპიუტერში. „ბაილებიც“ იგივე დღეში ჩაცვენილან და დაფრით ასე ცარიელ-ტარიელი. გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევე შევისხვედი ამ სტადიონის ხალხთან. მიმასწავლეს „ბაიას“ ოფისი. ამჯერად არ ვადამიდვია მათთან სტუქრობა. პირდაპირ ვათუნებელი დაფრით ბატონო, როლანდ, იქური სიფრცით, იმ სიტუაციით, რაც დღეს ამ კოლეკტივში ტრიალებს. ირგვლივ ხარაჩობია, საშენი მასალა, ამწეები, თვითმკვლელები. აქეთ განაღებული წვრთნები სელონურსაფარიან მოედნებზე. მშენებლობა და გარჯიში ვადანასკვლია ერთმანეთს. გულის გასახარია ბაიელების ოფისი, სისუფთავე და სიფაქიზე, თაფანიანობა, გემოვნებით შერჩეული ავეჯი და მათი პეწიანი განლაგება. კომპიუტერიზაცია ყოველ ნაბიჯზე. მართლაც სასწაულია უკვე გაკეთებული, ტექნიკურ აღჭურვილობას ვგულისხმობ, მის მონმარებას. ყველა ფეხბურთელზე გახსნილია ბარათები, ჩატერიოულია მათი ფოტოები და მონაცემები. ოფისში ზოგი ჩემი ნაცნობიც აღმოჩნდა. მოგვიანებით საშუალება

მომიჯნა ინტერნეტით დაფლამბარაკებოდი ბატონ ზვიადს. ეს ის კაცია, მომიტყვევო თქვენს ფუნქციებში რომ ვიჭრებო, რომელიც რაღაც ზუბუნებრივი ენერჯის წყალობით სასწაულებს მოიძიქვადებს, ზუგდიდურ ფეხბურთს კვარცხლბეკზე რომ ატყორცნის და ღამის სრიოკზე ღამის უდაბნოს სიტუაციაში თაზისს ქმნის საფეხბურთო კულტურის სახით. ეს ის კაცია, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ბავშვმა ქუჩაში უსაქმურად არ იბორიალოს, არ მოკლეს, დაეუფლოს საკუთარ თავს...

— მინდა გითხრათ, რომ უპირველესად ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია. ქვეყანას სჭირდება ჯანსაღი ჯარისკაცი. აი, ბატონი ზვიადი მარტო ფეხბურთის საქმეს როდი აკეთებს ამით, ამით აკეთებს იმას, რომ საქართველოს ჰყავდეს დამცველი, ერთგული გუმბაგი...

— მეციხოვნე.

— იყოს, ბატონო მეციხოვნე, დიდებული სიტყვაა. აკეთებს იმას, რომ საქართველოს ჰყავდეს ჯანსაღი ჯარისკაცი, ისეთი, რომელიც გამოადგება სამშობლოს, მამულს. აი, ჩვენ უბრალოდ რომ ავიღოთ აფხაზეთის მოვლენები, ჩემი ხელმძღვანელობით გამოცხადდა მობილიზაცია. შეიქმნა სპორტული ბატალიონი „ლაზი“, რომელიც იბრძოდა შრომაში, პირველ მაისში, კინდლში, ტამიშში, აძიშბუქაში. თავიდან 60 კაცი წავედით. მერე 40 და არ მოგვეცა იმისი საშუალება მობილიზაციამთლიანად მოგვეხდინა, თორემ რატომ ხუთჯერ მეტი არ დავდებოდით სამშობლოს სადარაჯოზე?! უფრო იმიტომ რომ ჩვენ როგორც კი ჩავედით აფხაზეთში, უარი გვითხრეს იარაღზე. თქვენ წარმოიდგინეთ, მსახიობი წყვეტდა ამას, თეატრის რეჟისორი. ასე განვიცხადებ: **ეს ზუგდიდელები რომ მოვიდნენ, ახლა აფხაზეთს რომ გაანთავისუფლებენ, მერე ჩემს პრეზიდენტს შეუტყვევენ თბილისში, შევარდნაქესო.** მოკლედ, ამ დონეზე იყო მაშინ საქმე.

— გასაგებია, გასაგებია...

— ამით რა ს ვამბობ, იცით, აი, ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია-მეთქი, და ის ლამაზი ადამიანები, ის სპორტსმენები მე რომ შევკრიბე და წავიყვანე, სწორედ მსგავს ანგელოზებს ზრდის ბატონი ზვიადი. უპირველესად ზრდის საქართველოს შვილებს, მამული შვილებს, ხაზს ვუსვამ ამ სიტყვას, ჯანსაღს, გამჭირაბს, რომელიც მოწყვეტილია ქუჩისაგან. ქუჩა კარგი გაგებით კარგია, არც დედის კალთებს გამოკერებაც ივარგებს, მაგრამ როცა ამდენი უსაქმურობაა, უმდენი უმუშევრობაა, აი, ქუჩა გახდა ყოველგვარი სიავის სათავე. ბატონი ზვიადი, რომ ჩამობრძანდა ზუგდიდში და საფეხბურთო კლუბი „ბაია“ ჩამოაყალიბა, ბევრი ირონიით იცინოდა, ცოტას სჯეროდა, რომ საქმეს აქამდე მიეღვენებოდა. დღეს „ბაიას“ გუნდები ჰყავს პირველ ლიგაში, მეორე ლიგაში, სამასამდე ბავშვი მეცადინეობს იქ და შეჭიბვრებში ღებულობს მონაწილეობას. იცით, რა ქნა ამ ღვთისნიერმა კაცმა?! აი, ზუგდიდის მოზარდ თაობას ინექცია გაუკეთა, გამოაცოცხლა მოდუნებული, გამოაფხიზლა საღათას ძილით შეპყრობილი. ბატონი ზვიადის მოსვლამ ზუგდიდელ ახალგაზრდებს სიჯანმრთელე, სიხალისე და ადამიანურობა შეჰმატა. არის სტადიონი, რომელიც 18 500 მაყურებელს იტევს. მას ექნება სასტუმრო, სპორტსმენთა დასასვენებელი, ხელოვნურსაფარიანი მოედნები, სავარჯიშო მოედნები, აუზი, კორტები, სხვადასხვა სახის მოედნები და როგორც თქვენ ბრძანებთ, უმაღლესი დონის ბაზა. ეს მარტო ფეხბურთი. ახლა სხვაგანაც შევიხედოთ. კაცი, რომელიც დედის გამორ-თმეული ფულით წავიდა მოსკოვში, განსაკუთრებული ფხა გამოიჩინა, ალლო აულო ბიზნესს,

იმოვა ფული, მაგრამ ზოგიერთივით საკუ-თარ ნაჭულში კი არ ჩაიკეტა, სახლში მოაქვს, კაცო, აგერ, ზუგდიდში მოაქვს, თავის გასაცოდავებულ ქალაქში მოაქვს. არ ვიცი ამას რა ვუწოდო. ზვიადი ჩემთვის წმინდანი კაცია, ბატონო გური. ამ კაცმა იმუშავა, იშრომა, საკუთარი რისკის ფასად და დღეს თამამად შეიძლება ითქვას, ზუგდიდში ფეხბურთს მიხედსავით. მორჩა რა ამ საქმეებს, ახლა ათი არაბ-ული ბედაური შეიძინა, აქ ჩამოჰყავს და ზუგდიდში საცხენოსნო სპორტის განვითარება განუზრახავს. ჯერხანობით ეს საქმე იმიტომ ითრევს ფეხს, რომ იქ დევნილები ცხოვრობენ, მაგრამ პროგრამა არის და ყველაფერი მალე მოწესრიგდება.

— იბოდრომი?

— იბოდრომი, ალბათ, თბილისის არა აქვს ისეთი, ზუგდიდს რომ ჰქონდა.

— ტერიტორიულად სადღაა?

— აგერ, რუხში, დღეს იქ დევნილები არიან. მაგრამ ზემოთ ნახსენები პროგრამის შესაბამისად ყველას მისცემენ საჭირო კომპენსაციას, დააბინებენ, ისინიც გაიხარებენ, ბოლოს და ბოლოს ადამიანურ ცხოვრებას ეღირსებიან. აბა, თავლაში ცხოვრება რა გასახარია?!

— ისე, ქრისტე ბაგაში დაიბადა.

— იქ სხვა ეზოტერიკაა, თანავარსკვლავედზეა თურმე საუბარი და არა კონკრეტულ ბავაზე. მოკლედ, ყველაფერი უმაღლეს დონეზე გაკეთდება და მე მჯერა ზვიადი ამას გააკეთებს, რახან ერთხელ თქვა. ამასთან აკეთებს ჭადრაკის სასახლეს, საჭიდაოს და ვინ მოსთვლის.

— ნონა გაფრინდაშვილის სასახლეს?

— ახლა ის ნონასი არ არის, იქ რუხაქია, ნონას სახელი შერჩა სიმბოლურად. არ არის მისი სახელის საკადრისი შენობა. ბატონი ზვიადი გააკეთებს მაგა-საც, მთლიანად ყოფილარბაზის წამოჭიმვას გვირ-დება. ეს კაცი არის მოვლენილი ზუგდიდისათვის, რომ ჩვენი ქალაქი გამოაჯანმრთელოს, ზუგდიდს დაუბ-რუნოს ოდინდელი სახე და ღირსება. თქვენ წარმო-იდგინეთ სულიერ აღზრდაზეც ფიქრობს, კაცო, ეკლესიის აშენებას ვგულისხმობ.

— ეს ეკლესია რეალურია?

— რეალური. ჯერ საუბრებია, არის პროექტი, ჩანს ფილიალი რომ იყო იქ. სხვა პროექტებიცაა. ვნახოთ ვისი აზობებს, მაგრამ, რაც მთავარია, ამას ბატონი ზვიადი გააკეთებს, რახან ერთხელ თქვა.

— ბატონო, როლანდ, როგორც თქვენი საუბრიდან შევიტყვე, ბატონი ზვიადი არა მხოლოდ ფეხბურთით შემოთავარებლბა, არამედ — მთლი ანად ზუგდიდის სპორტის სატკივრებით. საქადრაკო კლუბი, საცხენოსნო სპორტი. ერთი დეტალი მინდა აღვნიშნო: მხედრის პრობლემა ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად შეიცავს პროფილაქტიკურ მომენტსაც, აჯანსაღებს ხერხემაღს, კურნავს წინა ჯირკვლის ანთებას, პროსტატსაც რომ ეძახიან, ვინაიდან ცხენს ადამიანზე ორი გრადუსით მეტი ტუმპერატურა აქვს და მისი სიმურვალე ნამდვილ მამაკაცად აყალიბებს. გარდა ამისა, მეცხენებით საერთოდ ცნობილი იყო ჩვენი კუთხე და დემეტომა ქნას, ბატონი ზვიადი ჩემს წინაშე იხატება, როგორც კოლხეთის მომავლისთვის გულანთებული პიროვნება.

— ახლა როგორაა საქმე. ბატონი ზვიადი ბრძან დება საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე. თავმჯდომარეობაზეც ჰქონდა მას პრეტენზია, უფრო სწორად ხალხს უნდოდა, მაგრამ მას ამეები არაფერი მი სჭირდება, და როგორც სჩვევია, თავი შორს



დაიჭირა. როცა თავმჯდომარის პოსტზე ხალხმა ბატონი ოთარ ფაცაცია აირჩია, პირველ მოადგილედ მისი კანდიდატურა მე წამოვაყენე. რა თქმა უნდა ერთხმად ავირჩიეთ. ახლა ბატონი ზვიადი კუბურებს მთლიანად სპორტს. არა, ნამდვილი ზუგდიდელია, ღოვაფილ ყაზაყრე. დარწმუნებული ვარ ჯერ ამ დარგს მიხედავს, მერე სხვებისთვისაც მოიცილის. აბა, სხვანიირად როგორ გინდა?! ბატონი ზვიადი აქ ცხოვრობს, აქაური კაცია, აპირებს მერე ჩამოფუძნებას, თავის ქალაქში.

— ამას წინათ გაზუთ „ზუგდიდელში“ ამისთანა განცხადებას წაგაწყვიდი: იგი მიზნად ისახავს სამეგრელოს 100 ღირსეული შვილის გამოვლინებას, შემდეგ ამ ასი პიროვნებისგან დასახელდება სამეგრელოს დიდი ათეული. მე ეს პრობლემა 15 წლის წინათ გადავჭერი ჯერ გაზუთ „ოლიაში“ (1994), მერე ბელეტრისტულმატიანეში „ენგედუნია“ (2009). თქვენი შესყდულებით ბატონი ზვიადი მოხვდება ამ ათეულში?

— მაზე უკვე მიღის მუშაობა. გუშინ გვექონდა საზოგადოების აღმასკომის სხდომა, სადაც განვიხილეთ დიდი ათეულის პრობლემა. იქ იყო საუბარი, რომ განსაკუთრებით ტრადიციული ოჯახები გაგვეთვალისწინებინა. მაგრამ ჩემი მოთხოვნა იყო დარ-გობრივი მიდგომებით გვეხმედვანელა. ამისთანა შემთხვევაში უხერხულობებსაც ავიცილებდით თავი-დან და ძნელი გასარკვევი არ არის, მაგალითისთვის, სპორტის დარგში ვინ გვყავს წარმატებული 5 კაცი, ასევე მედიცინაში, სოფლის მეურნეობაში და ასე შემდეგ. მერე ვერავინ შემოგვდავება მე რატომ არ მოხვდით ამ სიაშიო, იმიტომ რომ 5 კაცში, ათში უცებ გამოჩნდება ღირსეული. ბატონ ზვიადს არ უყვარს რეკლამები. მე შევთავაზე ერთხელ, ხალხთან საუბრის შემდეგ, ზუგდიდის საპატიო მოქალაქე გამხდარიყო. ქვა ააგდო და თავი შეუშვია. ჯერ ისეთი რა გამიკეთებიაო. ოთარ გაბელია იყო საპატიო მოქალაქე, ჭედია იყო, ბორია სიჭინავა იყო, ხოჭოლავა იყო და ამათ გვერდით რომ დასახელდა ბატონი ზვიადი, ხალხს უნდოდა ასე, საზოგადოებამაც მთლი-ანად მოაწერა ხელი, მაგრამ ყვარაფერი ამოა ცდა გამოგვივიდა. მაგას დიდი გეგმები აქვს, ამიტომ რამ-დენსაც მეტს მოვეფერებით, მეტ ფრთებს შეისხამს. თვითონ არ მოითხოვს რაიმე რეკლამას, არც ვინმეს დახმარება სჭირდება სიტბოს გარდა. აი, თქვენ რომ ითავეთ, ზვიადზე რომ ხართ აღფრთოვანებული, ამაზე უკეთესი ჯილდო მისთვის არ არსებობს.

— თითქმის ნახევარი საათი ველაპარაკე ბატონ ზვიადს. დომენტიც რქმევია. არ ვიცი რომელი ურჩენია მიმართვისას. დიქტოფონი მქონდა, მაგრამ საუბრის ჩაწერა ვერ შევკადრე ჯერ კიდევ უცნობ პიროვნებას, ჩუმიად როგორ ჩამერთო. საბედნიეროდ მესსიერებას არ ვუჩივი, თითოეული სიტყვა გონებაში ჩამეჭვდა. მისი პირველივე სურვილი იყო, რაც შეიძლება ნაკლები თქმულიყო მასზე, რიგით ადამიანებზე მესაუბრა. მაგრამ მოგეხსენება, მე ჯერ ფურნალისტი ვარ, მწერალი — მერე ვარ და აქ შეფასებებს ვერსად ვაგვიქცევი. ქება-დიდებაზე, სოტბაზე არ არის საუბარი, არსებული რეალობის შეულამაზებელი გადმოცემა გვაქვს მხედვე-ლობაში. ეს უწინარესად ხალხს სჭირდება, უამედო, უნუგეშო ხალხს, რომელსაც წკვარამ დაბეში შეუქურასავით მოეგლინა ეს პიროვნება. თანაც საკმაოზე მეტად დაგროვილ ფაქტებს ზუგდიდის სინამდვილეში

ვერსად ვაქცევი. ახლა თქვენ მრავალი შთამბეჭდავი ინფორმაციით შეავსეთ ჩემს ხელთ არსებული მასალები ბატონ ზვიადზე. ბუნებრივია, ეს მასალა მთლიანობაში თუ ვერ განვითავსე ფურნალში, ექვსტომეულ „ენგედუნიაში“ ხომ მაქვს ადგილი თავზესაყრელად?! ჰოდა, იქ მიგურენ საბუდარს. კომენტარებისგანაც ვერავინ შემ-ბოჭავს, ვინაიდან მე ვარ ის ადამიანი, რომელიც ჩვენი მოზარდი თაობის სვალინდელი დღის ძიებას არის გადაყოლილი, უამრავი პროექტი შემიქმნია საამისოდ, წარბის შეუნრელად წყალი უნაყავს, მწვერვალზე სინიფის ლოდი აუგორებია, რათა უკანვე ჩამოქსვესკნელბულიყო. საკუთარის ქვეყნის ფანტაზმაძე მისული სიყვარულის გარეშე მთებს ველარაფრით დაძრავ ადგილიდან. ბატონი ზვიადიც ის კაცია, გრანდიოზულ მასშტაბებს რომ ეჭიდება და ქედბედის მსგავსად საშვილიშვილო საქმეებში უფალიც უმართავს ხელს.

— ამ საარაკო ქველმოქმედებასთან ერთად ბატონი ზვიადი უშიშარი ადამიანია საერთოდ. თქვენ წარმოიდ-გინეთ, რუსეთში, ასეთ აწეწილ ვითარებაში, ასეთ გაუსაძლის პირობებში, მისი სახლის თავზე საქართველოს დროშა ფრიალებს. დიას, უშიშარი ადამიანია-მეთქი, კაცი, რომელიც მთლიანად იხარჯება საქართველოს სიყვარ-ულში. ღმერთო, ყველა ქართველი ასეთ სიყვარულში დახარჯულიყოს! ბედნიერებაა, როცა დაბერლები კაცი, როცა გადაავლებ თვალს

შენს ცხოვრებას, რამაქვს, რაგამიკეთებია ჩემი სამშობ-
ლოსთვის, ჩემი ქალაქისთვის, და ბედნიერად გაიზმორებ
თუ ამოგვყა რამ იმედისმომცემი მესხიერების სკივრიდან.
ბიზნესზე ვერაფერს გეტყვი. ეს მისი პირადი საქმეა. აი,
უშიშარი ადამიანი რომ არის, სხვა საქმეა, არაფერი
მბოჰავს, ხელ-ფეხი მაქვს შეხსნილი. ხოლო რაც შეეხება
პირადად ჩემს ცხოვრებას, მარტივზე მარტივია, აი,
ხელისგულზე რომ არიო, იტყვიან ისე. შვილი მყავს
მშენებელ-ინჟინერი. იურისტი იყო, მაგრამ ჩემს
ზვიადისტობას მისი კარიერა შეეწირა. მოგახსენეთ
აქამდისაც, რომ ვიყავი სპორტული ბატალიონ
„ლაზის“ მეთაური. ვიბრძოდი აფხაზეთში. ვიყავი ეროვნულ
მოძრაობაში და მიხარია დღესაც, ვარ ბატონ ზვიადის
იდეის გამტარებელი.

— **ესე იგი ორი ზვიადი გყოლიათ ეტალონად.**
— ასე გამოდის. ნიღბით არასდროს მივლია. მერაბ კოსტავას
დედა და ჩემი ბებია ალალი დეიდა შვილები იყვნენ.

— **ნეტარსსენებელი ოღლა დემურია?**
— ხო, ქალბატონი ოღლა, ჩხოროწყუდან, ხაბუშედან.
ბატონ ზვიად გამსახურდიასთან კიდევ ბევრი რაღაც
მაკავშირებდა. მაქვს მისი ნაჩუქარი ნივთიც.

— **იმის ნაქონ ნივთს ვინ არ ინატრებდა?**
— როცა დამავალა ლტოლვილები ჩამოიყვანე ჭუ-ბერიდანო,
მაშინ მითხრა, დიდი იარაღი არ წაიღო ბიჭოო. აი, ბიჭოს
ხუთი, ათი შეხვედრის შემდეგ გეტყუდა გემრიელად. რა ვიცი,
პატარა იარაღი მაქვს-მეთქი. შენს ძმას სომ აქვს, დეპუტატს?
ის იარაღი შენ აიღე და მე მივცემ სანაცვლოს. ამას კი გჩუქნით.

დრო გავიდა. ძვირფასი რელიკვიაა, მაგრამ სახლში ვერ
შემინახავს. ისეთი დროა, იარაღის შენახვაზე თავზე ხელს
არავინ გადამისვამს, ან სულაც რომ წამართვან, ალბათ,
მოგკვდები. სამოცი ათასი ლტოლვილი ჩამოვიყვანე
ჭუბურდინ. ერთი მესამედი ჩემი საწყავი იყო, მეგობრების,
ნათესაობის, მეზობლების, ყველგან დავრბოდი და ისე
ჩამოვიყვანე ეს გაწამებული ხალხი. ბატონმა ზვიადმა მაშინ
მადლობა გამომიცხადა საჯაროდ. არავის ეგონა ასე სამარცხ
ვინოდ გამოვიდოდით აფხაზეთიდან. მე ვნახე მაღალჩინოსანი
ხალხი, რომლებიც თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ, ხალხი
უკან მისდევდა: გაჩერდით მაინც, ჩვენ მაინც გაგვიყვანეთო,
ემუდარებოდნენ, მაგრამ ვინ იყო ყურის მგდებელი.

გახსენებაც კი მზარავს. მე უღლე ექიმი. შვილი შვილები
იზრდებიან, ერთი სკოლაშია, მეორე ბაღში. მიდის ცხოვრება.
მე ახლა ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი
ვარ ზუგდიდში და შემოძლია თამამად განვაცხადო: საქარ-
თველოს ფეხბურთის სწორი მიმართულებით არ მიდის.
ახალკაცის პოლიტიკამ დაღუპა ქართული ფეხბურთი. ვერ
საქმე უნდა დაიწყოს ბავშვთა ფეხბურთით, როგორც ამას
ბატონი ზვიად სიჭინავა აკეთებს. უნდა დაიწყოს ეროვნული
ჩემპიონატი. ამის შემდგომ უნდა იზრუნო ნაკრებზე. რაც
ნაკრებსა და მის მწვრთნელებზე თანხა დაიხარჯა,
კეთილსინდისიერად გადანა-წილებულიყო დანარჩენზე,
დღეს საქართველოში ფეხბურთი აყვავებული იქნებოდა,
მაგრამ ააფრინე ალალიო, თქმულა. აი, როგორ შეიძლება
თურმე: თბილისი ჩამოდის ზუგდიდში და მაინც დამაინც
იმან უნდა გაიმარჯვოს, იმიტომ რომ ფავორიტი, დედა
ქალაქის გუნდია, ახალკაცის გუნდი. კაცს ას ლარს რომ
ვერ მისცემ, მერე რაზეა საუბარი?! ყველა მეუბნება, ოთხი
წელიწადია ხელფასი არ ავიღია და მუქთაზე რა
გამუშავებსო. ამისთანა ცნობისმოყვარესათვის პასუხი
ყოველთვის მზა მაქვს: ჩემი მისია ეგ არის ძმაო-მეთქი.
შემემლო — სპორტსმენი ვიყავი, რაღაც პატარა გააკეთე,
მერე ეროვნულ მოძრაობაშიც ჩემი წვლილიც შევიტანე. იყო

აფხაზეთის ომი, იქაც ვიბრძოლე, ისე რომ, მტრისთვის
ზურგი არ მინახებია. როცა მოვხუცდები, პირველი გზუფის
სისხლი მაქვს და დონორად მაინც ხომ გამოვდგები?!

— **ლაშაზი საუბარი გამოგვიდის. ჩემმა კარის
მეზობელმა, ამორტიას ბიჭმა დაგვაკავშირა. თქვენი
წყალობით „გაგრის“ გუნდში თამაშობს ჯერჯერობით,
მაგრამ სომ ვიცი სინამდვილეში „ბაიასკენ“ მიუწევს
გული. დაგუკავშირდები სელექციონერ ალანას და
იქნებ მისი გარჯიშისთვის თვალი შეგავლებინო.**

**ფოტო, რომელიც ჩემს წინ დევს ახლა, ანტიკვარული
შინაარსისაა. ხელში თურმე შეუდარებელი მისეილ
მესხის ნაქონი ბუცები გიჭირავთ. საკმაოდ სოლიდური
შემოთავაზებია ვიღაც ფანს, მაგრამ რელიკვიებს
თქვენ ასე იოლად არ ელაყვით. ისიც ვიცი, ბატონო
როლანდ, რომ დღეს ფრიად ამბულელები დღე გაქვთ,
თქვენი საგვარეულოს თავყრილობაა. სულ რამდენ
კაცს მოითვლის თქვენი გვარი?**

— მეექვსე თუ მეშვიდეა სამეგრელოში. მაქაცარიები
6000-მდე ვართ.

— **არც სიჭინავებია ცოტა.**

— გვერდი გვერდ ვდგავართ. მაქაცარიობა 23 ნომერს,
გიორგობის დღეს დავამთხვიეთ. ყულიშ-კარის ეკლესიაში
ვზეიმობთ. ეს ის ეკლესიაა, როგორც მამა მალხაზმა მითხრა,
ილორის შემდეგ ყულაზე დიდი ძალა რომ ჰქონია. სავალალო
მდგომარეობაში იყო, მაგრამ გამოჩნდა ლეთისნიერი ადამიანი,
ქალბატონი ინეზა ფიფია, სამი კილომეტრის გზა გააკეთა,
ხიდეები, განათება, სანიაღვრეები მოაწყო. ახლა ეკლესიის
მსახურთ სახლს უშენებს. ეკლესიაში 100 000 დოლარიან
ჭალს ჰკიდებს. ღირსია! იმისთანა ძალა ჰქონია მადლიანსო.
აქაურ ეკლესიაში წირვის შემდეგ საქმეები კარგად წაუვიდა
და ახლა საკადრის პატივს მიაგებს. აბა, იეღოველებს ხომ არ
ვაპარა შემთ?! ბატონი ზვიად გამსახურდია იტყუდა,
„მხედრონი“ რომ შემოდიოდა, ჩვენი ეროვნული გვარდია
იმდენი ვიყავით, ათჯერ მოვუგრეხდით კისერს, მაგრამ
გვითხრა: ეს ჩვენი შეცდენილი შვილები არიან და არ
ესროლოთ, ესენიც ქართველები არიანო.

— **ჩვენი ჟურნალი ბატონო როლანდ,
ასერგასდღეულია (150), ე. ი. წელიწადში ორი ნომერი
გამოდის. ერთი კაცის შემოქმედებაა სულ. საკმაოდ
ვრცელია, ფერადი. სხვათა შორის წლების წინათ
ფანჯარა გვიწოდეს XXI საუკუნეში. მეორე ნომრის
გამოცემას ცაბიტოტში ვახსენებთ. დიდი ტირაჟითაც
ვერ დაგიკვხნით, სამაგიეროდ ამიერიდან მთლიანად
სამეგრელოს სივრცეს მიგაჩერდებით, რადგანაც
მთავარი იმპულსი აქედან უნდა წამოვიდეს. ეს
პროცესი უკვე დაწყებულია. ამისი უტყუარი
გარანტია ბატონ ზვიად სიჭინავას ფენომენი და
შეუდარებელი „ბაიაა“.**

— ბატონო გური, მე მინდა ყველა მოაზროვნე ადამიანის
სახელით მადლობა მოგიხადოთ იმ ამავისათვის, რასაც
თქვენ ეწვეით წლების მანძილზე. ასეთ გაჭირვების ქამს
ზოგჯერ ფეხითაც დაიარებით.

— **ჯანმრთელობისთვისაა თურმე კარგი,
განსაკუთრებით გული თუ შეგტკივა ბედარულ
სამშობლოზე. აქ ცოტათი ტაიმ-აუტი ავიდით,
თორემ ჰერ ცანკერთან და ბატონ ზვიადთან
სალაპარაკო მგონი არაფერი დამრჩება,
ყველაფერს თქვენ ამოწურავთ.**
იციანის.

— ბატონო გური, მადლობას გიხდით იმისთვის, რომ
კარდაკარ აგროვებთ მასალებს და ხალხს არ უკარგავთ



ჩვენი ქვეყნის ისტორიას. მარტო კაკა ჟვანიას და გვანჯი ჩიქვანის გაცოცხლება რად ღირს! ამას მიუმატეთ ბატონები: საშა ეგუტია, ჯოტო გუგუშია, კირილე გოგობია, ოთარ ფაცაცია, კიდევ რამდენი კოლორიტული ზუგდიდელი. თქვენ ზუგდი- დის მემბრანიანე ბრძანდებით. ამას ხალხი ხედავს, ხალხი ამჩნევს და ყველაფერი დალაგებულად ითქმება ადრე თუ გვიან. ჩვენ თითოეულს ჩვენი მისია გვაკისრია. ზოგი ფუფუნებაში ხედავს თავის მოწოდებას, იქ იფლანგება. სხვები გაჭირვებაში მყოფი კაცის გვერ- დით დგომას მიიჩნევს უმთავრეს საქმედ, აქ იღვამს წელებზე ფეხს. ეს საქმე ანიჭებს ბედნიერებას და უხანგრძლივებს სიცოცხლეს. ამ უკანასკნელთა რიგში მეგულება ბატონი ზვიად სიჭინავა, თქვენც, თქვენც ბატონო გური და ღმერთმა ხელი მოგიმართოს!



ორი წლის უეფაზე

— ბატონ ზვიადს ჰქონდა გეგმა მომხდარიყო სოფლად ფეხბურთის განვითარების პროგრამა — სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ცხოვრების გახალისება სპორტით. გვეგონა იგი თანადროულად ამოქმედდებოდა და ზუგდიდში აყვავდებოდა ფეხბუ- რთი. მაგრამ მოხდა ისე რომ ბატონი ზვიადი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად დააწინაურეს, სამამულო ფეხბურთს კი წაადგა მისი ერულიცია, მისი წყალობა ქართული ფეხბურთი დღითი-დღე ძველ დიდებას რომ იბრუნებს საერთა- შორისო არენაზე, მაგრამ ზუგდიდის „ბაიას“ და აქაურ პრობლემებს ნამდვილად დააკლდა მისი ხელი.



პროფესიონალი გერმანელი მწვრთნელი ჰერბერტ ცანკერი გუნდიდან წავიდა. 4-5 თვეა ხალხს ხელფასი არ აუღია. საახალწლოდ 4000 ლარის მაგივრად 150 ლარი მივაშავეთ მწვრთნელს.



უმალღესი ლიგა არ უნდოდა ბატონ ზვიადს, სახელმწი- ფო ჩაერთო — ეკონომიკის სამინისტროს ხელში აღმოჩნდა პაკეტის 51 პროცენტი, ბატონმა ზვიადმა შეინარჩუნა თავისი 49 პროცენტი. ამიერიდან სახელმწიფოს უნდა უზრუნველყო ჩვენი პრობლემები. ამაში შედის სტადიონი, ბაზა, მანქანები, ინვენტარი, ხელფასები, მივლინებები, რისი გარანტიც მხარის გუბერნატორი, ბატონი ზაზა გოროზიაა, მაგრამ მარტო რეგალიები და ჩინ-მედლები როდის შეელოდა საქმეს?! ფეხბურთელებმა თვეობით ხელფასი ვერ მიიღეს, პრემიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი. არადა, რა დროს, როცა ზესტაფონელებს ვუგებთ, როცა თბილისელებს ვჯაბნით. ამისთანა ვითარებაში პრემიას არ მისცემ, არ მოეფერები, დაგეშლება გუნდი, აბა, არა? რის ვაი-ვაგლახით IV- Vადგილი მაინც შევინარჩუნეთ უმალღეს ლიგაში. 7 ფეხბურთელი თბილისის „დინამომ“ წაიყვანა, ერთი — ქუთაისმა, ორი — ზესტაფონმა, ერთი — „ვით ჯორჯიამ“, ასე რომ გუნდისგან არაფერი დარჩა. ჩვენი უბედურება ის იყო, ყოველ წელიწადს გვიხდებოდა გუნდის ჩამოყალიბება. ზესტაფონი 5 წელიწადია გუნდს ამზადებს და კიდევ არ შეკრულა რიგინად. რა თქმა უნდა, პირველი გუნდია საქართველოში, თუმცა მთლად ისეთი ვერა, როგორც პრემი- ფუტბოლს ეკადრება. ჩვენ ნახევარ წელიწადში რა უნდა გააკეთოთ?! ბედნიერებაა ის, რომ მაგრად დევს ჩვენს გუნში ფეხბურთი. როგორც კახეთშია ჭიდაობა (ნესტორ ესებუა გვყავდა ერთი სახელგანთქმული მოჭიდავე, წაუქცეველი ფალავანი,) ისე სამეგრელოში ფეხბურთი, ყველა გუნდის მკვებავი, ყველა გუნდის დონორი, ყველა გუნდის ალმა მატერი — მაწოვარი დედა. 28 კაცი საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში „ბაიელია“.



მაგრამ რა ქნას თავად „მგლებმა?“ მისი ღირებულებები მოდის ჩემთან აწრიალებული და დალოცვილი გამგებლის, ბატონ ალექსანდრე ქობალიას მოცემულ კაბინეტში შეკვლევას მთხოვს. გუნდის შეგვხვდით ზუგდიდელების მაჟორიტარს, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას და შეგვპირდა მაქსიმუმის გაკეთებას. ახლა ჩვენი გუნდი გასაყიდთა ნუსხაშია, მაგრამ რა უნდა იყიდოს კაცმა უკვე გასხვისებული ავლაღილებიდან?! ქალაქის სტადიონი რეკონსტრუქციას განიცდის, მას ჩამოეჭრება ნაწილი და ბულვარი აღდგება თავდაპირველი იერ-სახით. ეს მისასალმებელია. ბაზები სიჭინავასია. როგორ გინდა ამისთანა ვითარებაში ინვესტორი მოიხილო? საჭიროა სასწრაფოდ აშენდეს ენგურქალაქლობინატის სტადიონი. ამას 8-10 მილიონი ლარი სჭირდება სახელმწიფოსგან. ამას რომ გააკეთებ, მოიბატიყებ სპონსორს და ეტყვი: აგერ, ბატონო, სტადიონი, ბაზები, შევარდენივით ბიჭები. მობრძანდი, ჩაიბარე უმალღესი ლიგის გუნდი განვითარებულ ბავშვთა ფეხბურთითურთ- თქო. მოვა უცილობლად. მაგრამ ამ წუთას, ამისთანა პარტახში ვის





დაინტერესებ, რომელს?! პირიქით, ახლა ყველა იმის მოლოდინშია როგორმე „მგლები“ უმადლესი ლიგიდან გავარდეს. ამით ყველა ამოისუნთქავს, ზედმეტ ტვირთს მოცილებენ მხრებიდან. ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ზუგდიდური ფეხბურთი არასდროს ყოფილა. მწვრთნელები უხელფასოდ წავიდნენ. გუბერნატორმა ვერ იგარანტია. მისასალმებელია — მარტვილი უმადლეს ლიგაში რომ გადადის, მაგრამ სად მარტვილი და სად — ზუგდიდი?!

— **იმახ ინჯია ჰყავს პატრონი, ნამდვილი მინჯია.**

— ყველაფერი კი იქიდან მოდის, რომ ზვიადმა თავისი აგარაკიდან ქართული დროშა არ ჩამოხსნა რუსეთში. ამან გაურთულა იქ საქმეები, ანგარიშები გაუყინეს. აქაც ღლავებთან და ზვიგენებთან უხდება ჭიდილი. ამასობაში ჩვენ გაჭიანჭა. გერმანულ გუნდებს სახელმწიფო უდგას მხარში. კი, ბატონო, ჩინებულია ანაკლიაში მოპატივებული ინვესტორები ტურიზმის განსავითარებლად, მაგრამ მსგავს ფრაზას ჩვენი მისამართითაც თუ წამოვისვრით, ზუგდიდური ფეხბურთი ნაშველები იქნება. გაგვიკეთოს ეს საახალწლო საჩუქარი ჩვენმა პრეზიდენტმა. ბატონ მიხეილს თავად უხილავს ჩვენი ფეხბურთი. მახსოვს ასე ამბობდა: „**ნეტავ არ დამთავრდეს თამაშიო**“. კოლანდიაში რომ მოვიგეთ, ნაკრებში ჩვენი შვიდი ბავშვი მონაწილეობდა. „**საქართველოში ბრილიანტი ბავშვები იზრდებიანო**“, უყვარს თქმა ბატონ ზვიადს და იმედია, იგი ამ რწმენას არ გაუქარწყლებს მომავალ თაობას. უფეხბურთო ზუგდიდი უხორთუმო სპილოს ჰგავს, უფრთებო არწივს! ფეხბურთი ხომ სიჩაუქის საწინდარია და ნუ დავმარხავთ ახადგაზრდობის ჯანსაღ მერმისს ჩვენივე ხელით!



P. S.

ზუგდიდური ფეხბურთის გადარჩენის იმედი გაგვიჩინა ჩვენი მაჟორიტარის, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას ჯერ სიტყვიერმა, შემდგომ კი პრაქტიკულმა თანადგომამ. მან ვეტერან ფეხბურთელებთან შეხვედრისას მადლობა მოუხადა მათ ქართული ფეხბურთის აღორძინებაში გაწეული ამაგისათვის და ათი მსკოვანი ფეხბურთელი 100-100 ლარით დაასაჩუქრა. ასევე ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციას გადასცა 100 ლარი ქვეყნის პატრიარქის — ილია მეორის 78 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირის ჩასატარებლად, რომელიც აკურთხა თავად უნეტარესმა და მეუფე გერასიმემ. ტურნირში მონაწილეობდა მთელი სამეგრელოს გუნდები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. მისი ჩემპიონები გახდნენ სენაკისა და ჯვარის მოზარდები. ზუგდიდის საპატრიარქოს სახელით მამაგიორგიმ (ქავთარაძე) ტურნირის ყველა მონაწილე და სტუმარი დაასაჩუქრა საეკლესიო ჯვარ-ხატებით.



ტურიზმი სამეგრელო-ზემო სვანეთის ეკოლოგიურ ბაზაში

გიორგი ფარულავა,

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

ტურისტული და სამეცნიერო-კვლევითი თვალსაზრისით მეტად საინტერესოა სამეგრელო-ზემოსვანეთის ბუნებრივი კომპლექსები, სადაც ბუნებრივი პირობების რეგიონალური ხასიათი შეზავებულია ზონალურ ტიპოლოგიურ ნიშნებთან. ამ კომპლექსების შექმნაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლანშაფტწარმოქმნელ ფაქტორებს.

აღსანიშნავია, რომ კოლხეთის გეოლოგიური არქიტექტურის შექმნაში მონაწილეობა აქვთ მიღებული მეზოზოური და კაინოზოური ერებისდროინდელი ლითოლოგიური შედგენილობის ვულკანოგენურ და დანალექ ქანებს. ზოგადად მიჩნეულია, რომ ამ მხარის ლანდშაფტურ-გეოლოგიური ევოლუციის ასპექტში ორი ძირითადი ეტაპი გამოიყოფა 1 – მეზოზოური და 2 – კაინოზოური (ვ. ალფაიძე, რ. ღამბაშიძე, 1999). აქვე უნდა ითქვას, რომ ახალი მიოცენის მომდევნო ეტაპზე, უკანასკნელი 5-6 მილიონი წლის განმავლობაში გამოვლენილი მიწათწარმოქმნის პროცესების გავლენით შექმნილია დედამიწის ქერქის მთავარი ტექტონიკური ელემენტები.

ეკოტურიზმის მოყვარულთათვის განსაკუთრებით საინტერესო შეიძლება იყოს კოლხეთის ბარის საზღვრებში სამეგრელოს ტერიტორიაზე რელიეფის განვითარების ამპლიტუდა ნულიდან 600 მეტრის ფარგლებში. კავკასიონის ქედის სამხრეთ რელიეფზე კი ეს მაჩვენებელი 3300 მეტრამდე იზრდება. კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდის სამეგრელოს ნაწილები 3226 მ-ის ჰიპსომეტრულ დიაპაზონში არიან განვითარებული. მაგ. მთა ჭითავკალა.

განსაკუთრებული სილამაზითა და თვალწარმტაცია ბუნებით გამოირჩევა ყვირას, გაუჩას, მინგარიას, ასხისა და სვანეთის სუბალპური და ალპური მთის მასივები.

სამეგრელო და ზემო სვანეთი გამოირჩევა წყალუხვობით. მათი მრავალფეროვნება მნიშვნელოვნად განისაზღვრება გეოლოგიური ფაქტორით. აქაური ჰიდროლოგიური ქსელი შედგება: მდინარეების, წყაროების, მიწისქვეშა წყლების, ტბებისა და ჭაობებისაგან. მდინარეებიდან აღსანიშნავია ენგური, ჭანის წყალი, ხობის წყალი, ტეხური, აბაშა და სხვა (ვ. ფარულავა და სხვ., 2009).

სულ აღრიცხულია 2500-მდე დიდი და მცირე ზომის მდინარე. მათი საერთო სიგრძე 6000-მდე კილომეტრს შეადგენს. ისინი ზემო წელში მთის ტიპისანი არიან და ხასიათდებიან ნაკადის დიდი სიჩქარეებით, რაც გამოწვეულია კალაპოტის მკვეთრი დახრილობით, დროთა განმავლობაში წარმოქმნილი ჭრომებით და გარკვეულ მონაკვეთებზე გაუვალი, ვიწრო ღრმად ჩაჭრილი ხეობებით. ყველაფერი ეს ქმნის უნიკალურ პირობას ექსტრემალური ტურიზმის განვითარებისათვის, ხოლო ხეობების თვითყოფადობა და ხელუხლებლად შენარჩუნებული ბიოცენოზები ეკოტურიზმისათვის იდეალურ ადგილებს წარმოადგენს.

სამეგრელოს ბარისა და მთსწინეთისთვის დამახასიათებელია თერმული წყლების სიმრავლე, რომლებიც არაჩვეულებრივ საშუალებას წარმოადგენს რუმპათიული დაავადებების სამკურნალოდ. ასეთი წყლების ჭაბურღილებია ცაიშში, მენჯში, ქვალონში, ყულევში და სხვა. ეკოტურიზმის ოპერატორებმა ყურადღება უნდა მიაქციონ აგრეთვე სამეგრელოს და სვანეთის მინერალურ და მჟავე წყლებს. სვანეთის მჟავე წყლებთან ერთად ცნობილია მინერალური წყლები: ლებარდე, სქური, კოლხიდა, განსაკუთრებით კი ლუგელა, რომლის გამოსასვლელი ადგილი მდებარეობს ე.წ. ლუგელას ხეობაში. მდინარე ხობის წყლის ზედა წელის სანაპიროზე ჩხოროწყის რაიონის სოფ. მუხურიდან მე-7 კილომეტრზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 300 მეტრ სიმაღლეზე. „ლუგელას მინერალური წყლის ქიმიური ანალიზი (რ. ღამბაშიძე 1999) პირველად გაკეთდა 1927 წელს აკადემიკოს რ. კუპცისის მიერ. ლუგელას სამკურნალო დაზ, კალციუმს, მაგნიუმს. აღსანიშნავია, რომ მაღალი მინერალიზაციის გამო ის დიდხანს ინახება და ჩამოსხმისას არ საჭიროებს ნახშირორჟანგი გამდიდრებას.

ექსპერიმენტებითა და სამედიცინო გამოკვლევებით დადგენილია, რომ „ლუგელა“ მიეკუთვნება სამკურნალო მინერალური წყლების კატეგორიას, რომლის მიღება შესაძლებელია მხოლოდ ექიმის დანიშნულების თანახმად. მისი სამკურნალო ჩვენებებია – პირველ რიგში ტუბერკულოზი, შემდეგ კი რაქიტი, ლულოვანი ძვლების მოტეხილობა, ალერგიები, სისხლის შედედების დაქვეითება. დამუშავებულია მისგან კბილის პასტის მიღების ტექნოლოგია. „ლუგელა“ ეფექტურია როგორც სიცოცხის გადამტანი აგენტი, რომელიც შეიძლება წარმატებით გამოყენებულიქნეს სამაცივრო დანადგარებში. ზემოთჩამოთვლილი თვისებების გამო შეიძლება ითქვას, რომ ის უნიკალური მინერალური წყალია მთელ მსოფლიოში. სამწუხაროდ ამჟამად „ლუგელას“ მინერალური წყლის საბადო საერთოდ არ არის გამოყენებული და ის პირდაპირ იღვრება ხობის წყალში.

რაც შეეხება სამეგრელოს ტბებს, აქ ჩვენი მონაცემებით აღრიცხულია 14 ტბა. მათი წყლის ხარჯის ჯამური ფართობი 20.5 კმ² -მდეა. ხოლო წყალშემკრები აუზების საერთო ფართობი 560 კმ² აღწევს. აღრიცხული ტბების უმრავლესობა მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ მდინარე რიონის ნაპირებთან ახლოს. შედარებით ნაკლები რაოდენობით

გვხვდებიან ისინი სამეგრელოს ქედის მაღალმთიან ზონაში. სამეგრელოს მნიშვნელოვანი ტბებიდან აღსანიშნავია პალიასტომი, ფართო წყარი, ტობა ვარჩხილი, დიდი ტობა ვარჩხი, ჩიპსათა ვარჩხი და სხვა. ზოგიერთ ტბასთან ლეგენდებიც კი არის დაკავშირებული, ასეთებია პაპანწყვილი (ნობის რაიონში), ცაშკიბული (წალენჯიხის რაიონში).

სამეგრელოს ტბებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პალიასტომს, ის მდებარეობს ზღვის სანაპირო ზოლთან ახლოს ქ. ფოთის სამხრეთ-აღმოსავლეთით. დასავლეთით მას შავი ზღვა ესაზღვრება და მისგან გამოყოფილია 2 მეტრამდე სიმაღლის და 3,3 მეტრამდე სიგანის ქვიშიანი დიუნებით. აგრეთვე მდინარე რიონის დელტური ვაკის ზოლით. ტბას ტრაპეციის ფორმა აქვს.

სამეგრელოს ლანდშაფტის ერთ-ერთ განსაკუთრებულ ნაწილს ჭაობები წარმოადგენს, რომელსაც მთელი ტერიტორიის 20% უკავია და სამეგრელოს თითქმის ყველა რაიონში გვხვდება, განსაკუთრებით კი ზღვისპირეთში. საინტერესოა, რომ აბოლინმა ჭაობებთან დაკავშირებით განავითარა აზრი ეპიგენემის შესახებ (ი. ელიავა და სხვა, 1992), სადაც ავტორი ეპიგენემს უწოდებს გრუნტებს, რელიეფს, ნიადაგს, მცენარეულობას, რომლებიც ერთმანეთთან შეთანწყობილი, შეხამებული არიან და ქმნიან ურთიერთმოქმედ გარსს. ჭაობები სამეგრელოში ცალკეულ მასივებად არის წარმოდგენილი. ზუგდიდის რაიონში ანაკლიის მიდამოებში ცნობილია თიქორი-ჭურიის ჭაობის მასივი, რომლის ფართობი 90 კვადრატულ კმ-ს შეადგენს. ფოთთან ახლოს მდებარეობს ფიჩორა-პალიასტომის ჭაობის მასივი 191 კვ. კმ-ის ფართობით, რომელიც სიდიდით ყველა დაჭაობებულ მასივზე მეტია კოლხეთის დაბლობზე. საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს აგრეთვე ჭალადი-ფოთის ჭაობის მასივს, მისი ფართობი შეადგენს 144 კვ. კილომეტრს.

ანაკლიის, ჭურიის, ნაბადას, ფიჩორის, შავწყალას ჭაობები ტიპური ტორფიანი მასივებია. მათში ტორფის ჰორიზონტალური სისქე მერყეობს 4-12 მეტრამდე, ჭაობებს საერთოდ დიდი ეკოლოგიური დატვირთვა გააჩნიათ, ისინი ბუნებრივი ფილტრის როლს ასრულებენ, დაბინძურებულ წყლებს წმენდენ და მდინარეებში და ტბებში ჩაედინება სუფთა წყალი. ჭაობის წყლები მდგრადი წყლის რესურსების კატეგორიას განეკუთვნება. სამეგრელოს ჭაობები დაახლოებით 1.7 კუბური კმ-ის მოცულობის წყალს შეიცავენ, რაც იძლევა საშუალებებს დარეგულირდეს წყლის რეჟიმი და შენარჩუნდეს მისი მყარი ბალანსი. შედარებით სუსტი ანთროპოგენური ზეწოლის გამო ჭაობები წარმოადგენენ შესანიშნავ თევსსაფარს იშვიათი და გადაშენების პირას მდგომი ფაუნუსტური და ფლორისტული ნიმუშებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია შექმნილი დაჭაობებისათვის სამეგრელოს ზღვისპირეთის დასავლეთ ნაწილში, სადაც ჭაობის განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ხმელეთის სუსტად დანაწევრებული ბრტყელი და ფაქტიურად დაუხრელი ზედაპირი, აგრეთვე უხვი ატმოსფერული ნალექები. რელიეფის ასეთი აგებულების შემთხვევაში, თან როდესაც მის ქვეშ ძირითადად მძიმე თიხნარია განთავსებული, შეგუებული ზედაპირული წყლების ჩაქონვა და ფილტრაცია გრუნტის ღრმა ფენებში ძნელად მიმდინარეობს, რაც იწვევს ნიადაგის ტენით გაჯერებას და საბოლოო დაჭაობებას. დაჭაობებული ადგილების, ტყეებისა და მდელოების სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის ამოშრობის შედეგად კი ვითარდება ალოგენური ანუ ეკზოგენური სუქცესიები. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც გარეგანი ძალები რეგულარულად ზემოქმედებენ ცენოზის ცვლაზე და აკონტრო-ლებენ მას. ამავე ტიპის სუქცესიები მოქმედებენ დაშრობილი ჭაობების ხელმეორედ დაჭაობების შემთხვევაშიც.

სამეგრელოს ტერიტორიის ბუნების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი და ლანდშაფტის თვისებაა ამსახველი „სარკე“ – მცენარეული საფარი მდიდარია, როგორც ფლორისტული შემადგენ-ლობით, ასევე მისი დაჯგუფების თვალსაზრისით. ასეთი მრავალ-გვარობა განპირობებულია მოცემული ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებებით, პალეოგეოგრაფიული ნაირგვარობით და ანთროპოგენური ისტორიით. საქართველოში გავრცელებულია 4500 სახეობის უმაღლესი მცენარე. მათ შორის სამეგრელოში 1200 სახეობაა ცნობილი. აღსანიშნავია, რომ სამეგრელოში აღრიცხული 1200 სახეობიდან 175 ენდემურია. 67 მილიონი წლის წინათ პალეოგენში – დედამიწის გეოლოგიური ისტორიის კაინოზოური ერის პირველ სისტემაში, რომელიც გრძელდებოდა 41 მლნ. წელი იყოფა სამ ეპოქად: პალეოცენი, ეოცენი, ოლიგოცენი. ეოცენში მცენარეული საფარი მკვეთრად განსხვავებული იყო ამჟამინდელ ფლორასთან შედარებით. იმ პერიოდის ფლორა შედარებით ახლოსაა და უფრო ჩამოკავს ინდურ – ავსტრალიურ ტროპიკულ მცენარებს ხის მაგვარი გვირგვინით, პალმებით, მარად მწვანე ხეებით და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ რელიეფისა და მცენარეული საფარის ცვლილება ბოლო ათეული მლნი. წლის განმავლობაში ძალიან რთულად მიმდინარეობდა (ი. ელიავა და სხვ. 1992). კლიმატური პირობების თანდათანობითმა გამკაცრებამ, ჰაერის გაცივებამ, ტროპიკული კლიმატისთვის დამახასიათებელი ფლორისტული ნიმუშების გადაშენება გამოიწვია. პლიოცენში, ნეოგენური სისტემის მეორე ეპოქაში მთის-წინეთსა და მთის ქვედა სარტყლებში უმთავრესად გავრცელებული იყო სუბტროპიკული ტყეები. აღნიშნული ტყეების პირველი იარუსი ძირითადად წარმოდგენილი იყო ფოთოლმცვენის სახეობებით. შედარებით მაღალ იარუსებზე კი განვითარებული იყო ზომიერი სარტყლისთვის დამახასიათებელი ტყეები. ამ ტყეებში გავრცე-ლებული მცენარეთა ძირითადი სახეები დღემდე შემორჩენილია და ამჟამინდელი მცენარეული საფარის მნიშვნე ლოვან ელემენტებს წარმოადგენენ. სამეგრელოს მთისწინეთში და შავი ზღვის სანაპირო ზოლის მომიჯნავე ტერიტორიაზე. პლიოცენის დასაწყისში წარმო-იშვა ძველი მეზოფილური ტყის ფლორის რელიქტთა კოლხური რეფუგიუმი, ანუ მცენარეთა თავშესაფარი. რეფუგიუმის წარმოშობას ხელი შეუწყო მთის ქედების ისეთმა განლაგებამ, რომელმაც უზრუნველყო თბილი და ტენიანი ჰაერის შენარჩუნება სამეგრელოს გარკვეულ ტერიტორიებზე. ამის შესანიშნავი მაგალითია ჩხოროწყის რაიონში სოფ. მუხურთან ხობის წყლის გასწვრივ არსებული მეოთხეული პერიოდის რელიქტური ტყის რეფუგიუმი, სადაც ერთმანეთის გვერდით ხარობს ძელქვა, კოლხური სურო, კოლხური ბზა, ლაფანი, კავკასიური მოცვი, წყავი,შქერი, ლეღვი და სხვა. რეფუგიუმს უდიდესი მნიშვნელობა ფქონდა რელიქტური სახეობების შენარჩუნებისთვის პლიოცენში და განსაკუთრებით მეოთხეულ პერიოდში, მათ შორის გამყინვარების ეპოქაში აქ თავშესაფარი ჰპოვეს ისეთმა რელიქტურმა მცენარეებმა, რომლებიც მილიონობით და ათათასობით წლის წინათ ამოწყდნენ დასავლეთ ევროპისა და აზიის ტერიტორიაზე. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სახეობებისა ჩვენს დრომდე მოადწიეს და ხარობენ მდევდევის არყი, პონტური მუხა, იმერული ხეჭრელი და სხვა. სისტემატიკისა და ეკოლოგიის თვალსაზრისით მათთან ახლომდგომი სახეობები ამჟამად იზრდებიან ძირითადად აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, აპალაჩის მთებში, აგრეთვე ატლანტიკასა და აზორის კუნძულებზე.

ვაზის კოლხური ჯიშები



მაგალითად, ეპიგეას გვარის მცენარეები, რომელთაგან ამჟამად მხოლოდ სამი სახეობაა შემორჩენილი, ერთი იზრდება იაპონიაში, მეორე ჩრდილოეთ ამერიკაში, მესამე კი აჭარასა და ლაზეთში (ი. ელიაშვილი და სხვ. 1992).

სამეგრელოს ტერიტორიაზე გამყინვარებული ფლორის საკმაოდ ბევრი რელიქტური ნიმუში შემორჩა, მაგრამ მცენარეული საფარი მეოთხეულ პერიოდში მაინც მნიშვნელოვნად შეიცვალა. სითბოს მოვარული მცენარეების უმეტესობის ადგილი დაიკავეს ბორეალური ფლორის ელემენტებმა, ანუ გაიზარდა ისეთი მცენარეების წილი, რომლებიც თავისი გავრცელებით დაკავშირებულია ზომიერი სარტყლის ტაიგასთან. საქართველოს ფლორის ჩამოყალიბებაში მუშაობელი ფლორისტული, უმთავრესად აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვიური და წინააზიური ცენტრების გავლენის გარდა, დიდი როლი ითამაშა ადგილზე მიმდინარე ეკობიოლოგიურმა პროცესებმა, რომლებმაც განაპირობეს ენდემებისა და ვიწრო ენდემური სახეობების წარმოშობა.

ამასთან ერთად, ჩვენ შეგვიძლია სამეგრელოში ჩამოსული ტურისტები დავარწმუნოთ, რომ საქართველო გადაუჭარბებლად ნამდვილადაა მევენახეობა-მეღვინეობის ქვეყანა. ლეგენდარული კოლხეთის ტერიტორიაზე ჩატარებული პალეონტოლოგიური გამოკვლევების შედეგად მოპოვებული ფაქტობრივი მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველო კულტურული ვაზის ფორმათა წარმოშობის უპირველესი კერაა; ერთ-ერთმა პირველებმა მსოფლიოში, 10-9 ათასი წლის წინათ აქ მცხოვრებმა ადამიანებმა შეძლეს ველური ვაზისგან მიეღოთ კულტურული ჯიშები, პირველი ვაზი — „სამოთხის ხე“ და მისი მისი მტკვინისაგან დაეწურათ ღვინო. VI—I საუკუნეებში ბერძენი და რომაელი ფილოსოფოსები და მოგზაურები წყაროებში აღნიშნავენ, რომ საქართველო ცნობილი იყო ცქრიალა და ორიგინალური კოლხური ღვინოებით. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 1936-1938 წლებში ზუგდიდის რაიონის სოფ. ანაკლიაში გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები, სადაც ხორბლის, ფეტვის, სელის მარცვლებთან ერთად ნაპოვნია ყურძნის წიბწები, აგრეთვე ვაზის ლერწის ნაშთები. ყველა ეს მასალა კი ნეოლითის ხანის ბოლო პერიოდს მიეკუთვნება. ამასთან ერთად პალიეობოტანიკური კვლევებით მეცნიერებმა დაადგინეს, რომ 40-50 მილიონი წლის წინათ, პლიოცენის ეპოქაში კოლხეთის ტერიტორიაზე ვაზის *itis*-ის გვარის რამდენიმე სახეობა ხარობდა. სწორედ აქედან, კოლხეთიდან, გავრცელდა ის იმავე ეპოქის სხვადასხვა ეტაპზე დედამიწის სხვადასხვა კონტინენტსა და მხარეში. ამის მაგალითია კოლხეთის პალეოფლორაში აღნიშნული ვაზის ფორმა — *itis betulifolia*, რომელიც თანამედროვე ეპოქაში მხოლოდ ჩინეთის ტყეებში ხარობს, ხოლო საქართველოში ის არ რეგისტრირდება, გეობოტანიკოსები აღნიშნავენ რომ მისი ადგილი დაიკავა ფართოდ ცნობილმა ველურმა ფორმამ *itis silvestris*-მა.

ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ძველი კოლხების სპონტანური სელექციური მუშაობის შედეგად შემოადინებული ფორმებიდან მიღებული ვაზის კოლხური ჯიშებია: ეგურძგური, უხუნეუზი, ჩეხარდანი, კოლოში, ოჯალეუზი, დღუნდღეუზი, პანეში, მახვატელი... და სხვა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ იმერეთისა და აფხაზეთის მსგავსად სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიაზე მრავლად არის წარმოდგენილი სხვადასხვა სახის კარსტული მიწისქვეშა სიღრუვეები – ვერტიკალური ჭები, შახტები და ჰორიზონტალური მღვიმეები (ბ. გერგედავა, 1999), რომელთა ნაწილს გვირაბის ფორმა აქვს. მათ შორის ყვირას მასივზე უნდა აღინიშნოს ცოტნე დადაანის სახელობის ვერტიკალური მარაგალსართულიანი მღვიმე და აბოვის სახელობის ვერტიკალური უფსკრული, ჰორიზონტალური სიღრუვეებიდან კი ინწრას და დემიშფოქვას მღვიმეები. მინგარიას მასივის

მიწისქვეშა სიღრუვეებიდან აღსანიშნავია წიფურაის გვირაბი, საიდეს, დობერაზენის მღვიმეები. აღნიშნულ მასივზე საყოველთაოდ ცნობილია საჯოგოს ჭა. განსაკუთრებით უნდა გაუსვათ ხაზი მდ. ხობისსწვალის გასწვრივ სოფ. მუხურთან მდებარე მღვიმეს, რომელიც თავისი კარსტული ფორმებითა და დარბაზებით არაჩვეულებრივ სანახაობას ქმნის. ასხის მასივის ჩრდილო ნაწილში განვითარებულია ვერტიკალური სიღრუერიები: სიცივის, ძეძვის, ბურღულას დიდი და პატარა გარამის ჭები და შახტები.

ჰორიზონტალური მრავალსართულიანი მღვიმეები გვხვდება სამხრეთ ოდიშის პლატოს კირქველ მასივებზე. მაგ. ურთას სამსართულიანი მღვიმე, ხეთის ჰორიზონტალური მღვიმე და ცაიშის მღვიმე, ეკის მთის კირქვეთულ ნაწილებში ცნობილია სოფლების საგუნის, კვარდალის, სადამიოს, საწულეისკიროს მღვიმეები. საკუთრივ ოდიშის პლატოს ცენტრალური ნაწილი, რომელიც ნეოგენური კონგლომერატებითა და ქვიშაქვებით არის აგებული კლასტოკარსტული მღვიმეების ინტენსიური გავრცელების რაიონს წარმოადგენს. აქ პირველ რიგში აღსანიშნავია კორცხელის მღვიმე, ნაზოდელაოს მღვიმე, აგრეთვე მღვიმეები სოფელ ჯგალის, მაზანდარას, ლეწურწუმეს, სავეკოს და ნოდას მიდამოებში.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ დასახლებული კარსტული მღვიმეების დალექილი ნაფენები გარკვეული რაოდენობით შეიცავენ მცენარეთა და ცხოველთა ნამარხ ნაშთებს.

ამრიგად მოცემულ ნაშრომში განხილული მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. პლიოცენის დასაწყისში წარმოშობილი მეზოფილური ფლორის კოლხური რეფუგიუმი უნიკალურია მსოფლიოში. არ არსებობს სხვა ადგილი დედამიწის ზურგზე, სადაც 100 კვ. მ ფართობზე ერთ ჭრილში ერთმანეთის გვერდ-გვერდ ხარობდეს ძელქვა, კოლხური სურო, კოლხური ბზა, წყავი, შქერი, ლელვი და კავკასიური მოცვი, რომელსაც თან ახლავს უნიკალური ფაუნა.

2. კოლხეთში, სამეგრელოს ტერიტორიაზე, კერძოდ ანაკლიის გათხრებმა და სხვა ფაქტებმა დაადასტურა, რომ ვაზი, როგორც ბოტანიკური სისტემატიკის ერთეული საქართველოს ფლორის პირმოა. ამ უნიკალური მცენარის კოლხური წარმოშობის რეალური ისტორიის გაცნობა, შესაბამისად მომზადებული გიდების საშუალებით, დაინტერესებდა ნებისმიერი მიმართულების ტურისტსა და მოგზაურს.

3. ნაშრომში დასახლებული ბუნებრივი მღვიმეების, ვერტიკალური ჭების, შახტების მრავალფეროვნება და იქ დალექილი ნაფენები, რომლებიც უხვად შეიცავენ მცენარეთა და ცხოველთა ნამარხ ნაშთებს, არაჩვეულებრივ მასალაა პალეონტოლოგიური კვლევებისათვის, ხოლო კვლევის შედეგების გამოფენა იქნება განსაკუთრებით საინტერესო ესთეტიკური და ეკოლოგიური ტურიზმის მოყვარულთათვის. ამასთან ერთად ასეთი კვლევების ანალიზის შედეგები წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული წარსული გეოლოგიური ეპოქების და დედამიწის გეოლოგიური წარსულის უკანასკნელი ქრონოლოგიური მონაკვეთის—მეოთხეული პერიოდის (1–2 მლნ. წ.) ბუნებრივი გარემოს შესწავლის საქმეში. პოლიელთელი ადამიანის მიერ საცხოვრებლად მღვიმეები გამოიყენებოდა, რასაც მოწმობს მღვიმურ ნაფენებში შემონახული პირველყოფილი ადამიანის შრომის იარაღები. რომელთა დანახვა ნამდვილად დაინტერესებდა ნებისმიერი პროფილის ტურისტს.

4. სამეგრელოს ჭაობებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კოლხეთის ლანდშაფტის, კლიმატის, ჰიდროლოგიური ქსელის ფორმირებაში. აქ არსებული არხების გამოყენება ტურისტულ მარშრუტებზე ნავებით გადაადგილებისათვის, არხებთან ახლოს კარვების (ე. წ. მეგრული კარე) ჩადგმა და ღამის გასათევი ადგილების გამოყოფა, მეტად მიმზიდველი იქნებოდა ბიოსფერული და ეკოლოგიური ტურიზმის მოყვარულთათვის.

5. სამეგრელო—ზემოხვანეთის მხარე თავისი თვალწარმატებულ ლანდშაფტებით, ბიოეკოლოგიური მოზაიკით შეიძლება გახდეს ერთ-ერთი საუკეთესო ტურისტული მარშრუტი აღმოსავლეთ ევროპაში. ნაშრომში მოცემული მასალის საფუძველზე სასურველია შეიქმნას რამდენიმე შიდა ტურისტული მარშრუტი და მაღალი ხარისხის მარკეტინგისა და სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში წლის ნებისმიერ დროს ჩატარდეს ტურები ბიოსფერული ტურიზმის, ეკოლოგიური ტურიზმისა და ექსტრემალური ტურიზმის მიმართულებით.

ლიტერატურა

1. ვ. ალფაიძე, რ. ღამბაშიძე. „სამეგრელო – გეოლოგიური აგებულება და განვითარების ისტორია“. თბილისი, 1999. გვ. 10.
2. ბ. გერგელავა. „სამეგრელო – კარსტი“. თბილისი, 1999. გვ. 38–39.
3. ი. ელიავა, გ. ნახუცრიშვილი, გ. ქაჯაია. „ეკოლოგიის საფუძვლები“. თბილისი, 1992. გვ. 264; 330.
4. გ. ფარულავა, მ. გერგელავა, ა. ჭოლოკავა. „მთათაშორისეული კოლხეთის ეკოლოგიური–ფაუნისტური თავისებურებები“. თბილისი, 1999. გვ. 10-11.



დასტაქარი

ბელეტრისტული ინტერვიუ წმინდა ლუკას სახელობის ზუგდიდის სამედიცინო ცენტრის დირექტორთან, **ბატონ როლანდ ახალაიასთან**

– ბატონო როლანდ, დასამალი არაფერია – საბედნიეროდ დიდი აღმშენებლობაა გაჩაღებული დღეს ჩვენს სამეგრელოში, ჩვენს ზუგდიდ-ქალაქში. მე წლების მანძილზე მიტრიალია აქ, სხვადასხვა ხელისუფლების, სხვადასხვა მოწვევის პარლამენტის დროს და მეტნაკლებად გარკვეული ვარსიტიუაციაში. ბოლო პერიოდი პატარა წყვეტა მქონდა სადადიანოსთან ოჯახური ტრაგედიის გამო, მაგრამ ვაჯობეთ მწუხარებებს და აგერ ვიმ-ყოფები, გაკეთებ ჟურნალს ზუგდიდელებზე. მე წილად მხვდა ბედნიერება დაგსწრებოდი წმინდა ლუკას სახელობის ზუგდიდის სამედიცინო ცენტრის პრეზენტაციას. იქ იყვნენ ძვირფასი ადამიანები – ჯანდაცვის მინისტრი, ბატონი ალექსანდრე კვიციანი, ზუგდიდის მაჟორიტარი, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, ბატონი ფრიდონ თოდუა. იყვნენ დეპუტატები, საზოგადოების საპატიო წარმომადგენლები და გადაუჭარბებლად ვიტყვი: პირდაპირ გაოცებული ვარ ასეთ უმოკლეს პერიოდში როგორ, რაწინადად მოხერხდა ამნაირი მაღალი რანგის დაწესებულების აშენება-დაკომპლექტება, ტექნიკური აღჭურვა ყველა იმ საჭირო ინვენტარით, რაც დღევანდელი მედიცინისათვის აუცილებელია, თუმცა ჯერ უწინარესად მკითხველს თავი წარმოუდგინეთ.

– ჩემო გური, რა ვიცი, ახლა, ბაბუაჩემის ბაბუა აქ ცხოვრობდა, სადაც ამჟამად ჩვენი საცხოვრისია. ისე კი მგონი ესენი ჩხოროწყუდან არიან. იქით, ნაკიანი, ჭოლა, და იქ არიან ძირითადად. ახლაიები მარტვილ-შიც ცხოვრობენ, კიწიაში. ჩემი წინაპარი კი დაახლოებით ორასი წელია, რაც ზუგდიდში მკვიდრობენ. აქ დავიბადე. აქვე დავამთავრე საშუალო სკოლა.

– **რომელი სკოლა ბატონო, როლანდ?**

– მეხუთე საშუალო სკოლა „ენგურქალაღ-კომბინატში“ რომ იყო. მამაჩემი პედაგოგი გახლდათ. იქ მუშაობდა მათემატიკის მასწავლებლად. შემდეგ დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, ახლა უნივერსიტეტი რომ არის. ორი წელი აფხაზეთში ვიმუშავე.

– **სად, სად, ბატონო როლანდ?**

– სოხუმსა და ტყვარჩელში. შემდეგ წავედი რუსეთში. მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის, ახლა აკადემია რომ არის, იმისი კლინიკური ორდინატურა დავამთავრე და 1983 წლიდან ვმუშაობ აქ. ვერ ქირურგიული განყოფილების გამგე ვიყავი. 2005 წლიდან ვარ ამავე საავადმყოფოს დირექტორი, მთავარი ექიმში.

– **ოჯახი, ბატონო როლანდ?**

– მეუღლე ექიმია, პედიატრი, ნეანოტოლოგი. მყავს ორი ვაჟიშვილი.

– **ქალბატონი რა გვარის ბრძანდება?**

— სიჭინავა მედია. სენაკელი გახლავთ. როგორც ვთქვი, ორი ვაჟიშვილი მყავს. უფროსი მესუფე კურსელია სამედიცინო უნივერსიტეტში, ხოლო უმცროსი — მეორე კურსელი ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე.

— ბატონო როლანდ, ნუ გაგიკვირდებათ, ცოტა შორიდან თუ დაგიწყებ საუბარს: გულდასაწყვეტია მედავს ქვეყანაში, რომლის სახელიდანაც წარ მოსდგება ამ დარგის არსი, პეტატეს ბაღის მხარეში, მედიცინა პრიორიტეტული არ გახლდეს. თითქოს თავის დროზე ყურადღება ექცეოდა ზოგი- ერთ დისციპლინას, უფრო სარფიანი რომ გახლდათ. თანკოლოგიური პრობლემა კი პრობლემად დარჩა. გვყავდნენ ჩვენ ჩინებული ავტორიტეტები, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. სადღეისოდ ჩვენს კუთხეს საამაყოდ ბატონ ფრიდონ თოდუას სახელიც ეყოფა, მაგრამ დიპლომომანიამ კატასტროფული მასშტაბი შეიძინა და მივიღეთ კიდევ დახლისა და მომხმარებლის დამოკიდებულება. სას- ელმწიფო აფინანსებდა პრიორიტეტულ დარგებს მამონას ან ჩხიკ- მამიდაშვილობის პრინციპით და მოსწრებისართ თავადაც ავგიას თავლას დაემსგავსა ეს უკეთილშობილესი დარგი. თუმცა თანამედროვე ცნოვრებამ გაძღოლის ახლებური მიდგომები მოითხოვა, ახლებური აზროვნება ყველგან და ყველაფერში. სოციალურ-პოლიტიკური სის ტემის შეცვლამ კარდინალურად განსწავებული კუთხით წარმოაჩინა ტრადიციული თუ მიმდინარე ჭრილობების მოშუშების აუცილებლობა. მაინც რომელმა დეთისნიერმა მოიაზრა, რომ ეს ცენტრი ამ მიმართულებით აღმსდგარიყო მკვდრეთით, როგორც ფენიქსი და განსაკუთრებით ბატონ მამუკა ჯანაშვილის ფენომენზე მინდა დაწვრილებით ვისაუბროთ. ჩაფიქრებული გვაქვს მასთან დია ლოგი, მიუხედავად მისი დროის დეფიციტისა.

— მე იდეის დონეზე არ ვიცი ეს ვის მოუვიდა აზრად, თვითონ ეს სახელმწიფოს და ჩვენი დღევან- დელი ხელისუფლების იდეა იყო, რომ წამოაყენეს „ასი ახალი საავადმყოფო“. აი, აქედან მოდის ეს იდეა და ერთ-ერთი ჰოსპიტალური ქსელი გახლავთ ჩვენი ქსელი, რომელსაც ამჟამად ჰყავს თავისი მეპატრონე და სასიხარულოდ ვხედავთ როგორი მდგომარეობაა ირგვლივ — როგორც ტექნიკურად, ისე ყოველნაირად, ძალიან გამართულია. ძალიან კარგად მუშაობს ეს დაწესებულება და ამაში მე მგონი, აი, თქვენს მიერ ხსენებულმა „იდეამ“ განუსაზღვრელი როლი ითამაშა, პოზიტიური როლი. ჩვენი მეპატრონე ბატონი **მამუკა ჯანაშვილი**, მერე მამამისი ბატონი **ვანტანგი**, ფრიად ცნობილი პიროვნებები გახლავან. ბატონი ვანტანგ ჯანაშვილი „მედპროექტის“ ამავდარი მუშაკი იყო, დიდი ხანი იტრიალა იქ.

— პროფესიით ექიმში ბრძანდება?

— არა, ინჟინერია, არქიტექტორი. „მედპროექტის“ უფროსი იყო და საერთოდ, ორივე, მამაცა და შვილიც, ძირითადად სამედიცინო დაწესებულე-

ბების პროექტირებაზე მუშაობდნენ და ამ საკითხ- ებით იყვნენ დაკავებულები. საქართველოში მე მგონი ამათზე უფრო პროფესიონალები, ამათზე დიდი სპეციალისტები ამ კუთხით არ არსებობენ და არც არიან. ესენი პიონერები გახლავან და ამანაც ჩვენ საქმაოდ შეგვიწყო ხელი. თვითონაც ხედავთ, რომ პროექტი როგორი არი, რანაირადაა ყველაფერი გათვლილი. თავდაპირველი შენობა იყო ძველი, კომუნისტური, მოუქნელი, მაგრამ დღეს აქ თითქმის კარკასის მეტი არაფერია დარჩენილი. ყველაფერი გადაკეთდა და აბსოლუტურად თანამედროვე, დას ავლური მოდელის ტიპის სამედიცინო დაწესებუ- ლება მივიღეთ, დიხაც, მაგათი დაპროექტების წყა- ლობით.

— ბატონო როლანდ, მე ახლა ოდნავ უხერხულ შეკითხვას დაგისვამთ და ამის გამო ნუ მიწყენთ: მე გვსწრებოდი საპარლამენტო არჩევნების ბატალიებს, ბატონი ფრიდონ თოდუა რომ ეწეოდა მაჟორიტარობისათვის. მაშინ ფაიფურის ქარხანაში მოგვინდა ერთ-ერთი დონისძიების ჩატარება, და იქ ერთ ერუდირებულ ბიზნესმენს საყვედური წამოცდა თქვენი ობიექტის პრივატიზაციის თაობაზე, თითქოს ათას დოლარად გაყიდულა. არ ვიცი რამდენად შეესაბამება ეს ბრალდება სინამდვი- ლეს, მაგრამ მივესალმები ამისთანა გარიგებას — კარკასის გაყიდვას ათას დოლარად, რომელსაც შეიძლება მსგავსი სასწაული სრა-სახლი მოშ ყვეს. ჩვენ ამისთანა კარკასებს ინვესტორს მილიონებად თუ დაუფასებთ, იმთავითვე დაუგუკარგავთ შემდგომი აღშენებლობის გუნება- განწყობილებას. ასე რომ, წინდებული მაგალითის კვალობაზე, ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს მსგავსი გარიგებებისა ქვეყ- ნის ინტერესების გათვალისწინებით.

— ეს არის საქმეში ჩაუხედავი, უცოდინარი ხალ- ხის რიტორიკა. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც საქმის არსი ელემენტარულად არ იციან, ისე ზერ- ელედ ჭრიან და კერავენ, ჰარიჰარად საუბრობენ და ასე გამოაქვთ დასკვნები. აქ ჩვენმა მეპატრონემ, ბატონმა მამუკა ჯანაშვილმა ჩადო ძალიან დიდი თანხა: ჯერ ერთი, ამისი რემონტი თავიდან ბოლომდე მაგათი წყალობითა და მაგათი თანხით გაკეთდა. პლუს — 50 საწოლი. ამის ყველაფრის ტექნიკური აღჭურ- ვილობა დაწყებული ვენტილაციიდან — კონდიცია, გათბობა... ხომ ხედავთ რა დონეზეა გაკეთებული და დავამატოთ ყოველივეს თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგია და ტექნიკა, რაც არის კომპიუტერული ტომოგრაფია, ეხოგრაფები, ენდოსკოპია, ლაბორა- ტორიული ტექნიკა, საოპერაციო მაგიდები. ალბათ, თქვენ ნახეთ ჩვენი საოპერაციოები და ინტენსიური თერაპიის, კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტი, სადაც ყველაფერი დგას მხოლოდ და მხოლოდ თანა- მედროვე, დასავლური, ამერიკული და იაპონური, გერმანული და არამც და არამც — რუსული. ჩვენთან არ არის ძველი საბჭოური, დრომოჭმული ჯართები. ამაში ჩაიღო ვეებერთელა კაპიტალი და ეს კაპიტალი ჩადო ამ ღვთისნიერმა კაცმა, ბატონმა მამუკა

ჯანაშვილმა. ასე რომ, 1000 დოლარი კი არა, ეს უზის მაგას რამოდენიმე მილიონი დოლარი და ეს მთარული ხმები უცოდინართა, ან რალაცნაირად განაწყენებულთა ხმებია. მარტო ქვემოთ რომ დგას კომპიუტერული ტომოგრაფია, რამდენიმე მილიონი დოლარისაა. „სიმენსის“ ფირმის ბოლო გამოშვების სინოგრაფები დგას იმაში, რა ჰქვია მაგას, პირველ სართულზე დიაგნოსტიკურ დეპარტამენტში? თქვენ

თვალთ უნდა ნახოთ საოპერაციოები, იქ რომ არის დამონტაჟებული მონიტორები, ინფუზომეტრი რომ არი, საწოლი რომ დგას... ელემენტარულად ერთი საწოლი ღირს 3-4 ათასი დოლარი. ასე რომ, აქ ძალიან დიდი თანხა ჩაიდო ღვთისნიერი ჯანაშვილების მიერ და ეს მაგათთვის არავის უჩუქნია ათასად ან ასიათასად,

თუნდაც მილიონად.

– ბატონო როლანდ...

– ნახეთ, ბატონო გური, აქ მთელი სისტემა, აქტიური ვენტილაცია, კონდიცია საოპერაციოებში, მიმღებში, კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტში. იქ დგას სპეციალური მოწყობილობა, „ჩილეს“ ექსიან, რომელიც მომენტალურად ცვლის შიდა კლიმატს მთელს საავადმყოფოში. აი, ასეთი პირობებია — თბილი წყალი, გათბობა. იქ მარტო საქვებაში ყველა დანადგარი იტალიურია —

ცხელი წყლის და გათბობის სისტემა, რომელიც გაზზეც მუშაობს, ელექტრონზეც და დიზელის საწვავზეც. ასე რომ, ეს ყველაფერი გაკეთებულია ძალიან მაღალ დონეზე. აქ ჩამოსული იყო ჩვენი თანამოქალაქე ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ბატონი გიორგი შენგელაია, ჩვენი კოლეგის შვილი; დედა გარდაეცვალა, ჩვენი სათაყვანებელი **დოდო ბერულავა** და მის გასვენებაზე. ის იქ საქართველოს სათვისტომოს თავმჯდომარეა ნიუ-იორკში. ჰოდა, რომ ნახა ეს საავადმყოფო, გაგიჟდა კაცი. თავიდან იგი ჯორჯიის შტატში ცხოვრობდა, ატლანტაში და ანარის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა. კაცი აღფრთოვანებული დარჩა. ნიუ-იორკში ყველა საავადმყოფო მოვლილი მაქვს და იქ არ მეგულება ამისთანა თანამედროვე სამედიცინო ცენტრიო.

ახლახან გერმანელი ქალბატონი იყო ჩამოსული, აი, ევროკავშირის ეგიდით, ექიმი და აღტაცება ვერ დამალა. აგერ, დარეკა, სურათები დარჩენია, რაც გადაიღო და იქნებ როგორმე გამოგვიგზავნოთ ინტერნეტითო. ვინც კი ჩამოვიდა უცხოელი, გაცუებას ვერ მალავს, არავინ ელოდა ზუგდიდში ასეთ უმოკლეს ხანში, ასეთ მოკლე პერიოდში რომ გაკეთდებოდა ამისთანა თანამედროვე დასავლური ტიპის სტაციონალური სამედიცინო დაწესებულება.

– ბატონო, როლანდ, სხვათა შორის იმ პრეზენტაციის დღეს რამდენიმე ბლიც-ინტერვიუ ჩაიწერეს სხვადასხვა ტელეარხებმა. მაშინ ბატონმა ფრიდონ თოდუამ, კაცს, რომელსაც შეპოვლილი აქვს მთელი მსოფლიო, განსაკუთრებით — ევროპის კლინიკები, დაუფარავად აღიარა: ეს

სათცრებააო. აღფრთოვანებული ვარ რომ ევროპის ტიპის დაწესებულებას მყარი საფუძველი ჩაეყარა ზუგდიდში ბატონ მაშუკა ჯანაშვილის ძალისხმევით და მაღლობის ნიშნად მხარზე ეამბორა. აი, თვითონ ჯანდაცვის მინისტრმა, ბატონმა ალექსანდრე კვიციანიამ დაახლოებით იგივე გაიმეორა. ისიც საკმარისზე მეტად გათვითცნობიერე- ბულია ამ საფეროში. ყველაფერს თავი რომ დაგანებოთ, ამერიკულ მედიცინაში მაინც

სომ არის ჩახედული რიგიანად. აქვე მინდა ბარემ ერთი საკითხიც გადავება ამ ეიფორიას. ამას წინათ მე გახლდით რაიონულ საავადმყოფოში. იქ არის გინეკოლოგიური განყოფილება ქალბატონ ჩერქეზიშვილის შემწეობით. როგორც მან ბრძანა, ეს საავადმყოფოც ბატონ მაშუკა ჯანაშვილს შეუქენია, ალბათ, ათას დოლარად...

არ ვიცი რა მიმართულება მიეცემა იქაურ სივრცეს, სამედიცინოთუ სხვა რამ დანიშნულების, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იგივე შედეგს მივიღებთ, რაც თქვენ გადმოგბერტყვიათ თავზე.

— აი, ზუსტად იმ საავადმყოფოს სანაცვლოდ მან 50 საწოლი დაუმატა აქ. ახლა იქ რაიონულის





თანამშრომლები რომ არ დარჩნენ უმუშევრად, ამისთვის ბატონმა მამუკამ მოაწყო მედლებისთვის ათლიანი ტრენინგები. შემდეგ ჩატარდა ტესტირება და აი, იმ საავადმყოფოდან ჩვენთან გადმოიღის

დაახლოებით ორმოცამდე მედპერსონალი. ასე რომ, ყველაფერი კეთდება ისე და იმგვარად, როგორც ეს ზუგდიდს ეკადრება, როგორც თანამედროვე მოთხოვნებს უპასუხებს. ახლა მე არ მინდა ვინმე დავაკნინო, ან იმ საავადმყოფოს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას შევხვო, მაგრამ თქვენ თვითონ ბრძანეთ და თქვენი თვალით გიხილავთ იქაურობა როგორ მდგო-მარეობაშია. აქ, ჩვენთან მეორე ეტაპზე ჩატარდება ექიმთა ტესტირება,

კონკურსი და ვინც ღირსეულია, ვინც ჭეშმარიტი პროფესიონალია, უმტკივნეულოდ გადმოვლენ ჩვენთან. იმათი ორმოცამდე მედლა ხომ ჩვენი ჭერის ბინადარია უკვე. ამას პროფესიონალი ექიმებიც დაემატებიან და ოდესღაც საქალაქო და რაიონულ კლინიკებად წოდებული დაწესებულებანი შეირწყმება. სანაცვლოდ ჩვენი თანამშრომლები, რომლებიც 25-30 წელიწადი მუშაობდნენ სხვადასხვა თანამდებობებზე, ამდენი ხნის მანძილზე ტრიალებდნენ მშობლიურ კოლექტივში, ტესტირების შედეგად, სამწუხაროა, მაგრამ დაემშვიდობება მორჭმულ მდგომარეობას. ეს არ არის ახირება, ეს თანამედროვე მოთხოვნაა.



ავადმყოფი არ შეიძლება ჩვენ ჩავაბაროთ ისეთ ხალხს, რომელთაც დაბალი კვალიფიკაცია აქვთ. ამისი უფლება არავის აქვს. სიცოცხლეს ღმერთი ერთხელ აჩუქებს ადამიანს და მერე მისი, სასხვათაშორისოდ განკარგვის უფლება არავის გააჩნია. ჩვენ გვჭირდება

ზუსტად მაღალკვალიფიციური, როგორც საშუალო, ისე მაღალი რანგის სამედიცინო პერსონალი. ჩვენ ყველაფერზე ვაცხადებთ კონკურსს, უმცროსი მედლა რომ არი, აი, უმცროსი სამედიცინო პერსონალი, იმასაც უჭირს ამ ბარიერის გადმოლახვა. იმათ, რომელთაც აქვთ ადამიანებთან კომუნიკაბელურობა, პროფესიონალიზმთან ერთად უიოლდებათ გამარჯვების მიღწევა. ზოგი არის უხეში, არ იცის ავადმყოფთან საუბარი. შეიძლება იყოს კარგი პროფესიონალი, მაგრამ ავადმყოფთან ურთიერთობა არ იცის ძალიან ბევრმა ექიმმა თუ საშუალო და უმცროსმა სამედიცინო პერსონალმა. არ გააჩნიათ ელემენტარული ატრიბუტები, რომელიც ნებისმიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს.



ყველა ავადმყოფი ითხოვს გულისხმიერებას. მე შევსწრებივარ ამისთანა დიალოგს კომაში ჩაგდებულ პაციენტთან: **მე დაგსჯი შენ!**

ეს ხომ ჭალათობაზე მძიმე დანაშაულია! შეიძლება ავადმყოფი საკუთარი მდგომარეობიდან გამომდინარე უხეშობდეს, ჭირვეულობდეს, მაგრამ ექიმს არა აქვს უფლება პაციენტს ადეკვატურად უპასუხოს, იმიტომ რომ ექიმი ჰქვია სახელად, სიცოცხლის მომნიჭებელი, ლამის უფალი! შენ ხარ სამედიცინო პერსონალი, რომელიც ვალდებული ხარ ავადმყოფს ყველაფერი გაუკეთო. მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთს, აი, ეს ელემენტარული ვალდებულება ავიწყდება. პირიქით, ზემოდან



დაჰყურებენ დასწებოვანებულს და აქა-იქ — მაზოხისტურადაც, ანგარიშსწორებითაც აფასებენ მათ

მდგომარეობას. ჩემი ნება იყოს ამისთანებს დამნა-
შავეთა სკამებზე მივაბრძანებდი! ზოგიერთი თავისი
პროფესიული დონით მოიკოჭლებს, ზოგიერთს
ოჯახური პირობები აქვს არეული, არ სცალია სამუ-
შაოსთვის, იგვიანებს ერთი საათით, ორი საათით, როცა
ხშირ შემთხვევაში წუთები წყვეტს საქმეს. ყველა
პროცედურას აქვს თავისი დრო, ყველაფერი თავის
დროზე უნდა გაკეთდეს, მედიცინა ცოტა რთუ-
ლი დარგია, ვიდრე ეს გარედან ჩანს. კაცმა შეიძლება
ყველაფერი გადადო, შეიძლება სახლს აშენებ და
თადარიგი ხვალისთვის მოიტოვო, ხვალ ჩავასხამ
ბატონო ბეტონს თუ გამოიღარა, ხვალ გავმართავ
აივანსო და ასე შემდეგ, მაგრამ მედიცინაში
სახვალის და საზეგისო არაფერი გრჩება. რაც
დანიშნულია, თავის დროზე უნდა გაკეთდეს
აფთიაქარის სასწორის სიზუსტით და რა თქმა უნდა,
მაღალპროფესიულად. გულით უნდა გაკეთდეს ეს
ყველაფერი. უფულოდ არაფერი გამოვა. უნდა
გიყვარდეს ავადმყოფი.

**– ბატონო როლანდ გესსომებათ, იქ, ეზოში
შეგზვდით რამდენიმე კვირის წინათ. მაშინ
ვიკითხე ქალბატონი ჩერქეზიშვილი. თქვენ
ბრძანეთ რაი-
ონულ საავადმყოფოშიაო. იქ ერთი
ჩემი ნათესავი მანდილოსანი მივიყვანე.
ქუთაისიდან გინეკოლოგი უნდა ჩამოსულიყო,
ბატონი მამუკა მიქაძე. მას იქ, ქუთაისში,
სამედიცინო ცენტრი დაუფუძნებია შეიდი
წლის წინათ. იქ ჩაუტარა ოპერაცია ჩემს
სამეურვეოს. გულზე მომსგება, თურმე
მოპატიუებული გყოლიათ პრეზენტაციაზე,
მაგრამ ვერ მოვედიო. მერე სასხვათაშორისოდ
დააყოლა: კად-
რების პრობლემა აქვთო.
ამ დროს, მე დამსმენის როლში გამოვდივარ,
მაგრამ მისმა ჩატარებულმა ოპერაციამ
მიანიცდამაინც დიდი შედეგი ვერ გამოიღო.
ჯერ ერთი, პაციენტს მოუშადავებლად
ჩაუტარა ოპერაცია, საშვილოსნო ამოაცალა
ქალს, მესამე დღეს გამოწერა და ასურგასი დღე
იწურება სეფსისურ მოვლენებს ერკინება.
ანტიბიოტიკების სარჯმა სამჯერ მეტი თანხა
შეიწირა, ვიდრე თავად ოპერაციამ. ესო, რაღაც
ბაქტერიები აქვსო შეჭრილი ზემოდან თუ
ქვემოდან. გაუფასურდა ჩემს თვალში მისი
დიპლომები და სიგელები. თავისი ჭკუით
გამაცურა ვითომ, ითითლიბაზა ქუთათურად.
შიდა რესურსები ერთია, გარშემო არსებულის
დახვეწვა, ამადლევა, დაწვევა, მაგრამ მე
შევესწარი იმ მომენტსაც, რომ თურმე თქვენთან
სისტემატური ხასიათი ჰქონია
მაღალკვალიფიციური სპეციალისტების
მოწვევის პრაქტიკას. გესსომებათ, იმ დღეს,
ბატონი ხუტა პაჭკორია და მისი კოლეგები
იყვნენ ჩამობრძანებულები თბილისიდან. უფასოდ
მოემსახურნენ ასობით პაციენტს.
მათ შორის ჩემს შუათანა ძმას, პროფესიით
პროფიზორს, თენგიზ ფეტულავასაც,
რომელსაც რაღაც ავადმყოფობა ჰქონდა
აკვიატებული და სულ სხვა დიაგნოზი დაუსვეს,
მკურნალობას დაქვემდებარებული, როგორც**

**პროფესიონალები იტყვიან: იატროგენის. წელში
გაიპართა ადამიანი.**
– მედიცინა, ბატონო გური, როგორც
მოგესწინებათ, ერთ ადგილზე არ დგას და ყოველ
ხუთ წელიწადში ყველაფერი შეიძლება ყირამალა
შეტრიადეს. დღეს დოგმად მიღებული, შეიძლება
ხვალ-ზეგ კარდინალურად შეიცვალოს. ამიტომაც
სჭირდება ექიმს განსაკუთრებული მუშაობა თავის
თავზე. პრეზენტაციის დღეს თქვენ შეამჩნევდით მეორე
სართულზე, აი, ჩვენი ადმინისტრაციის გაყოლებაზე,
სადაც საკონფერენციო დარბაზია, სასტუმრო
მოვარწვეთ, თავისი ყველაფრით. ეს ფემინებელური
სათავსები სტუმარი კოლეგებისთვისაა
გათვალისწინებული, თბილისიდან იქნებიან ისინი თუ
უცხოეთიდან. გვაქვს ამისი გეგმა, მიმოწერაც და
ალბათ, მალე ხელშეკრულებებიც გაფორმდება.
ჩამოვიყვანთ უცხოელ სპეციალისტებს, რომლებიც
ჩაატარებენ ტრენინგებს, ჩაატარებენ საჩვენებელ
გამოკვლევებს, საჩვენებელ ოპერაციებს, რათა ჩვენი
კადრები გაიზარდონ, გახდნენ ზუსტად თანამედროვე
დასავლური ტიპის სპეციალისტები. ყველაფერი
შეიძლება გქონდეს შენი: ტექნოლოგია, სამეცნიერო
ტექნიკა, მდგომარეობა, სიტუაცია დასავლური
მოდელის და ტიპის, მაგრამ აუცილებლად საჭიროა
კიდევ კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი. ამისთვის
ჩვენი ნოვატორი მეპატრონე ბატონი მამუკა
ჯანაშვილი ყველაფერს აკეთებს, რათა ზუგდიდში იყოს
დასავლური სტანდარტების შესაფერისი სამედიცინო
სამსახური. ჩვენი საავადმყოფო არასდროს განიცდიდა
პროფესიონალი ექიმების დეფიციტს, მაგრამ ზოგიერთ
ვიწრო სპეციალობაში გვიჭირს, კონკურსიც კი
გამოვაცხადეთ, გამოვაქვეყნეთ გაზეთებში, გაავრცელეთ
ტელევიზიით, მაგალითად ანგიოქირურგია. გვჭირდება
თორაკალური ქირურგი, ალერგოლოგი, ბავშვთა
ნევროპა-
თოლოგები. აი, რაიონული
საავადმყოფოდან
დაწერეს განცხადებები და ვინც
მაღალკვალიფიციური სპეციალისტია, ყველა
დაკმაყოფილდა. ესაა ბუნებრივი შერჩევის კანონი,
როგორც ყველა ნორმალურ ქვეყანაში. ჩვენ ახალ
ველოსიპედს ვერ გამოვიგონებთ. დასავლეთში ზუსტად
ასეთი წესით ხდება შერჩევა.
ჩვენ რაიონის საავადმყოფოდან გადმოვიყვანეთ
ბავშვთა და მოზრდილთა ალერგოლოგი,
რევმატოლოგი, რენიმატოლოგი და პლუს ამას
კიდევ ორმოცამდე საშუალო სამედიცინო
პერსონალი, მედლები და უკვე ჩინებულად ართმევენ
თავს თავიანთ საქმეს.
– ბატონო როლანდ, ალბათ, სხვანაირად არ
ჩამომართმევთ, მედიცინაში რამდენადმე
ჩახედული მეთქმის. ჩემი რომან-ტრიადა
„სიცოცხლისჯილეების“ მთავარი გმირი
ჟინი ანთარი ბიოლოგია პროფესიით.
მისი პროტოტიპი ზოოგეტიკონალური
ინსტიტუტის პროფესორი აგლაძეა, აკადემიკოს
გავილოვთან რომ მეგობრობდა
და გენეტიკის პრობლემებს შეეწირა ავბედით
37 წელს. ცოტა ჩახედული ვარ-მეთქი,
მოკრძალებით ვაცხადებ, ვინაიდან, ბუნებრივია,



მე პროფესიონალ საზოგადოებას ორღობის ენით ვერ დაგვლაპარაკები. გამომდინარე აქედან, მე რამდენადმე დაგაკვირდი სამეგრელოს ეკონსისტემას. ვატყობ რომ ჩვენი ყოფიერება ორი ძირითადი პრობლემის წინაშე დგას. ესენია – გინეკოლოგიურ-ანდრო-ლოგიური და კიდევ საუკუნის აგებული სენი – ნარკოლოგიური. მე რამდენიმე უნუგეშო პაციენტი მოვიყვანე თქვენთან. სონში ყოფილა ფსიქიატრიული დაწესებულება, საავადმყოფო და იქ გაუგრძელეს „მკურნალობა“, როცა მას სრულიად განსხვავებული მიდგომები სჭირდებოდა – ნარკო ლოგის ჩარევა. ამინაზინ-თერაპიას უტარებდნენ და ხელ-ფეხი წაერთვა. ახლა ერთი პიროვნება ლოგინსაბა მიჯაჭვული, მეორე ძლივს დადოდაფს. სოლო რაც შეეხება, აი, ამ გინეკოლოგიურ-ანდრო-ლოგიურ პრობლემებს, სომ არ გერჩენებათ რადიაციის ფონის მომატების წყალობით?



— მე ამაზე ვერ გეტყვით. არცა მაქვს ამისი კომპეტენცია. ეს რადიოლოგებმა და სათანადო სპეცსამსახურებმა უნდა დაადგინონ. ისე, სამეგრელოში გინეკოლოგია არ ვიცი, მაგრამ საერთოდ სიმსივნური დაავადებების რაოდენობით სხვა რეგიონებთან შედარებით, ალბათ, პირველ ადგილზე ვართ. ყოველ შემთხვევაში ვხედავ, რომ ონკოლოგიური პრობლემები საკმაოდ ბევრია, და რაც შეეხება რადიაციას, ნამდვილად ვერ გეტყვით.



— და მიუხედავად ყველაფრისა, გინეკოლოგიური კუთხით თქვენთან ყველა პრობლემის მოგვარება შესაძლებელია?

— დიახ! დიახ! საკმაოდ მაღალკვალიფიციური მეანები და გინეკოლოგები გყვანან. ყველა სახის ოპერაცია კეთდება ჩვენთან. ახლა უმთავრეს პრიორიტეტად მივიჩნევთ მინი ინვაზიურ ქირურგიაზე გადასვლას. ეს არის ლაპარასკოპული ქირურგია. უნდა შევიძინოთ თანამედროვე გერმანული წარმოების ლაპარასკოპი, რის შემდეგაც დაიწყება ოპერაციების გაკეთება.



რაც შეეხება ტრადიციულ ოპერაციებს, ეს ოპერაციები ჩვენთან ყოველთვის კეთდებოდა მაღალკვალიფიციური მეანებისა და გინეკო-ლოგების მეშვეობით. დღეს საუბარია უფრო მაღალი დონის ინვაზიურ ქირურგიაზე და მაღალ ტექნოლოგიურ ოპერაციებზე. რა თქმა უნდა, ყოველივე დაკავშირებულია ფინანსურ პრობლემებთან, ისევე ჩვენი მეპატრონის მოხერხებაზე. ამას სჭირდება ძვირადღირებული, თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიები და გვეიმედება, ბატონ მამუკა ჯანაშვილის წყალო-ბით ეს პრობლემაც მალე მოგვარდება.

— ბატონო, როლანდ, ჩვენი საუბარი თანდათან შემაჯაბუხელ ფაზაში გადადის. ერთხელაც სმამაღლა ვაფიქსირებ: აღფრთოვანებული ვარ ამის თანა სიცოცხლისუნარიანი სამედიცინო ცენტრის შექმნით ზუგდიდში.

პრეზენტაციაზე ყოფნისას ჩვენ თვალი შევაგლეუთ გაკრიალებულ სამშობი ართ



განყოფილებას. ბუნებრივია, ეს თქმა ყველაზე სათუთია, ყველაზე ამაღლებული ჩემთვის, როგორც ადამიანისათვის, როგორც შემოქმედისთვის. ჯანსაღად მოვლენილი შთამომავლობა ჩვენი ოდა- ბაღეს ქვაკუთხედად წარმოქმნასება. აღმოჩნდა, რომ თქვენთან უკვე რამდენიმე მიმართულების სამშობიარო მეთოდი დაგინერგავთ.

— მართლაც ბრძანებთ. მშობიარეს, ორსულ ქალს ჩვენთან შეუძლია ნებისმიერ, მისთვის სასურველ, ნაკლებად მტკივნეულ პოზაში იმშობიაროს. ეს უკვე მთელს მსოფლიოში მიღებულია. შეუძლია ნახევრად წამოწოლილ მდგომარეობაში მოილოცინოს, შეუძლია ბურთზე მჯდომარემ, შეუძლია შხაპის ქვეშ. ასეთი რამ მთელს ქვეყანაზე აპრობირებული, ჩვენი მოგონილი არ გახლავთ. ამგვარი მიდგომებით ორსულობის დროს გართულებები გაცილებით ნაკლებია. თავიდან ვიცლებთ ჩახვევებს, როცა მაგალითისათვის, ნებისმიერ ორსულს რახმანის საწოლზე

ამშობიარებდნენ ჩვეულებრივ პოზაში. არის სპეციალური სკამიც, რომელზეც მშობიარეს შეუძლია ჯდომა და უმტკივნეულოდ მიუალერსოს თავის ახლადმოვლენილ პირმშოს. მოკლედ,

ჩვენთან ყველა ორსული დედა ინდივიდუალურ სამშობიარო დარბაზში მოილოცინებს.

იქ სპეციალური საწოლი არის, რომელიც პოზას იცვლის, ნებისმიერ მდგომარეობაში მოიყვან.

იქ არის სპეციალური ბურთი, რომელზეც ჯდება ორსული ქალი და ჩემო ბატონო, არის ხალიჩაც, შეუძლია იატაკზეც გაგორდეს. ასე რომ, ყველაფერი ხდება ბუნებრივ პირობებში,

პაციენტის სურვილისამებრ, მისი ორგანიზმის მდგომარეობის შესაბამისად. ამგვარი მიდგომებით გართულებები ერთიასად მცირდება,

ვიდრე სტანდარტულ პირობებში,

როცა ქალი აუცილებლად მშობიარობდა სპეციალურ სამშობიარო მაგიდაზე.

— ბატონო, როლანდ, ჩვენ თითქმის მიგუახლოვდით საუბრის კულმინაციურ წერტილს. აი, უშუალოდ თქვენს კოლექტივზე გვინდა ვილაპარაკოთ. როგორია თქვენთან ანაზღაურება, იგივე გასაპრჯელო, აქაც თუთაშნიასებურადაა საქმე, ხელფასს უნდა ეყოს კაცი თუ პირიქით?

— ნუ, ანაზღაურება იცით... ყველაფრით

კმაყოფილი ადამიანი იშვიათია, მაგრამ

სტატისტიკას ვერსად გაექცევი. ჩვენთან ექიმის საშუალო ხელფასი რვაას ლარამდეა. მედლის ხელფასი შედარებით ნაკლებია — 200-220 ლარი. მალე ხელოვნური დიალიზის განყოფილება რომ გაიხსნება, შემდეგ ავადმყოფთა რაოდენობა, რა თქმა უნდა გაიზრდება, მუშაობაც სწრაფად წავა წინ. ძალიან მაგრად მუშაობენ კერძო სადაზღვევო კომპანიები და ძალიან ბევრი ავადმყოფი შემოდის — „ჯი-პი-აი“, „ალდაგი“, სხვანი და სხვანი და ყველა კომპანია წარმატებით თანამშრომლობს ჩვენთან და აი, ამ სადაზღვევო კომპანიების ასეთმა ინტენსიურმა მუშაობამ ავადმყოფთა რაოდენობა ერთიორად გაზარდა. რაც უფრო მეტი ავადმყოფია, ოპერაციაც



მეტი კეთდება და რაც უფრო მეტ საწოლზე გაატარებს ექიმი და მედდა, მით უფრო მეტია მათი ხელფასი. ეს არ არის ზღვარი, თითქოს ამის ზემოთ არ გაიზრდება ჯამაგირი. მე მყვანან ექიმები, რომლებიც 3000-3500 ლარსაც იღებენ. ეს ყველაფერი მოდის შენგან. რამდენ მეტ ავადმყოფსაც ჩაუტარებ კონსულტაციას, რამდენ მეტ საწოლ დღეს გაატარებ, რამდენ მეტ ოპერაციას ჩაატარებ, რაც უფრო წარმატებული ექიმი ხარ, მით უფრო მეტია შენი ხელფასი. აქ არის არჩევითობის პრინციპი. ავადმყოფი რომ შემოდის, ის თვითონ ირჩევს მკურნალ ექიმს და მედდას. ასეა მიღებული აღმათისა და ამსტერდამის დეკლარაციებით. ასეა მთელს მსოფლიოში აპრობირებული. ავადმყოფს აქვს უფლება აირჩიოს თავისი მკურნალი ექიმი და სამედიცინო დაწესებულება. ამიტომაც ყველაფერი დამოკიდებულია თვითონ პიროვნებაზე, ექიმზე, მის ერუდიციაზე, რათა იყოლიოს მეტი პაციენტი და აქედან გამომდინარე ხელფასიც სოლიდური გამოიმუშაოს. თუ 2-3 წლის წინათ ხელფასი 60-70 ლარი გახლდათ და 150 ლარზე ზევით წარმოდგენელი იყო, დღეს ამისთანა თანამშრომელი ჩვენთან გამორიცხულია. როგორც გითხარით ექიმის საშუალო ხელფასი არის 800 ლარი და ამავდროულად გვყავს 3000-4000 ლარიანი გასამრჩელოს პრეტენდენტებიც.



— **ყველაფერი ყველაფერი, მაგრამ როგორია ბატონ როლანდ ახალაიას თავისუფალი დროის პრობლემა? თქვენი გატაცებები ლიტერატურით, ხელთნების სსჯა დარგებით?**

— გატაცებისთვის ნაკლები დრო მრჩება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ლიტერატურა ძალიან მიყვარს. ქართველი მწერლებიდან ჩემი სათაყვანებელი იყო და რჩება კონსტანტინე გამსახურდია. ვაღმერთებ გალაკტიონს.

— **სსჯათა შემოქმედებისათვის თუ მიგიწვდებათ ხელი?**

— როგორ არა. ყველა რომანი მაქვს წაკითხული ჩვენი კუთხიდან თუ შეთხზულა. ამასთან ძალიან მომწონს სამხრეთ-ამერიკული ლიტერატურა, კერძოდ, მარკესი და ბორხესი.

— **„მარტოობის ასი წელიწადი,“ „სამხრეთის შარაგზა“...**

— „პატრიარქის შემოდგომა“ რას უწუნებ?! რა ვიცი, შესაძლებლობის ფარგლებში ვცდილობ დროს არ ჩამოვრჩე. ამასთან მე მიწევს ყოველდღიურად სპეციალური ლიტერატურის კითხვაც. დრო ერთი დღით ჩამორჩენას არ გაპატიებს. მიყვარს ფეხბურთი და ბავშვები. ჩემი ბიჭებიც ფეხბურთის გიჟები არიან. ბატონ ზვიად სიჭინავას „ბაიამ“ ზუგდიდური ფეხბურთი ლეთარგიული ძილიდან გამოაფხიზლა, აი, რეანიმაციაში მყოფს, უკვე მოკეთებულს პალატაში რომ გადაიყვანენ, მერე გაივლ-გამოვივლის, ახალშობილივით თავიდან აიდგამს ფეხს. რაც შეეხება ნარკოტიკებს, აი, მათგან ახალგაზრდობის



გადარჩენის ყველაზე საუკეთესო საშუალებაა სპორტი და განსაკუთრებით ფეხბურთი. სპორტი, აქტიური სპორტი, აი, ჩვენი მომავალი თაობის როგორც ფიზიკური, ისე — სულიერი სრულყოფის გარანტია.

ბრწყინვალების საკრედიტო ორდენის კავალერი

ორი როლანდ ახალაია ზუბიდილიან

- მინდა გაიხსენოთ ამ წლის ერთი დღე, რომლის გმირები ერთდროულად ორი ზუგდიდელი როლანდ ახალაია აღმოჩნდა, თბილისი, 26 მაისის დღესასწაული...

- პოო... წინა დღეს დამირეკეს, აღლუმზე უნდა გამოცხადდე საშვი იქნებო დაშვებული.

იქ შემატყობინეს პრეზიდენტი ბრწყინვალების საკრედიტო ორდენით დაგვაჯილდოვებოთ. სულ 23 კაცი ვიყავით, მათ შორის ორი როლანდ ახალაია, რამაც პატარა დაბნეულობებიც კი გამოიწვია - ვინც ჯერ ერთი როლანდ ახალაია ნახა

და გაიგონა - დაჯილდოვდეს ჯანმრთელობის დაცვის საქმეში მიღწეული წარმატებისთვის - იფიქრა: ამას რა უნდოდა ჯანდაცვაში... მე ვინც მნახა,

და თან მოისმინა კორუფციასთან მებრძოლი, ამან ეგ რითი დაიმსახურაო, გაიკვირვეს. მოკლედ, ორი მარინე ფერაძის ვარიანტი იყო...

- პრეზიდენტმა თუ თქვა რამე ამის შესახებ?

- როგორ არა, ორივე როლანდი დაგაჯილდოვეთ. მე რე დაგვაპატივეს პრეზიდენტის სასახლეში, ალაფურშეტზე. ბატონი მიხეილი ბოლომდე არ დარჩენილა... ცოტა ხანში კი ტელევიზორში, ვხედავ, პირდაპირი ჩართვაა ზუგდიდიდან და ჩვენი პრეზიდენტი იქ არ არის?! საოცარია ენერჯის კაცია... მეტეორივით არის, მთავარი კი ის არის, რომ გადაწყვეტილებებს ღებულობს სწრაფად, დროზე. ამას უცხოელი ექსპერტებიც აღნიშნავენ. ძირეული ცვლილებები ყოველთვის მტკივნეულია... შეცდომისგანაც დაზღვეული ვერ იქნები. ენერჯიულად განხორციელებული,

არაპოპულარული, მაგრამ სწორი გადაწყვეტილებები კი თავის შედეგს არ დააყოვნებს ხოლმე. ახლახან კიევში რომ ვიყავი, ერთმა უკრაინელმა - ნამყოფი იყო საქართველოში და ჩვენი რეფორმები ნახა, მითხრა:



ჩვენთან ძვრაც არ არის, ერთ ადგილს ვტკეპნით. ერთი წლით მაინც თქვენი პრეზიდენტი ჩვენი პრეზიდენტი რომ იყოსო... მე ვუთხარი, ეს შეუძლებელია-მეთქი.

- მოკლედ, არ დათანხმდით პრეზიდენტის გადაყვანაზე...

- არა.

- ექიმი კაცი, მოქმედი ქირურგი, პოლიტიკაში, პარტიულ საქმიანობაში სულ ხართ ჩართული... ახლაც საკრებულოს წევრი ბრძანდებით.

- პარტიულ საქმიანობაში, როგორც ასეთი, არასდროს ვიყავი ჩართული... საკრებულოს წევრი კი ორჯერ ვიყავი, ჯერ სულ პირველად, ჯგუშის დროინდელ საკრებულოში ვიყავი არჩეული. გარკვეული დროის შემდეგ განცხადება დავეწერე და წავედი იქიდან.. საქმის კეთება არ იყო,

სულ დაპირისპირებები, ბრძოლა იყო, სკამისთვის, პირველობისთვის. ახლა უკვე სხვა სიტუაციაა საკრებულოში საქმე კეთდება. თუმცა მაშინ, სურვილიც რომ ჰქონოდა არც იყო რეალური პირობები საქმე გაგეკეთებინა. სად იყო ფინანსები, რა ბიუჯეტი იყო... ფინანსების გარეშე კი რას გააკეთებ... 4-5 წლის წინათ ვინ

წარმოიდ გენდა, რომ ჩვენი გაპარტახებული საავადმყოფო გახდებოდა ევროპული სტანდარტების სამედიცინო ცენტრი. უახლესი აპარატურით, თანამედროვე

ტექნოლოგიებით, სათანადო კომფორტით...

ცალკე, ავტონომიურად ასეთ ნახტომს ვერავინ გააკეთებდა. იმიტომ გაკეთდა, რომ სახელმწიფო, მისი სტრუქტურები მუშაობს, არის წესრიგი, არის ბიუჯეტი, არის შემოსავალი და საქმე კეთდება.

- სახეცვლილება, წარმატებები, სამედიცინო სერვისის მაღალი დონე, ცხადია, სახეზეა, მაგრამ ისევ რჩება ის პრობლემა, რომ ყველასთვის ეს სიკეთე მისაწვდომი არ არის.

- ჩვენს საავადმყოფოში შემოსული კონტიგენტის 65-70 პროცენტს აქვს პოლისი. 0-3 წლამდე ბავშვების მომსახურება უფასოა, 60 წლის ზევით არის 25-პროცენტიანი

თანაგადახდა. უმწვეთა კატეგორიას აქვს პოლისი, სახელმწიფოს მიერ დაზღვეულია როგორც მასწავლებლები, სამართალდამცავი ორგანოები, ჯარი, ასევე პატიმრები. ამის გარდა იმათ, ვინც მუშაობს, აქვთ კორპორაციული დაზღვევა. ვფიქრობ, ეს სწორი გზაა და მომავალში საქართველოში არ უნდა დარჩეს არც ერთი ადამიანი დაზღვევის პოლისის გარეშე. საერთოდ კი ჩვენი მიდგომა ჯანმრთელობის მიმართ ხშირად გამართლებული არ არის. აი, სახელმწიფომ რომ გამოაცხადა შესანიშნავი, მინდა ვთქვა იაფი დაზღვევის პროგრამა ხალხმა რაღაც 2 ლარამდე თვეში არ გაიმეტა საკუთარი

ჯანმრთელობისთვის... როგორი უნდობლობაც არ ყოფილიყო, ამ პროგრამის მიმართ, ამაზე უარის თქმა როგორ შეიძლებოდა. ეს მიზეზი თანხა როგორ უნდა დაგნანებოდა. ნამდვილად კარგი შანსი გაგუშვით ხელიდან... ცხადია,

ამით არ მთავრდება ყველაფერი, სახელმწიფომ ახალი გზები უნდა მოძებნოს.. ცოტა უნდა

შევიცვალეთ აზროვნებაც, როგორ შეიძლება ადამიანი მუშაობდეს და დაზღვევა არ ჰქონდეს?

არის ხომ სხვადასხვა ღირებულების სადაზღვევო პაკეტები. უცხოელები ერთ ნაბიჯს არ გადადგამენ პოლისის გარეშე, გულის ჯიბეში უდევთ. დღევანდელ რეალობას უნდა მოერგოს... თორემ მომავალში, შესაძლოა, ისეთი ძლიერი სახელმწიფო გვექნება, თავის თავზე აიღოს ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვა...

- იმედია, ასე იქნება... დღეს, გასაგებია, სახელმწიფო ცდილობს ყველაზე უქონელი ფენა დააზღვიოს. მაგრამ დაზღვევის გარეშე დარჩენილთა შორის მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს შესაძლებლობა საჭირო სამედიცინო ხარჯები დაფაროს... განსაკუთრებულად გართულდა მდგომარეობა გადაუდებელი ურგენტული დახმარების შემთხვევაში. არაერთხელ გამოვიდა, გადაუდებელ ოპერაციას მანამ არ მოკიდეს ხელი, სანამ ფულის ამბავი არ გაარკვეიეს...

- გადაუდებელ, მწვავე შემთხვევის დროს ავადმყოფისთვის უარის თქმა წარმოუდგენელია... თუ ჩვენს საავადმყოფოზე რამე კონკრეტული ფაქტი გაქვთ - ეს არავის ეპატიება... ექიმი, რომელიც მხოლოდ გასამრჯელოსთვის არის ექიმი, ექიმი არ არის... ჩვენ ვეხმარებით ავადმყოფს, მერე, თუ პოლისი არა აქვს, წარვუდგენთ კალკულაციას...

იმ შემთხვევაში, თუ ერთბაშად გადახდა არ შეუძლია, გრაფიკს ვუდგენთ ყოველთვიურ გადახდაზე... გამონაკლისებსაც ვუშვებთ... ამჟამად ეს არის, რისი გაკეთება შეგვიძლია...

- ბატონო როლანდ, ყველაზე ჰუმანური პროფესია გაქვთ, ცნობილი ქირურგი ბრძანდებით რომელსაც ასობით ადამიანი გადაურჩენია, მაგრამ აი, რამდენ სირთულეზე ვისაუბრებთ... რის გამოც პაციენტი ყოველთვის ვერ იქნება მადლიერი... ამ მხრივ, ადამიანური მადლიერების მხრივ, კიდევ უფრო მეტ სირთულეებს აწყდევს პროკურორი, რომელიც პროფესიით არის ბრალმძებელი, როგორც თქვენი სეხნია, და თქვენსავით ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენის კავალერი, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორი როლანდ ახალაია.

- ჩემი აზრით, როლანდ ახალაია ყველაზე პატიოსანი და ობიექტური კაცია, ვისაც ვიცნობ. არადა, ძალიან დიდი ხანია ვიცნობ, ვიცი ყველა ნიუანსი მისი ბიოგრაფიის. სტუდენტობიდან თავის ნიჭით, მონდომებით მიადგია ყველაფერს და ყოველთვის იყო ობიექტური, სამართლიანი, ამაში მე 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული. არასდროს გადადგამს არამართებულ ნაბიჯს. ძალიან კაცთმოყვარე და მიმტევებელია...

- მიმტევებელი პროკურორის მისამართით საკმაოდ უჩვეულო შეფასებაა.

- დიას, დიას, სწორედ ასეთია ეს პროკურორი. არ ვიცი, თქვენ როგორ იცნობთ, მაგრამ ძალიან მიმტევებელი და კაცთმოყვარეა... შვილებიც ასეთი გაიზარდნენ, გაგიგიათ რამე უკანონო ჩაედინათ, მომხეტკელები არიან?!



- გაგებით კი მოგესხნებათ, ამ ოჯახის წევრები ერთ დროს ოპოზიციის მთავარი სამიზნეც იყვნენ. სხვა საკითხია, მოსმენილი რამდენად შეესაბამება რეალობას, რადგან, სამწუხაროდ,

პოლემიკა ჩვენში მხოლოდ შავ-თეთრი ფერებში მიდის.

- დრო გაივლის და მაშინ ნათლად გამოჩნდება, ვის რაში რა წვლილი მიუძღვის, ვინ რა პოზიციაზე იყო ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა... ცოტა გააკეთა ამ ოჯახმა, ქურდული მენტალიტეტის დაძლევისთვის, რომელიც ღრღნიდა საზოგადოებას. გახსოვთ, რეკეტორებს რომ საჯაროდ იცავდნენ ცნობილი ადამიანები... იმ დამყაყებულ სისტემის დაშლა უმტკივნეულო ვერ იქნებოდა ცხადია, საპასუხოდ ყოველგვარ სიბინძურეზე მიდიოდნენ. მათ შორის პრესის მეშვეობით.. ახლა ხომ ყველაფერი შეიძლება დაიწეროს. გაზეთში ასეთი რაღაც დაბეჭდეს ჩემზე - როლანდ ახალაია ყოველდღე მივარდება და მეუბნება, დახურე შენი კლინიკაო... არადა, იმ ადამიანს საერთოდ არასდროს შევხვედრივარ. არ ვიცი, ჟურნალისტის ფანტაზია იყო ეს თუ მისი ტყუილი... სხვაგან კიდევ ასეთი რაღაც დაწერეს ქუთაისის საავადმყოფოზე - ექიმებს ელენთა გასაყიდად უნდოდათო. არადა, ელენთის ტრანსპლანტაცია საერთოდ არ კეთდება, პატარა დაზიანებაც თუ არის,

ვერ გააკერავ და ამიტომ, მთლიანად ვაშორებთ ხოლმე. უზუსტობები, შეცდომა ნებისმიერ საქმეს ახლავს... ისე კი, ხშირად პრესისგან ყველა მხოლოდ მისთვის მისაღებ „ობიექტურობას“ და „თავისუფლებას“ ითხოვს. ობიექტურობა და თავისუფლება კი გამოცდაა,

რომელსაც მთელი საზოგადოება აბარებს...

- ამაში გუთანხმებით. „შევრიგდით“, და ბოლოს თქვენი საახალწლო სურვილები...

- ჯანმრთელობას და ჯანსაღ საზოგადოებაში ცხოვრებას, წარმატებას, ბედნიერებას ვუსურვებ ყველა ზუგდიდელს, სრულიად საქართველოს.

მარინა ქარდავა,
გაზეთი „ზუგდიდი“,
№38-39, 29. 12. 2010 წ.

ორი წლის შედეგად (2011 წ.)

– ბატონო როლანდ, ვუბრუნდებით ორი წლის წინანდელ საუბარს. რა გაკეთდა ამ ხნის მანძილზე?

– ორი წლის განმავლობაში ის გაკეთდა რომ, ადრე თუ 3000 პაციენტს ვღებულობდით, ახლა უკვე 9000 გადააჭარბა სტაციონარში მკურნალ ავადმყოფთა რაოდენობამ, პლუს ამას ამბულატორიულ ავადმყოფთა რაოდენობა 60 ათასამდე ავიდა. საავადმყოფოს შემოსავალი 5-ჯერ კი არა, არამედ 10-ჯერ გაიზარდა. გაიხსნა ხელოვნური თირკმლის დეპარტამენტი რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სადაც მიმდინარეობს იმ ავადმყოფთა მკურნალობა, რომლებსაც აქვთ თირკმლების ქრონიკული და მწვავე უკმარისობა. თქვენ აღბათ ჯერ არ გინახავთ ეს ჩვენს დეპარტამენტი, რომელიც ახლახანს გახსენით. წარმატებული დეპარტამენტი, არათუ ჩვენს საავადმყოფოში, არამედ საქართველოშიც. სადაც კეთდება ხელოვნური დიალიზი და ამ დიალიზის მეშვეობით უნარჩუნდება სიცოცხლე რამოდენიმე ათეულ ავადმყოფს. თვეში სამ ცვლაში მიდის მუშაობა, სულ გვაქვს 11 პალატა, დაახლოებით 50 ავადმყოფს უტარდება ეს ხელოვნური დიალიზი, ყოველ მეორე მესამე დღეს ჩვენების მიხედვით. პირველ სართულზე თუ ჩახვალთ ნახავთ რამხელა სიკეთე გაკეთდა ჩვენი რეგიონისთვის, რადგანაც ამ კონტრენტის ავადმყოფები, ძირითადად ამ დიალიზისთვის დადიოდნენ თბილისში, ქუთაისში. ეს იცით რამხელა ხარჯებთანაა დაკავშირებული, რამხელა ფიზიკური დატვირთვასთანაა ასეთი ავადმყოფებისათვის., და ახლა, ღვთის წყალობით ეს კეთდება ჩვენთან, ჩვენს საავადმყოფოში და ჩვენი რეგიონის მოსახლეობას უკვე აღარა აქვს სასიარულო სხვა რეგიონებში, თუ დედაქალაქში. ბოლო ორი წლის განმავლობაში ეს უმნიშვნელოვანესი საქმე გაკეთდა. ერთი წელია რაც ეს დეპარტამენტი გახსენით.

– ბატონო როლანდ, 50 ექიმი იყო დასაქმებული ორი წლის წინათ და ახლა ამ მხრივ რა მდგომარეობაა?

– ჩვენ ჩავატარეთ კონკურსი და საკმაოდ დიდი რაოდენობა მედლებისა, რომლებიც მუშაობდნენ რაიონულ საავადმყოფოში, ახლა ჩვენს პერსონალში ირიცხებიან. მომავალში რა ბედი ეწევა რაიონულ საავადმყოფოს ჩვენს კომპეტენციაში არ შედის, ეს მაღალ ინსტანციებში გადაწყდება. იმ შენობის, იმ ტერიტორიის მეპატრონე გახლავთ ჯანაშვილი. რაც თქვენთვის ყველა მნიშვნელოვანი და ინფორმაციულია, გახლავთ ის რომ აბაშაში კეთდება ახალი საავადმყოფო, იგი თითქმის დასრულებულია, იგივე მდგომარეობაა ხობში, ასეთივე პროექტი ხორციელდება ჩხორო-წყუში, წალენჯიხასა და ქალაქ ფოთში, მარტვილში.


2011 წელს ეს საკითხი უვე დასრულებული იქნება, 2011 წლის ბოლოსთვის ამ ქალაქებში იქნება ახალი საავადმყოფოები, თანამდეროვე ტექნიკით აღჭურვილი, და იქნება ისეთი სამედიცინო დაწესებულება, როგორიც ეკადრება ჩვენს მოსახლეობას.

– რა მდგომარეობაა ოჯახში, დაამთავრეს ბიჭებმა უნივერსიტეტი?

– ერთმა კიევში დაამთავრა სამედიცინო, ორდინატურაზე, მეორე წელს ამთავრებს თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტს. აი, დათო ფიფიას ქალიშვილი, მაგალითად, მაგრად მღერის და პრიზებსაც იღებს, კონკურსებში იმარჯვებს, დამსგავსა მამამისს. ილაპარაკეთ ბატონო. მე ოპერაციაზე მეჩქარება.

– ბატონო დავით, როგორ შეარჩიეთ პერსონალი საავადმყოფოსათვის?

– ობიექტურად მოხდა სამედიცინო პერსონალის აყვანა, ტესტირება იყო მთავარი ორიენტირი და კრიტერიუმი სამსახურში საშუალო პერსონალის (ექთნის) აყვანის. ამ ორი წლის



განმავლობაში დაინერგა ახალი ტექნოლოგიები – ლაპარასკოპიული ოპერაციები „უსისხლო“ ოპერაციებს რომ ეძახიან, დაინერგა სხვადასხვა ენდოსკოპიური გამოკვლევები, როგორცაა: კარტოკოპია, ოხოსკოპია, კოლნოსკოპია. შევიძინეთ „ჯონსონის“ ფირმის უახლესი ლიტროსის ლაბორატორიული აღჭურვილობა. კერძოდ, ბიოქიმიური ანალიზატორი, იმუნოფერ მენული ანალიზატორი; შევიძინეთ უახლესი სასტერილიზაციო მოწყობილობა, რომელიც საქართველოში ორ დაწესებულებაშია მხოლოდ. ერთი რესპუბლიკურ საავადმყოფოში, მეორე – ჩვენთან. ამ ორი წლის განმავლობაში პაციენტთა რიცხვმა მოიმატა სამჯერ სტაციონარულ ნაწილში. პაციენტთა მატება იწვევს დაწესებულების ფინანსურ ზრდას. სტაციონარში 9000 პაციენტი იქნა დაფიქსირებული 2010 წელს, ამჟამად – ტორიულად მიღებულ იქნა 60 ათასი პაციენტი წლის განმავლობაში, ეს შთამბეჭდავი ციფრებია რეგიონული დაწესებულებისათვის.

– რამდენად

მონაწილეობდნენ

სადაზღვეო კომპანიები ამ ორი წლის მანძილზე?

– მოგახსენებთ. მთავარი ისაა, რომ პრინციპი: ღარიბი პაციენტისათვის ხელ-მიუწვდომელი იქნება ეს დაწესებულება არ ამართლებს და არც გამართლებს. დღეს უმწეო პაციენტი, რომელსაც გააჩნია პოლისი და სახელმწიფოს მიერაა დაზღვეული ბევრად უფრო დაცული გამოდის იმ საშუალო ფენაზე, რომელიც დაზღვეული არაა. იმისთანა კარგი სადაზღვეო პაკეტი აქვს უმწეოს, პედაგოგს, ძაღვფენებს... ეს ის კონტიგენტია, რომელიც სახელმწიფომ დააზღვია. ასე რომ, ჩვენი დაწესებულება ხელმისაწვდომია ნებისმიერი



პოლისიანი პაციენტისათვის. ხვალ და ზეგ უნდა ჩამოყალიბდეს ქვეყანაში სადაზღვეო კულტურა, ყველა მოქალაქე უნდა მიხვდეს რომ, საჭიროა იყოს დაზღვეული. დაწესებულებაში მინიმალური პრობლემა იქნება, როცა მეტი დაზღვეული პაციენტი მოხვდება, ნეტავი არავინ მოხვედ რიდიყოს ამ დაწესებულებაში, მაგრამ ნამდვილად ცოდნა პაციენტი დაზღვევის გარეშე.

– ბატონო დავით, სულ მოძრაობაში ხართ, ამას წინათ აბაშაში იყავით თურმე?

– კომპანია „ბლოკ ჯორჯიას“ პირველი ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე, ეს იყო ზუგდიდის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს აშენება-აღჭურვა, რომელიც მან პირნათლად შეასრულა. ახლა იწყება მეორე ეტაპი, მას გადაეცა სამეგრელოს რეგიონის ჰოსპიტალური ქსელის განვითარება, შექმნა და აღჭურვა – აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყის, წალენჯიხის, ხობის რაიონების და ქალაქ ფოთის. ამ წლის ბოლოსათვის კომპანია იმედოვნებს გახსნას ახალი საავადმყოფოები, 15 საწოლიანი,

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ რაიონში, ხოლო ქუთაში კი 70 საწოლიანი ცენტრის მშენებლობა დაასრულოს. ასეთი ამბიციური გეგმაა. ეს დაწესებულებები პირველ რიგში ადვილად მისაწვდომი იქნება ადგილობრივი მოსახლეობისათვის, და იქნება ქსელური მართვა. აბაშაში იქნება ერთიანი ქსელი მაღე, თავისი სასწრაფოთი, თავისი რეანომო- ბილებით. „ბლოკ ჯორჯიას“ ერგო აგრეთვე ქუთაისის ახალი სამედიცინო ცენტრი და დამა- ტებით 200 საწოლს უმატებს იმ ახალ ცენტრს. დასავლეთის ნაციონალური მედიცინის ინტერვენციული ცენტრი უმატებს 200 საწოლს, ანუ მთელი სამეგრელო და იმერეთი უმსხვილესი სამედიცინო დაწესებულებაა, აი, როგორივალდებულებებია აღებული სახელმწიფოს წინაშე, და მიდის მათი შესრულება.

– შენი გოგონა რა ასაკისაა?

– ცხრა წლისაა და კარგი მუსიკალური მონაცემები აქვს.

ტურისტული მარშრუტი: ანაკლია-მესტია

„ინვესტორებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით ანაკლიაში!“

მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი.



გახტანგ მიშველია ზუგდიდელი კაცია. ამაჟამად მოსკოვში ცხოვრობს. პროფესიით ისტორიკოსია, შოთა მესხიას ასპირანტი, ბოლიტოლოგი და ამაყდროულად ბარფიუმერიის ბიზნესის მიმდევარი. თონი შვილიშვილი ჰყავს დანიაში. სამშობლოში წელიწადში ორჯერ მაინც უცილობ- ლად ჩამოივლის სულის მოსათხებლად

— დვინობის თვესა და აღდგომაზე. მაშინვე მომიკითხავს ნათლულს. სულ ერთად დავესეტებით მერმე. სან ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს ვსტუმრობთ სოლმე, ხანაც — ბავლიაშვილების კაკაბეთს. სად არ ვყოფილვართ, სვანეთსა თუ დუშაბეების სახლ- მუზეუმში; ბათუმი, ქობულეთი, ყულევი, „ენგურს ესი“, განმუნური, სურჩა... აბასთუმანზე ვერ აგვიღ- წევია აჯრეთ. ეგ არის და ეგ. მისი დაუდგრომელი ბუნება და პრეზიდენტი სააკაშვილის საქმეებით აღტაცება ნამდვილად გადაძვინდა. უამრავი მტერი გაუჩინა ამის გამო დიდ რუსეთსა თუ სამშობლოში, მაგრამ არავის ებუება. ქვემოთ სურათზე გამო- სატული ხელების ჯაჭვის შემსწრემ ცრემლი ვერაფრით შეიკავა, საჭეს დაემხო და ბავშვივით აქვითინდა. მთელი მსოფლიო შემოუ ღია, მაგრამ საკუთარ მიწა-წყალზე უკეთესი ვერსად იხილა. უყვარს წინაპართა საფლავების მონახულება, სანთლების ანთება. ჩაფერფლავამდე ფეხს არაფრით მოიცვლის. ყველაკას ნათლიმამაა, ყოველთა ხელგამმართვე- ლი, და რატომ, რისთვის არ უნდა ამზევრძელოს ზეციერმა?!

— რაოდენ მიკერძობაშიც უნდა ჩამოშორდეს ქვეყნის პრეზიდენტის ამას წინათ საუთერო სივრცეში გაცხადებული ხატოვანი თეზისი: „ინვესტორებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით ანაკლიაში“, სწორედ ამ სენტენციის მართებული ანალიზი მიმაჩნია გადაუდებელ საქმედ. გაზეთ „ხალ თათბაში“ ეკონომიკის ექსპერტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სოლომონ ბავლიაშვილი ამ მიმართულებას შეტად საინტერესოდ განმარტავს. ჰოდა, მოდი, ჩვენც ამ არეალით გაგშალოთ საუბარი:

— გური ძვირფასო, გულადი დარაგო, კარგად მოგეხ- სენება, კახეთში ვენახები მაქვს, თანაც კაკაბეთში პავლი აშვილებისას არაერთგზის ვყოფილვართ. ქალბატონი ელიკოს დედოს პურები ხომ არ დაგვი წყნია, ბიჭო? ჩვენი სოლომონი უბატონო კახეთის მკვიდრის კვალობაზე, გასაოცრად ამაღლე ბული დამოკიდებულებით გამოიჩინე საქართველოს ნებისმიერი კუთხისადმი. ეს ის ქეშმარიტად ღირსეული პიროვნებაა, რომელმაც საჯაროდ დაგმო „მხედრონის“ „ეგ ზეკუციები“ სამეგრელოში. „ილიას სიტყვებს რას უშვებითო“, მწარობდა გამუდმებით. გულისხმობდა ფორმულასავით ჩამოქან დაკებულ ფრაზას — „სამეგრელოში ჩამოვედი და საქართველო ვნახე, დიდი საქართველო“. გვიხილავს ჩვენ იგი ჭუბერში მედიკამენტებითა და კაკაბე- თიდან

წამოღებული სასურსათო პროდუქტით ჩასული. მე მაშინ ოცამდე დევნილი ოჯახი შევიფარე ზუგდიდში. „სილიოტკასავით“ ეყარა ხალხი იატაკზე და მაინც ცხონე- ბული გალავტიონ ნაჭყბია და თუ სხვანი მარტოოდენ სულიკოს აღიარებდნენ აფხაზეთის ღვიძლ შვილად. ძაღლის ბედი აქვს-მეთქი, გამიმხელა. ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული. მერედა, ბატონი სოლომონი ის პიროვნება

გახლავთ, რომელსაც ქვეყნის პრივატიზაციის პროცესის მაჩისცემა 17 თვის მანძილზე ხელში ეჭირა, როგორც ნაცად ხუროს გონიო და თარაზო, სანამ ქონების მართვის სამინისტრო თავად არ გააუქმა, უფრო მოხერხებული სტრუქტურის შესაქმნელად; გური ძვირფასო, გულადი დარაგო, ისიც ჩვენსავით გაფაციცებით მისჩერებია ქვეყნის ნებისმიერ კუთხეში მიმდინარე პროცესებს: ნავთობსადენის, გაზიფიკაციის საკითხებია ეს აღმოსავლეთში, თუ ზღვაოსნობის პრობლემები დასავლეთში. აგერ, სამეგრელოში პრეზიდენტი სააკაშ- ვილის აგორებული ახალი ინიციატივა: „ინვესტორებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით ანაკლიაში!“ — ანუ იგივე ტურიზმის პრიორიტეტი, მან ლაკონიურად იმ ლოკომოტივს შეაღარა, რომელსაც შესაძლოა დანარჩენი ინფრასტრუქტურა ვაგონებით გაიმოხვას. აქვე ქვეყნის პრეზიდენტი ცალსახად იმ ერთად- ერთ პიროვნებად შერაცხა, რომელიც სულ ცოტა 90 პროცენტით განსაზღვრავს საქართველოში შემოდინებულ ინვესტიციებს. 5-6 წლის მანძილზე ეს სახსრები რამდენიმე მილიარდს აჭარბებს.

ჩემი ჰობი ინტერნეტია და ქართული გაზეთების ელექტრონული ვერსიებით დღეს ეს კაცი საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული ეკონომისტი, ეკონომიკის ექსპერტი. ვგობებ, დამეჩერება მსოფლიო შემოვლილს: დღეს სოლომონ ბავლიაშვილს იმედის თვალთ უყურებენ, არა მარტო რუსეთში, არამედ დანიაში, ნიდერ ლანდებში, თურქეთსა თუ სულაც შტატებში მცხოვ- რები ჩვენი ღიჭასპორელები. გნებავთ „24 საათი“ აიღეთ, ვნებავთ „ახალი თაობა“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „ქურნალი“, „ბიზნესი და კანონმდებლობა“. მისი ბოლოდროინდელი კვლევებისადმი ყველგან გამოთქმულია აზრი, რომ მათში „ათთიქარის სიზუსტითაა შეხამებული ეროვნული ფასეულობები ზოგადკაცობრიულთან“. რაც შეეხება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ იაშა მესხიას სტატიას ქურნალში „ბიზნესი და კანონ მდებლობა“ — აქ

ბიზნესმენი მოსკოვში, ბატონი გულიკო ხარჩილავა. მე ამ პიროვნების შესახებ აქამდეც ბევრი მსმენია, როგორც იშვიათ ქველმოქმედსა და კუთხის მოამაგე შვილზე. მითხრეს ბიზნესმენ, ბატონ თემურ ქარჩავას ინიციატივაზეც, რომელსაც იქვე სასტუმროს მშენებლობა აქვს წამოწყებული და ობიექტური მიზეზების გამო დროებით სამუშაოები შეჩერებულია. ეს ყველაფერი ცარიელ ნიადაგზე ელვისებურად აღმოცენებული დაბაა ხვალინდელ-ზეგინდელი თვალსაწიერიდან. მართებულად აღმინიშნავს ჩვენი სოლომონი: „სწორად იქცევა მიხეილ სააკაშვილი, როცა თავად ჩადის არაერთ ქვეყანაში ინვესტიციების მოსაზიდად. ჩვენ ვართ საომარ მდგომარეობაში. საშიში განცხადებები კეთდება ჩვენს მიმართ. ამიტომაც ინვესტიციების შემოტანა ძალიან მნიშვნელოვანია. როცა ხედავენ, რომ პრეზიდენტი ჩადის და ასეა დაინტერესებული ინვესტიციებით, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი“.

მიმაჩნდა და ახლაც მგონია, რომ ვერც ერთი მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირი ვერ შეძლებდა ასეთი დიდი ოდენობით ინვესტიციების მოზიდვას, ჩვენი პრეზიდენტი თავად რომ არ ჩადიოდა იგივე კატარში, ემირატებში, კუვეითში, სინგაპურში, ევროპის და სხვა, ჩვენივის სტრატეგიულად საინტერესო ქვეყნებში. ამისი კიდევ ერთი დასტურია ბოლო პერიოდის განცხადებები ქობულეთისა და ანაკლიის თავისუფალ ტურისტულ ზონად გამოცხადების შესახებ. აქ ინვესტორი 15 წლის განმავლობაში თავისუფლდება მოგებისა და ქონების გადასახადებისგან. თითოეულს 3,5 ჰექტარი მიწა გადაეცემა საკუთრებაში სიმბოლურ ფასად — ერთ ლარად. რამდენადაც ინფორმაცია გამაჩნია, უკვე შემოსულია ინვესტორების განცხადებები ისრაელიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და სხვა ქვეყნებიდანაც.

— არის საბირისპირო მოსაზრებები, რომ ინვესტორები ჯერ-ჯერობით ფესს ითრევენ და რაც კეთდება — თურმე ბიუჯეტის თანხების შემწობითაა ყველაფერი.


— ამაზეც მოგახსენებ. გახსოვს, ენგურს გაღმა გადავედით ანაკლია-განმუხურის ხილით. იქ რამდენიმე თვის წინათაც ვიყავით, როცა ხილი 80 მეტრით იყო მდინარეში შესული. ჩვენი თვალებით ვიხილეთ მიწასთან გასწორებული სანაპირო, კოხტა პლაჟი და დასასვენებელი ადგილები. მაგრამ ამან არ დააშინა ჩვენი ხელისუფლება — ელვისებური სისწრაფით აღადგა ყველაფერი და ვიტყვით, უკეთესადაც. საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, სენაკის მაჟორიტარი ბატონ დემურ გადელია ამჟამად კომპანია „არქეოპოლისის“ პრეზიდენტი და



საქვეყნო საქმეებს განაგებს არა მხოლოდ სამეგრელოში, მთელს საქართველოში. თავად ვიხილავს, ხიდის კონსტრუქციებს ადგილზე როგორ ჩამოასხამენ მისი სპეციალისტები. ეს რომ მოახერხო თანამედროვე მოთხოვნების დონეზე, სათანადო ტექნოლოგია უნდა გააჩნდეს, შესაბამისი ტექნიკა. ამას ყველაფერს ფული სჭირდება, ბაბაგე, გამჭირავს გონებასთან ერთად. საუბედუროდ ვერც მაშინ და ველარც შემდგომ მისი ნახვა ვერ მოგვიხერხდა, მაგრამ უფრო მთავარს და არსებითს გაგიმხელ, სწორედ ამისთანა ხალხის ძალისხმევით კეთდება დღეს სამეგრელოში, სრულიად საქართველოში საშვილიშვილო საქმეები. იგივე სამშენებლო კომპანია „სანი“ ავიდოთ. ვიცნობ შორიდან მის გენერალურ დირექტორს, ყოფილ ენგურპესელს, ბატონ სერგო გვარამიას. ისინი სესხით აშენებენ საცხოვრებელ კორპუსებს დევნილთათვის ფოთში, სასტუმროს — ანაკლიაში. ეს ყველაფერი დიდ ფინანსურ რისკთანაა დაკავშირებული, მაგრამ სხვანაირად, საომარ ვითარებაში მყოფ ქვეყანაში საშვილიშვილო საქმე წინ ვერ წაიწევა.

— აგვისტოს მოვლენებზე რას იტყვი?

— ჩემო კრიოსტინი, გური ძვირფასო, გულადი, დარაგოი, რუსებს, ცხადია, საქართველოს მთლიანი ოკუპაცია, არც კი ჰქონიათ მიზნად დასახული. მათ ჩინებულად იცოდნენ, რომ ამას მსოფლიო არ დაუშვებდა. ამ გზით ისინი სააკაშვილის ხელისუფლებას ვერაფრით დაამხოებდნენ. მაგრამ ისინი ამჩნევდნენ საქართველოს გასაოცარ დაწინაურებას ინვესტიციების მოზიდვის მხრივ და ეს აგიჟებდათ. აგვისტოს მოვლენების მთავარი მიზანი იყო საქართველოს დაუცველობის





საპროექტო და მშენებლობის კომპანია

**პრაგმატული და სპონსორული
პოპულარი ანაკლიაში.
ინვესტორი: მოსკოველი ბიზნესმენი
გულიკო ხარჩილავა.**



სინდრომით მისი რეპუტაციის შეღავა, ინვესტორების დაფრთხობა და ქვეყნის ფინანსურ იზოლაციაში მოქცევა. ამას მათ ნაწილობრივ მართლაც მიადრეის, ვინაიდან 2006-2007 წლებში ინვესტორების შემოდინების დონე ლამის გასამმაგდა იგივე სააკაშვილის ნების წყალობით და 2 014 მილიონი ლარი 1 564 მილიონ ლარამდე შემცირდა 2009 წელს. ამას დანახვა უნდა. ამას სალი გონებით ანალიზი სჭირდება. როგორც ინტერნეტიდან ვეებულობ (ჩვენ ინტერნეტით ვსაუბრობთ. დამის თერთმეტი საათია თბილისის დროით. გ.თ.) ამჟამად ანაკლიაში საქართველოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. ჭადრაკში ქალთა შორის და მოდი, ჩვენც სიმბოლურად ჭადრაკის ენაზე ვილაპარაკოთ: პრეზიდენტ სააკაშვილი ნამდვილი დიდოსტატია პოლიტიკურ არენაზე. მას ახლა არ რჩება იმდენი დრო, რომ სამიტებზე, პრესკონფერენციებზე, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ შეხვედრებზე მომხიბვლელი ფრაზებით კრიზის ინვესტორები, რომლებიც დამფრთხალნი არიან რუსული ჩექმებითა და ტანკების გრუხუნით ქართულ ტერიტორიაზე. ახლა ინვესტორებს სავაჭრო პალატების, საიტებისა და რეკლამების ბრჭყვიალით ვერ მოხიბლავ დროის უმოკლეს მონაკვეთში. ახლა პრეზიდენტის პრობლემა დროის სიმცირეა. სულ რაღაც ორ წელიწადი დარჩენია, 24 თუ ცოტა მეტი თვე და ამ ხნის მანძილზე მან უნდა მოასწოროს სერიოზული თანხების მოზიდვა ქვეყნის ბიუჯეტში, რათა გონივრულად გაუმკლავდეს წინმომოლოდინე ახალ ბარიერს — შიდა თუ სავარყო ვალების გეგმაზომიერ გასტუმრებას. 2011 წლისათვის სახელმწიფო ვალის



ნინო ხარჩილავა

საპროექტო მოცულობა 10 მილიარდამდე იქნება, კრიოსტნი. აქედან სავარყო ვალი 850 მილიონი ლარია, ხოლო საშინაო — 100 მილიონი. ამ ვალების გაზრდის ძირითადი მიზეზი არის 4,5 მილიარდი, რომელიც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წინ გამოყვეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა. ამ ვალის ყველაზე დიდი მოცულობა მოდის მსოფლიო ბანკზე და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკზე — დაახლოებით 3 მილიარდზე მეტი, მაგრამ ეს უკანასკნელი არის უაღრესად შეღავათიანი სესხი, შეიძლება გრანტადაც კი ჩაითვალოს. თუმცა ბატონ მიხეილს და მის გუნდს არხინად ყოფნისთვის ნამდვილად არ სცალიათ. ვალი — ვალია, ეტაპობრივად გადახდას მოითხოვს. ჰოდა, ამისთანა ვითარებაში სოციალური ფონი უფრო რომ არ დამძიმდეს, ქვეყნის პრეზიდენტი მიმართავს გაბედულ სვლას მხედრით —

თავისუფალი ტურისტული ზონები შავზღვისპირეთში, რომლის მომხმარებელს გაგანია ზაფხულის პირობებში 50-იოდე წუთში შეიძლება ჩაფრინდეს ზღაპრულ სვანეთში და იქ თხილამურებზე ისრიალოს, ან ფრჩხილებამდე გაჭრდეს მესტიის, უშგულის, ჰადიშის ჰაერით. ამისი პროპაგანდა რადიოთი, ტელევიზიით, ინტერნეტ-საიტებით დაგვიანებულია. ახლა საჭიროა გაცილებით სწრაფი დინამიკა, გაცილებით გლობალური მასშტაბები, როგორც იოანე-ზოსიმე იტყოდა: **და დღეი, ვითარცა ათასი წელი**. ბიზნესი და დენტი შეუთავსებელი ცნებებია. ახლა საჭიროა აქეთ ჩამოვი ყვანოთ ინვესტორები, უფრო ახლოდან დავანახოთ ჩვენი ბუნებრივი სავაჭროები და ამ მეთოდით გაცილებით ქმედითი ნაბიჯები გადადგმევინოთ. როდესაც ქვეყნის ეკონომიკურ სტრატეგიაზე საუბარი, იქ ნებისმიერი მიმართულების ცალმხრივი ამოჩემება გაუმართლებელია, საზიანოც. მაგალითად, დებულება: „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, ან „სოფლის მეურნეობა გადაარჩენს საქართველოს“ თუ სულაც „ნიჭიერება გადაარჩენს საქართველოს“. ეს პრიორიტეტები მარცხისთვის განწირულია სათითაოდ ცალკე აღებული, თუკი ისინი ერთმანეთს არ მსჭვალავენ, ერთმანეთში არ აისახებიან, არ თანამშრომლობენ ერთერთში. ასე რომ, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ცარიელი ფრაზაა თუ თავისთავში არ გულისხმობს იგივე სოფლის მეურნეობის გაძლიერებას, განათლების სისტემის დაწინაურებას და ა. შ. მარტო ფაბრიკა-ქარხნების სიმრავლე არაფრისმთქმელია, თუკი ადგილობრივი ნედლე-ული მოაკლდა და კომერსანტის გონება არ მართავს. აქედან გამომ-



ფორმულასავით არის გამოკვეთილი ბატონ სოლომონის როლი თანამედროვე ქართული ეკონომიკური აზროვნების ასპექტით:

„სარეცენზიო ნაშრომი (იგულისხმება ესოდენ გახმაურებული წიგნი „პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში“, თბ., „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009 წ. გ. ო.), თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების თვალსაჩინო და წარმატებული შენაძენია. იგი, ისევე როგორც მისი მსგავსი გამოკვლევები, რომლებიც იშვიათად, მაგრამ მაინც გამოჩნდება ხოლმე, გვიბრუნებს იმედს, რომ ქართული მეცნიერული ეკონომიკური სკოლის გადარჩენა ჯერ კიდევ შესაძლებელია“.

— შენ ამ კაცზე დისერტაციას ხომ არ წერ კმათ?

— ჰმ! დისერტაცია! კრიოსტინი, მე პოლიტოლოგი ვარ და წესით, ნებისმიერი ფოთლის გაფაჩუნება უნდა მესმოდეს ჩემი ქვეყნიდან.

— **კარგი ახლა, ემოციები დაგითოთ, უმჯობესია შენ ის მითხარი, რამდენად რეალურად გეჩვენება ქვეყნის პრეზიდენტის კონცეფციის — ტურიზმის დასახვა უაღტერნატიყო მიმართულებად აგრარულ საქართველოში და რა არგუმენტები გაგაჩნია ამ დებულების სასარგებლოდ?**

— ჩემი ყველაზე დიდი მასწავლებელი და მისაბაძი ადამიანი სულმნათი ილიაა. მე მის წიგნებზე გავიზარდე, მის ეკონომიკურ დაკვირვებებზეც. წარმოგიდგენია, სრულად ჰაბუკმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის სამოციან წლებში იწინასწარმეტყველა ამერიკის შეერთებული

შტატების კაცობრიული როლი დროის უმოკლეს მონაკვეთში. ზოგიერთისგან განსხვავებით მე ილიას გაკვალული გზით სიარული სულაც არ მეთაკილება, პირიქით — მემამაყება კიდევ. ამიტომაც მიეჩერებივარ იმედის თვალთ იმერეთში, აჭარაში, სამეგრელოში მიმდინარე პროცესებს. „ვარდების რევოლუციის“ იმპულსი ხომ ნამდვილად დასავლეთიდან აგორდა ხუთიოდე წლის წინათ. მე უამრავი ინტელექტუალი მეგობარი მყავს საქართველოს ნებისმიერ კუთხეში. მათი შეხედულებები ჩემთვის ყოველთვის ფასეულია. მარტო ბატონ ნოდარ ჭითანავს ტიტანური შრომა რად ღირს ეკონომიკურ აზროვნებაში, რომელიც კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში უქებნის გასაოცარფორმულას:

„დღეით სოციალისტური, მაშით კაპიტალისტური და წარმომავლობით ქართული“, ანუ

„საზოგადოებრივი წონასწორობა ერთგულ ბურჯებზე“... ეს ყველაფერი ფონისათვის, მაგრამ, როცა ილია აცხადებს: **სამეგრელოში ჩამოყვანილი და საქართველო ენახეთ**, ამით დამთავრებულია ყველაფერი. არც ის იყო შემთხვევითი, რომ სამეგრელოს რეალური გამგებლობა ეკატერინე ჭავჭავაძეს ჩააბარა ისტორიამ. ეს ეკატერინე შემდგომში მეგრელების სახალხო რაზმს წინ წარუძღვება ომერ ფაშას თურქი ასკერების სამშობლოდან გასაპანდურებლად. ამისთანა

ისტორიული პარალელების მკოდნეს, რა უფლება მაქვს წავუყრუო ჩემს ღვიძლ კუთხეში სრულად საქართველოს ასაღორძინებლად მიმდინარე ტენდენციებს და მიმართულებებს?! სამეგრელოს უმთავრესი კოზირი, კრიოსტინი, ზღვაა. ზღვა ყველაზე იაფი და სარფიანი სატრანსპორტო საშუალებაა. ქობულეთი და ანაკლია გამოცხადებულია თავისუფალ ტურისტულ ზონად. მართალია, ზღვაოსნობა ჩვენთან მოშლილია, როგორც უამრავი სხვა ინფრასტრუქტურა, მაგრამ ადრე თუ გვიან სამეგრელოს დიდი მომავალი ელის ამ გეოგრაფიული სიმდიდრის წყალობით. ახლა ჩვენი მთავარი ამოცანაა საფუძველი ჩავუყაროთ შავი ზღვისპირეთის რენტაბელურად გამოყენების საკითხს. ყულევში შემოსულია აზერბაიჯანული ფირმა „სოკარი“.

— **სოკარი თურმე მიწისქვეშეთის დგობაა გვეგობტურში.**

— ამას რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა არ გააჩნია. მათავარია, „სოკარს“ თუ სხვათა, სწორად შერჩეული საინვესტიციო პაკეტები შევთავაზოთ, რომ მერე ჩვენს შთამომავლობას ამ კუთხით პრობლემები არ შეექმნას.

— **იქ უკვე ნავსადგურიცა და მტკიცებულები.**

— მით უკეთესი. აბა, ზღვა რა ბედენა გემების გარეშე?

ეს იგივეა, რაც მჭედელს დანა არ

ჰქონდეს, თერძს — ნემსი და ხუროს — ხელეჩო.

— **ამას იმიტომაც ჩაგვიყვები ასე დაფინებით, რომ საზოგადოებაში არსებობს სხვა წარმოდ- გენებიც, სხვა მიმართულებები: „მრეწვე- ლობა გადაარჩენს საქართველოს“, „სოფლის მეურნეობა გადაარჩენს საქართველოს“, „ინტელექტი გადა- არჩენს საქართველოს“ და ა. შ.**

— გური ძვირფასო, გულადი დარაგოი, თავად ხარ მოწმე, შენს კრიოსტინს არავისზე ნაკლებად უმოგზაურია საქართველოს ნებისმიერ კუთხე-კუნჭულში. ერთადერთი, სვანეთში ვერ მოვახერხეთ წლეულს ასვლა. გასსოვს, გვიოხრეს: გზები ალაგ-ალაგ გაუმართავიაო. მართალია, **დემურ გადელის** ხალხმა ბევრ ალაგას დააგო ბეტონის გზა, მაგრამ აქა-იქ ჯერაც ბოლომდე მოწესრიგებული არ არისო და ჩვენც შეეყოყმანდით — ბათუმის, ქობულეთის, ფოთის, ყულევის, ანაკლის თუ განმუხურის მონახულებით შემოვიფარგლეთ. მე პოლიტოლოგი ვარ, ბაბაგე, და მხოლოდ სტატისტიკის ენით ვერ ვიზროვნებ, ჩემი თვალთ უნდა ვნახო განსასჯელი, საანალიზო საქმე. ხომ არის ხალხში ამისთანა გამონათქვამი: ასჯერ გაგონილს ერთხელ დანახული სჯობიაო. მე ალტაცებაში მომიყვანა ენგურის შესართავთან აშენებულმა სასტუმრო „ანაკლიამ“. ვიხილე განსახორ ციფლებელი ზღაპრული პროექტები და მსოფლიოშემოვლილი კაცი გავოგნდი. ვნახე ციხე-სიმაგრის ბებერ გალავანთან მშენებარე 101 ნომრიანი სასტუმრო. იგი არ იქნება თურმე მრავალსართულიანი, როგორც იქვე მოსახლე და ამ საქმის მოთავე მითო შელიამ ბრძანა, რათა ისტორიული ძეგლი არ გადაფაროს. ამისნეს, რომ ყოველივეს თაოსნობს ძირით წალენჯიხელი კაცი, სოფელ ჯგალის მკვიდრი, წარმატებული





დინარე, თვითონ თეზა: „ტურიზმი გადაარჩენს საქართველოს“ ცდომილება იზოლირებულად წარმოდგენილი, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: ორ წელიწადში სააკაშვილისა და მისი გუნდის მიერ სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ინტელექტის პრიორიტეტად გამოცხადება რაიმე არსებით შედეგს ვერ გამოიღებს. აქ ჭადრაკის დაფასთან ალაში ჩამოკიდებულია, ცაიტნოტის სიტუაცია და შესატყვისად მართებულადაა არჩეული სწრაფი რეაგირების ტაქტიკა, ფულის შოვნის ელვისებური გზა — ტურიზმი. ეს ტერმინი ბევრ ადამიანს ძალიან ზერელედ აქვს გაცნობიერებული. ტურიზმის, ტურისტის გაგონებისთანავე მრავალს მაშინვე წარმოუდგება შორტიანი წყვილები წოწოლა რუკზაკებით; ჩვენი მოსახლეობა ტურიზმს აიგივებს მხოლოდ უცხოელის ჩამოსვლასთან ჩვენი მიწა-წყლის მოსაანახლებლად. ეს მცდარზე მცდარი წარმოდგენაა. ტურიზმი დღეს გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე რაიმე ისტორიული თუ ლანდშაფტური ფასეულობების დათვალიერება უცხოტომელი კაცის მიერ. ტურიზმი თანამედროვე გაგებით უწინარესად ბიზნეს-ინტერესების თანხვდომაა, ბიზნეს-წინადადებების ურთიერთგაცვლა მწვანე მაუდიან მაგიდასთან რუხელტის ტრიალში, როცა კრუპიეს ცოცხი მიყოლებით აქრობს ყვითელ-წითელ ყეტონებს. დღეს მსოფლიოში ჭარბი ფინანსური რესურებია დაგროვილი, მაგრამ ნაკლებია მათი უსაფრთხო დაბანდების ადგილები. და აი, ამ ფინანსური წყაროების სწრაფი ამოქმედების სარბიელი, ღიახაც, ტურიზმია. აბრეშუმის გზა ისტორიულად დღევანდელი ტურიზმის მნიშვნელობით იყო დატვირთული ათასწლეულების მანძილზე ჩინეთის დიდი კედლიდან მოყოლებული შავი ზღვის პირეთით დამთავრებული. დღეს ტურიზმი და საქარავნო გზა იდენტური ცნებებია. იმდროინდელი აბრეშუმის ფართლებული დატვირთული ქარავნები თავის თავში გულისხმობდა ინფორმაციის მიმოცვლას უფრო მასშტაბური ეკონომიკური სივრცის ასათვის- ებლად. დიდი აბრეშუმის გზის მისია დღეს ინტერნეტმა აიღო თავის თავზე, მაგრამ ესეც არ არის ყოველ-თვის გადამწყვეტი ფაქტორი ინვესტიციების მოსა-ზიდად, რადგანაც კაპიტალის მფლობელს ურჩევნია საკუთარი თვლით ნახოს მისი ბიზნესის სამოქმედო არეალი, დარწმუნდეს მის უსაფრთხოებაში. დასრულ-დება ანაკლიაში სასტუმროების მშენებლობა, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და მალე სხვა სფეროებსაც გამოუჩნდება სარბიელი. იქ მობინადრე

დაინტერესებული პირი ნახავს, რომ სამეგრელოში შეუდარებელია მამაპაბისეული სულუგუნი, ასჯერ და ათასჯერ სჯობია შვეიცარიულ ყველს; ნახავს რომ გასაოცარია მეგრული საცივი, კამეჩის მაწონი თავლით, სვანური კუბდარი და ზესხორა, რაჭული ლორი, იმერული შქმერული, კახური დედას პური და მწვადები; ნახავს, რომ აქაური ოჯალეში შეუდა-რებელია ონკოლოგიური პროცესების შესაჩერებლად; ნახავს, რომ აქაურ „სქურს“, „ლებარდეს“ და „ლუგელას“ ანალოგი არ ეძებნება მთელს მსოფ-ლიოში; ნახავს, რომ აქაური ჩაი კი გავერანებულა სახელმწიფოს დაუდევრობით, მაგრამ არაფრით ჩამოუვარდება ცეილონისას; ნახავს, რომ აქაურ ტუნგოს არც ლორი ეკარება და აღარც წვერცანცარა რინტუ-თხა, უპატრონოდ ყრია მასივებში, თანაც ქობულეთის ზეთსახელი ქარხანა გამოშვებულია კვლავინდებურად და ამ მიმართულებით ძვირადღირებული ზეთის წარმოება სარფიანია; ნახავს, რომ აქაური ხილი განსაკუთრებული გემოთი გამოირჩევა, მაგრამ მისგან არც მურაბა მზადდება და აღარც — ჯემი, გადამამუშავებელი ქარხნების გაჩანაგების გამო. ჰოდა, ტურისტის იარლიყით შემოსული ფულიანი კაცი მახვილ მზერას მიაპყრობს მისთვის სარფიან სფეროს. ასე ხდებოდა საუკუნის წინათ კახეთში, თბილისში, სამეგრელოშიც — ზუგდიდსა და ნარაზენში, როცა ჩვენს მიწა-წყალზე ფეხს იკიდებდნენ ზემელები, პროცერები, ფეტერები, სხვანი და სხვანი. ეს იყო ნამდვილი ეკონომიკური ინტეგრაცია უცხოურ ბიზნესსა და იმდროინდელ ქართულ მოსახლეობას შორის. აი, რანაირად წარმოგვესახება დროის უმოკლეს მონაკვეთში ტურიზმის პრიორიტეტად გამოცხადებით ქვეყნის ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გაჯანსაღება. აი, რატომ ასახელებს ეკონომიკის ექსპერტი სოლომონ პავლიაშვილი ტურიზმის განვითარებას იმ ლოკომოტივად, რომელსაც ვაგონებით გამოებმება დანარჩენი მიმართულებები. რა ხდება შენსას, ყლურწავ ძველებურად? შიგადაშიგ?! მოსათმენია! დამთავრე პოემა „ლაზარე“! საქართველოს ანექსიაზე გასაოცარი მასალები მოგიძიე. უტრანალს რომ სცემ კარგია, მაგრამ პრეზენტაცია უჩემოდ არ გაბედო. სასტუმრო „ანაკლიაში“ მოვაწყობ. გახსოვს ტიტლიკანებმა რომ ვიბანავეთ შემოდგომის მიწურულს? აწი აქ გაჭირდება თავისუფალი ორგები შიშველისთვის კი არა, პლავკიანისთვისაც. თუმცა არაფერია, ვუყუდი იახტას ჩემს დანიელ შვილიშვილებს და ღია ზღვაში გავაჩალოთ მასლაათი.

ტურისტული კომპანია „სმარტ ვოიაჟი“



TOUR COMPANY „SMART VOYAGE“

ქვეყნის პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის მოწოდება – „ინვესტორებო, ყველა ქვეყ ნისა, შეერთდით ანაკლიაში!“ პირველმა ვინც აიტაცა საქართველოში, ტურისტული კომპანია „Smart Voyage“ გახლავთ. აქ ჭკვიანურადაა გათვლილი მარშრუტის სვლა-გეზი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ზედმიწევნითაა გათვალისწინებული ჩვენი უმთავრესი სულიერი ფასეულობების დათვალიერების შესაძლებლობანი დროის უმოკლეს მონაკვეთში; თბილისში ჩამოსულ უცხოელმა სტუმარმა თუ მოიგუნრბა, ჯვარზეც ამაღლდება და სვეტიცხოველშიც შეივლის. იქიდან ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს ეწვევა ქუთაისში, მოინახულებს ვანის არქეოლოგიურ გათხრებს და იქაური ექსპონატების ხილვით დატკებება, გაუვლის არქეოპოლისის, წარმოსახვით სახეზე მორიგებს ბონაპარტის ნიღაბს დადიანების სახლ-მუზეუმში. ღამეს გაათევს ზღვისპირეთის ფემენებელურ სასტუმრო „ანაკლიაში“, გაჯერდება ლურჯ-ხასხასა ტალღების შარიშურით; შემდგომ შეუყვება სვანეთისკენ წაკლაკნილ ბეტონის გზას; „ენგურჰესის“ უნიკალური თაღოვანი კაშხალიდან გადმოხედავს სამეგრელოს დაბლობს, უცხოელები მწვანე სამკუთხედსაც რომ ეძახიან, „ჩაბარგდება მესტიამი და სულიერ ნეტარებას მიეცემა.

ტურიზმის განვითარების პერსპექტივებისა და მნიშვნელობის თაობაზე ზემოთ საკმარისად გვისაუბრია. ჩვენ სწორედ კომპანია „Smart Voyage“-ის კვალობაზე შერჩეული მარშრუტი გვჭირდებოდა და გვჭირდება უცხოელი ტურისტების საქართველოთი მოსახიბლად.

– **ქალბატონო, მარინე, ორიოდე სიტყვით წარუდგინეთ თავი მკითხველს!**

– სამი შვილის დედა ვარ და ჩემი უმთავრესი სიმდიდრეც ეგ არის. მყავს ოჯახის ერთგული ძეუღლე. ესეც დიდი განძია. განათლება რუსულად მივიღე. მიყვარს პუშკინი, დოსტოევსკი, ტოლსტოი, ანა ახმატოვა... მიყვარს რუსეთის არყის ხეების ტყე, იქაური სოკო და უბრალოება. სტუდენტობისას საფუძვლიანად დავეუფლე ფრანგულს და ჩემთვის მასულდგმულელებელი ძალა თასიუფლება გახდა – **Libèrt**. ნიაღვარივით შემოვიდა ჩემში „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, „მაგრენის ტყავი“, „წითელი და შავი“, „მთვრალი ხომალდი“. პოეზიასთან მიმართებაში მეტხანს შევჩერდები. საქმე ის გახლავთ, რომ ბაბუაჩემი დღორთე კანკია დიდი სამამულო ომის დროს კავკასიონის მისადგომებთან იბრძოდა. იქ ჯიშტის თოვლში ჩამარხულა და თვალის ჩინი დაუკარგავს. უნიკალური მენსიერების კაცი იყო. ზეპირად გამოთქვამდა ლექსებს. გვიკითხავდა „ვეფხისტყაოსანს“. სოფელში რომ ჩავიდოდი, მასთან მუსაიფი ქვეყანას მერჩინა. თავადაც სივთქემდე ეუყვარდი. ვენმარებოდი ლექსების ქალაღზე გადატანაში. ნამდვილი მეგრული მაშინ ავითვისე. რვა საერთო რვეული გავაგსე წლების მანძილზე. თავიდან მეზამუშებოდა თითქოს, მაგრამ საფრანგეთში ყოფნისას აზრი შემეცვალა ე. წ. პატუა ენებზე. დღეს ჩვენთან მეგრული, ლაზური, სვანური მოღაში არ არის, საფრანგეთში კი სხვანაირი სიტუაციაა. მაგალითისათვის, პროვანსულ დიალექტზე ლექსების მოხზველი მისტრალი ნობელიანტიც კი გახდა.

მშვიდობიან პერიოდში ის რველები მაშიდას სოსუმში, გამომცემლობა „ალამარაში“ წაუღია გამოსაქვეყებლად. აფხაზურ-ქართული კონფლიქტის დროს უკვალოდ გამქრალა, მაგრამ ორიოდე წლის წინათ ისევ გამოაბრწყინა ბედისწერამ. საოჯახო ალბომი და ბაბუას ლექსები და წამოეღო მის რედაქტორს, ცხონებულ ჯანო ჯანელიძეს აღმოდებული ქალაქიდან, ოღონდ ეგ არის – გვიან გვიპოვა.

ბაბუას რვეულებს გვარი და მისამართი არ ეწერა. მისი ახირებულიობით ყველგან მითითებული იყო მხოლოდ „დღორთე“, მორჩა და გათვდა. მამაჩემის წყალობით ბაბუას გამოცემული აქვს პოეტური კრებული „ლაკადა“, ოღონდ მასში შესულია რვეულების აღმოჩენამდე მოძიებული ლექსები.

უკვლავების

წყალი ტრუსკავეცი

განტვირთვა ესაჭიროება აბსოლუტურად ყველას. ზოგი ბუნებაში გასვლას არჩევს, ზოგიც – საზღვარგარეთ. კარგია, როდესაც ადამიანი ერთმანეთს უთავსებს მკურნალობას და დასვენებას.

სწორედ ასეთ ადამიანებს ტურისტული კომპანია „Smart Voayage” სთავაზობს უკრაინის უნიკალურ ბალ-ნეოლოგიურ კურორტის ტრუსკავეციის სანატორიუმებში მკურნალობა-დასვენებას. ეს არის ევროპული დონის ცნობილი კურორტი, რომელიც მდებარეობს კარპატებში ზღვის დონიდან 350 მეტრის სიმაღლეზე. თქვენ მოხვდებით მყუდრო და ეკოლოგიურად სუფთა ზონაში, ზომიერად კონტინენტური კლიმატითა და ბუნებრივი სიმდიდრეებით. ამ ტერიტორიაზე თავმოყრილია მინერალური წყლების და მთის ცვილის ბუდობი – ოზოკერიტი, რომლის საბადო მდებარეობს ტრუსკავეციდან 4 კილომეტრში. იგი შეიცავს ბუნებაში არსებული პარაფინის 85 %. ეს არის ერთადერთი ცვილის საბადო მსოფლიოში. მას გააჩნია ანთების საწინააღმდეგო და ანალგეტიკური თვისებები. აძლერებს ჰერმოდინამიკას დაზიანებულ ორგანიზმში. ტრუსკავეცში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წყაროა „ნაფთუსია“. იგი აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობას. იცავს და აღადგენს ღვიძლის უჯრედებს, ორგანიზმიდან გამოჰყავს რადიონუკლეიდები და წილები. „ნაფთუსიას“ გააჩნია შარდმდენი, ნაღველმდენი, სპაზმოლიტური და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება (იხ. www.truskavets.ge). ტრუსკავეცში ყოველწლიურად ჩადის 300 000-ზე მეტი ადამიანი, როგორც უკრაინიდან, ასევე საზღვარგარეთიდან. ტურისტული კომპანია „SMART VOYAGE” ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა შეგიქმნათ კომფორტული დასვენებისა და მკურნალობისათვის საჭირო ყველა პირობა: მაღალი დონის სანატორიუმები, სრულფასოვანი დიეტური კვება, სპორტული და სამკურნალო სექციები და ა.შ. აქვე ხაზგასმით ვაცხადებთ: ყველაზე მთავარი ტრუსკავეცში – ფასებია. იგი ბევრად დაბალია ევროპის თუ მსოფლიოს სხვა კურორტებთან შედარებით. სამკურნალო კომპლექსში თქვენ შეგიძლიათ გაიკეთოთ ოზოკერიტისა და მინერალური წყლების აბაზანები. რაც შეეხება უკრაინის შესანიშნავ ჰავას, იგი ხომ ზღაპრულად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე?! სანატორიუმში მისულ ყოველ პაციენტს გადასცემენ დიაგნოზის შესაბამის პაკეტს. ტრუსკავეცში უხასიათოდ ჩასული ადამიანები ფრენა-ფრენით ბრუნდებიან იქაური მინერალური წყლების დვთაებრივი ძალის წყალობით. დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

ტელ.: (822) 99 83 86;
857 60 39 29.



ტრუსკავეცი.
სასტუმრო
„DNEPRBESKID”





წელიწადის ოთხივე დრო ხელისგულზე

– თუ მისახსოვრებთ დაგებუდავთ მომდევნო ნომერში.

– ეგ ჩემი ოცნებაა. ბიძაჩემი ფრიდონიკ პოეტი იყო. კაფე „როტონდას“ სტილში ცხოვრობდა. მანაც გამოსცა ლექსების მომცრო კრებული „ოხაჩქუე“, თუმცა ბაბუას პოეზია განსაკუთრებულია. ბიძაშვილი ჩინებული პიანისტი მყავს – ნონა კანკია. მოკლედ, ჩემს გარშემო შემოქმედებითი სული ტრიალებდა და ტრიალებს გამუდმებით.

– **ტურიზმისკენ რამ გიბიძათ, ვინ წაგაქვხათ?**

– ეს უკვე მამაჩემის – ვალერი კანკიას დამსახურებაა. მამა „ენგურჰესის“ კომერციული დირექტორია და ხშირად უწევდა მივლინებაში ყოფნა, განსაკუთრებით – რუსეთსა და უკრაინაში. იქ, ქალაქ ტრუსკავეცში, აღმოუჩინა სანატორიუმი – საოცრება. „ნაფთუსიას“ მინერალურ წყალზე გაყდება. წელიწადში ერთხელ უსათუოდ მიემგზავრება იქითკენ. ეს ტურისტული მარშრუტიც მისი იდეა. ხელი მომიმართა კომპანიის დაფუძნებაში. შემაძენინა კომპიუტერები. ოფისი ჯერ-ჯერობით მოციცქნული მაქვს, მაგრამ, იმედია, მალე გაფართოვდება. თბილისიდან სისხამ დილით გასულები მოვინახულებთ ბაგრატის ტაძარს, ვანის გათხრებს, არქეოპოლისს, დადიანების სახლ-მუზეუმს. ღამით ზღვისპირა ჩინებულ სასტუმრო „ანაკლიაში“ გაჩერდებით. ტურისტები აქ ორჯერ შეძლებენ ზღვაში ბანაობას – ბინდისპირსა თუ ალიონზე. შემდგომ პირდაპირ სვანეთის გზას ავუყვებით. გაანგარიშებულია ყოველი წუთი და კილომეტრი. უკან მობრუნებულები ქართული ჰიდროინჟინერიის სიამაყე – თაღოვან კაშხალთან გადავიდამებთ. ამ უნიკალური ნაგებობიდან ხელისგულზეა დალაგებული წელიწადის ოთხივე დრო. ადგილობრივებისათვის ეს მარშრუტი ორდღიანი იქნება, ხოლო უცხოელთათვის – 3-4 დღიანი.

– **გამიგონია: შონე მაძირაფუქ ეჭოფუა – სვანეთი მნახველმა დაიპყრო.**

– კი, მეც მსმენია ბაბუა დოროთესგან, მაგრამ დღეს აზრთა ურთიერთგაზიარების, ერთმანეთთან დაახლოების გარეშე, წინ ველარაფრით წავიწევთ. აქ მარტო „დისკავერებით“ ფონს ვერ გავაღო – საჭიროა ცოცხალი კონტაქტები. მერედა, ტურიზმი დღევანდელი გაგებით პრიმიტიულ დათვალირებაზე მეტი ღონისძიებაა. იგი თავისთავში გულისხმობს ბიზნესის აღორძინებასაც. ამ ხალხში, შესაძლოა ბევრი აღმოჩენდეს საქართველოს ფლორითა და ფაუნით დაინტერესებული პიროვნება. ვინ იცის, იქნებ რომელიმე ფარმაკოლოგიის განვითარება მოიწადინა მედეას სამშობლოში?! ტურისტული მარშრუტი: თბილისი-ქუთაისი-ვანი-ზუგდიდი-ანაკლია-კაშხალი-მესტია, მართალია, მამის იდეაა, მაგრამ – ჩემგან ხორცშესხმული, მძივივით აკინძული ჩემს მიერ და ვდგამთ კიდევ მოკრძალებულ პირველ ნაბიჯებს.

– **ქალბატონო, მარინე, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ამ საშვილიშვილო საქმეში და კიდევ ერთიც: ბაბუა დოროთეს წიგნის მოტანა არ დაგავიწყდეთ.**



უბატონო სვანეთს მიზგუ ლადელ სი

ISSN 1512 - 3456
ST.K. 9771512345002

ნიკოფსიიდან დარუბანდამდის,
სვანურ კოშკებით ზეცა ნალესი,
გულზე გარდაძის, სულზე გარდადის,
ჩემი დღენი შენ – მიშგულადელსი.
ზეცა მიჭირავს ეკლესიებით,
ქარებს პიდენის პძღაგრო არესი,
სამურზამანოი პკვდართა სიებით,
ჩემი დღენი შენ – მიშგულადელსი.
იმურეთის შზე, ქართლის სარო ცა,
სვანეთ-გურია ლექსად ნაკვესი,
გამოურია ცრემლი საღლოცად,
ჩემი დღენი შენ – მიშგულადელსი.
საშეგრედითი, ნაღდი კახუთით,
გარდახანღია პნელი ნადესი,
გარდახანღით და გარდახანუდით,
ჩემი დღენი შენ – მიშგულადელსი.
სიძალდე და წვა შენი ზვედრია,
შენი წიღია – ყოფნა ნათელში,
გარსკველაეიანი ზეცა კეთრია,
ჩემი დღენი შენ – მიშგულადელსი.
აღმოსავლეუთით ისეც ინათა,
გაქრნენ მთიები ცაზე ნათესი,
სონა მარე და სონა დინათა
საქართველოთა – მიშგულადელსი.

გური თტობაია,
1999 წ.

smartvoyage@mail.ru www.voyage.ge თბილისი, რუსთაველის 18, ტელ.: 93 12 04, 557 60 39 29.



პირპისი, 7, 2011
(**ოპროს სოფისი**)
KIRBISI, 7/2011
(**GOLGEN FLEECE**)